



ანტიკური სამყაროს სიბღი

რისმამ გორღუიანი

80 ლ

80

ჩისმაზ გორდუზიანი



ანტიკური სამყაროს სიბღი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2021

თსუ-ის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედია ცენტრი (თსუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია) კრებულს უძღვნის დიდ მეცნიერს, აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანს, რომელიც ამჟამად თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორია. პუბლიცისტური ნარკვევების ახალი სერია კლასიკური ფილოლოგიის დარგის განვითარების მთავარი ფიგურანტის - რისმაგ გორდეზიანის 80 წლის იუბილეს აღსანიშნად გამოიცა. ბიოგრაფიული წიგნი მოიცავს მეცნიერის ცხოვრების გზას ბავშვობიდან დღემდე... მისი ცხოვრების მთავარი ეპიცენტრი უნივერსიტეტია, სადაც მან სამეცნიერო, პედაგოგიური და პოლიტიკური მოღვაწეობის ეტაპები განვლო.

რისმაგ გორდეზიანი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის წევრია. რედაქციისთვის იგი, პირველ რიგში, ამით არის ღირებული, რადგან რედაქციას უოველთვის ამარაგებდა საჭირო რჩევებითა და რეკომენდაციებით, იყო და არის მისი ერთგული გულშემატკივარი.

„უნივერსიტეტის გაზეთი იმ პერიოდიდან მახსოვს, როცა უნივერსიტეტში ფეხი შემოვდგი. ჩემი სტუდენტობის დროს გაზეთი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. რედაქციაში ახალი თაობა მოვიდა. ის მუშაობა, რასაც დღეს უნივერსიტეტის გაზეთი ეწევა, ძალიან დასაფასებელია. ძალიან დიდ და კარგ საქმეს აკეთებთ, რომ უნივერსიტეტისთვის ინახავთ საუბრებს იმ ადამიანებთან, რომლებიც უნივერსიტეტის ისტორიას ქმნიან. ძალიან ნიჭიერად გაკეთებული არაერთი ფილმი მიწახავს, რომელსაც გაზეთთან ერთად თქვენი რედაქცია აკეთებს და, როგორც თქვენი რედაქციის წევრი, მოხარული ვარ - ასეთი კეთილი საქმის ბოლო „ტიტრებს“ მეც რომ ვწერივარ“... - ამბობს რისმაგ გორდეზიანი.

**კრებულის გარეკანზე გამოყენებულია
მომანდაკე გია ჯაფარიძის ნამუშევარი:
„ანტიკური მოტივი“. ზრიწაო**

კრებულის ავტორი და რედაქტორი:
ნინო კაკულია

სარედაქციო ჯგუფი:
თამარ ჩიხლაძე
ეკა ბედიანაშვილი

კომპ. უზრუნველყოფა:
მიხეილ თვარაძე

სარჩევი

1 ბიოგრაფიული ნარკვევი (ამბავი, კომენტარი, პოზიცია)	7
მშობლებით კმაყოფილების მიზეზები	9
ბავშვობის წლები და საუბრები გერონტი ქიქოძესთან	15
პირველი სასტიკი გაკვეთილი	17
სკოლა და ოჯახი ჯაზის წინააღმდეგ	19
მწერლობაზე უარის მიზეზი	21
უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა	25
პირველი ჟურნალის შთამბეჭდავი შემადგენლობა	26
ლექტორად მონათვლის „რიტუალი“ და პასუხისმგებლობა კორიფების წინაშე	29
სვლები ჰომეროლოგიაში და აქილევსის ქუსლი	31
უნივერსიტეტიდან ხელშეწყობილი მოგზაურობა რომში	35
დიდი მეცნიერების გარეშე კარგი უნივერსიტეტი არ არსებობს ..	42
პირველი სვლა - კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების შექმნა სტუდენტებისათვის	43
ნეოგრეცისტთა სკოლის თსუ-ში დაფუძნება	47
რატომ თქვა უარი მეცნიერმა საზღვარგარეთიდან შეთავაზებულ დიდ ხელფასზე მძიმე 90-იან წლებში?	50
ინსტიტუტის დაბადება და გაზაფხულზე „აყვავებული“ ოცნება	52
სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის დიდი ისტორია მოკლედ	60
წერე და იკითხე „ლოგოსის“ წყალობით	67
წინაბერძნული ენობრივი სამყაროს კვლევა	68
ანტიკური პერიოდის კავკასია	71
უნივერსიტეტის პარტკომობა - ლაქა თუ საკუთარი სიმართლე ..	73
საგამოცდო რეფორმის ინიციატივა და განუხორციელებელი იდეა ...	75
„ვარდების რევოლუცია“, საუნივერსიტეტო რეფორმა და ბოიკოტზე უარი	76
პროფესორობიდან აკადემიკოსობამდე	77

ანტიკური პერიოდის საყვარელი „პერსონაჟები“ და პოლიტიკური პარალელები დღევანდელობასთან	80
ფილოსოფიური ღმერთი	84

2 ოჯახური გარემო

როგორ დასრულდა სიყვარულის ისტორია ოჯახის შექმნით	105
როგორი მეუღლეა რისმაც გორდეზიანი?	109
უნივერსიტეტის ახალი სახე — ფრანგული განათლება და ქართული გონიერება	112
როდის გამოემართება „არგო“ ისევ საქართველოსკენ? (ეპილოგი)	116

3 რას ჰყვებიან და იხსენებენ კოლეგები/მეგობრები

რისმაც გორდეზიანზე?

როინ მეტრეველი: უნივერსიტეტი მის გარეშე წარმოუდგენელია ...	121
მეცნიერების რაინდი	126
ანტიკურ მითოლოგიაში განსწავლულმა მონაფეებმა მას ფენიქსი უწოდეს	129
მკაცრი, მაგრამ სამართლიანი	136
ათენის აგორის სული	137
როლური მოდელი	152
Magister magistrorum	156
ადამიანი, რომელსაც პატივმა ზნე არ შეუცვალა	174
ბერძნული ცივილიზაცია - ნიკოლოზ ალექსიძის ბლოგი	175
80 წლის იუბილეს მილოცვა მედიკოსისგან.....	178
ჰაუშტაინის წერილი რისმაც გორდეზიანს ლაიფციგიდან	180
ლექსი, რომელიც გერმანელმა მეცნიერმა რისმაც გორდეზიანს მიუძღვნა	181
რისმაც გორდეზიანის წიგნები და ცალკე გამოცემები	184



* * *

2021 წლის 23 ოქტომბერს დიდ მეცნიერსა და აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. ეს საპატიო ჯილდო თბილისის მერმა კახა კალაძემ გადასცა მის შვილიშვილს, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორს ლიკა გორდეზიანს — ეს არის ის უკანასკნელი ცნობა რისმაგ გორდეზიანის ღვაწლის დაფასების თაობაზე, რაც წიგნში მის შესახებ შეტანილი მრავალი ბიოგრაფიული ფაქტისა თუ მოვლენის ფონზე ზედაპირზე ამოტივტივდა სიახლის ხიბლით. საქართველოში, ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, ვინც ამ წოდების მინიჭების სამართლიანობას არ აღიარებს. უნივერსიტეტის საიუბილეო მედალიც ის დამსახურებული ჯილდოა, რომელიც რისმაგ გორდეზიანს 80 წლის იუბილის აღსანიშნად თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ 2020 წლის 9 ივნისს გაუგზავნა მას თსუ-ში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის. უნივერსიტეტის რექტორი საგონებელში იყო ჩავარდნილი — როგორ აღენიშნა უნივერსიტეტს რისმაგ გორდეზიანის 80 წლის იუბილე და კიდევ რით დაეჯილდოებინა ისედაც მრავალი ჯილდოსა და წოდების მქონე ემერიტუსი მეცნიერი, რომელმაც მთელი ცხოვრება ძალისხმევა არ დაიშურა იმისათვის, რომ ძველ, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა დარგს — კლასიკურ ფილოლოგიას — საქართველოში მყარი პოზიციები ჰქონოდა.

* * *

„რისმაც გორდეზიანის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია, უპირველესად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. მისი შექმნილია ყველასთვის კარგად ცნობილი კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტის ინსტიტუტი, რომელიც ნამდვილად გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სავიზიტო ბარათი. ბატონი რისმაგის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამეცნიერო სკოლა და გუნდში, რომელიც შემოიკრიბა, თითქმის ყველა მისი მოსწავლეა. ბატონი რისმაგი, როგორც მეცნიერი, ძალიან ცნობილია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მას მიღებული აქვს ღირსების ორდენი როგორც საქართველოსი, ასევე, საბერძნეთის. ნაშრომებისათვის ჰომეოროლოგიასა და ეგეისტიკაში (1970, 1972, 1973 წლებში) მიენიჭა თსუ-ის პირველი, რესპუბლიკური და საკავშირო პრემიები. 2003 წელს საქართველოს ღირსების ორდენით დააჯილდოეს, 2008 წელს საბერძნეთის ღირსების ორდენის კავალერი გახდა, 2010 წელს მიიღო პრეზიდენტის ბრწყინვალეობის ორდენი. მიუხედავად ყველაფრისა, ყველაზე საპატიო ჯილდოდ მას უნივერსიტეტის მედალი მიაჩნია და ეს უკვე ყველაფრის მთქმელია...

რისმაც გორდეზიანის მთავარი ღირსებაა მის მიერ შექმნილი ის სკოლა, რომელიც ნამდვილად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახე“.

*გიორგი შარვაშიძე
თსუ-ის რექტორი*



თსუ-ის რექტორის თანაშემწე ნატა ასათიანი რისმაც გორდეზიანს 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად გადასცემს უნივერსიტეტის მედალს

☪ 1 ☩


ბიობრაფიული ნარკვევი

(ამბავი, კომენტარი, პოზიცია)

სამყაროს კულტურული ცივილიზაციის შესახებ გადმოცემები ქრისტეს შობამდე მთელ ეპოქებს მოიცავს... მანამდე ოლიმპოს ღმერთებზე თხზავდნენ ისტორიებს, გველექსაპებთან შებმული თუ ტროას ომში აღმოცენებული მითოლოგიური გმირების მაგალითით საზრდოობდა ძველი წელთაღრიცხვის კაცთა მოდგმა... ბევრი სისულეებისგან განათლებით უნდა დავიცვათ თავიო — ამ პათოსით ზრდიდა არისტოტელე ალექსანდრე მაკედონელს, რომლის უპირველესი სურვილი იყო — შეექმნა ერთი დიდი სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც მოქცეული იქნებოდა იმდროინდელი ცივილიზებული სამყარო. ამ გაერთიანებას კი საფუძვლად უნდა დასდებოდა სამი ერთიანობის პრინციპი: ენობრივი, კულტურული და პოლიტიკური. ეს იდეა განსაკუთრებით ბერძენთა სათაყვანებელ მეფე-მხედართმთავარს — ალექსანდრეს — სხვა დამპყრობლებისაგან განასხვავებდა. ამ გამოკვეთილი სტრატეგიის მიზეზები მისი აღმზრდელი ფილოსოფოსის, იმ არისტოტელეს მსოფლმხედველობრივ მოძღვრებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც ათენის აკადემიის დამფუძნებლის, პლატონის მოსწავლე იყო... პლატონის მასწავლებლად კი სოკრატეა დასახელებული, რომელიც სიკვდილით დასაჯეს იმის გამო, რომ მისი მსოფლმხედველობა ღმერთების განკითხვად მიიჩნის. ეს სახელები და ამბები ბერძნული ცივილიზაციის იმ ეპოქის ნაწილია, როდიდანაც ანტიკური კულტურის შესახებ ვიწყებთ საუბარს. ანტიკური კულტურა ძველი ელადიდან იღებს სათავეს. შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში საუკუნეებია მუსირებს აზრი ბერძნების ვუნდერკინდობაზე, რომლებიც ისტორიულ ასპარეზზე გამოჩნდნენ ძველი წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებში და უფრო ადრე არსებული პრიმიტიული საზოგადოება უეცრად გადაიყვანეს ცივილიზაციის ახალ საფეხურზე.



სოკრატე



არისტოტელე

სულის უკვდავების პლატონისეულ ჰიპოთეზას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. არისტოტელეს კი მიაჩნდა, რომ სული შემეცნების მატარებელია. მაგრამ ჩვენ ახლა სულის უკვდავების დასამტკიცებლად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმოებულ ექსპერიმენტებზე კი არ გადაგვაქვს ყურადღება, არამედ იმ აზრის ფორმირება გვსურს, რომ სულის უკვდავება ადამიანის ხელშიცაა. ერთიდან მეორეზე და შემდგომ უკვე მომავალ თაობებზე წარსული ინფორმაციის გადაცემა კაცობრიობის მეხსიერებაში ადამიანის სულის უკვდავებას ისედაც უზრუნველყოფს. ამ კეთილ მისიას ის ილუზორული გამოვლინებაც აქვს, რომ ჩვენ იმ ეპოქაში ვინცებთ აზრობრივ თუ მგრძნობელობით ცხოვრებას და სუნთქვას გაძლიერებული ყნოსვით, რომელ ეპოქასაც გადავწვდებით სხვადასხვა რანგში ხსენებით.

ნიგნს ვქმნით სწორედ ასეთ ადამიანზე, ვინც ანტიკური კულტურის ტრიუმფალურ პერიოდს გადასწვდა და XXI საუკუნეში მას ახალი სიცოცხლე მისცა, ანუ პლატონისეულ სულის უკვდავების იდეას თავისებური სარჩული დაუდო — ეს ადამიანი დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანია — ელინურ სამყაროზე შექმნილი არაერთი გამოკვლევის თუ ანალიტიკური პუბლიკაციის, ნაშრომის, წიგნის და წიგნთა ტომების ავტორი.

მშობლებით კმაყოფილების მიზეზები

„მე ვარ ჩემი მშობლების ყველანაირად კმაყოფილი ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველი — მათ არაფერი გაუკეთებიათ ისეთი, რასაც შეეძლო ჩემს ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა მოეხდინა, ანდა ვინმეს რაიმე წამოეძახა ოდესმე და მეორე — მათ მე მომცეს ყველაფერი იმისათვის, რომ მე მეტ-ნაკლები წარმატებით გამეგრძელებინა ჩემი ცხოვრება და საქმიანობა“.

რისმაგ გორდეზიანი

რისმაგ გორდეზიანი 1940 წლის 9 ივნისს თბილისში დაიბადა (XIX საუკუნიდან მოყოლებული ძირძველი თბილისელი ვარო, — ამბობს თავად ხუმრობით).

დედა — ნანა სილოგავა — სტომატოლოგი იყო. მამა — ბენიამინ (ბენო) გორდეზიანი ცნობილი ქართველი მხატვარი, გრაფიკოსი, მწერალი და პუბლიცისტი გახლდათ. რისმაგ გორდეზიანის მამას იმდენად შთამბეჭდავი ცხოვრება ჰქონდა გავლილი, რომ ინტერესს მამის კვალზე გაეყავართ და მკითხველისთვის ჩვენი წიგნის „მთავარი გმირის“ გაცნობის წერით პროცედურას მშობლის გზით ვაგრძელებთ.

* * *

ბენო გორდეზიანი, მის-სავე თქმით, იყო „ქართული ფუტურიზმის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი“.

ფუტურიზმი, როგორც მიმდინარეობა ხელოვნება-სა და ლიტერატურაში, წარმოიშვა XX საუკუნის დასაწყისში, იტალიაში. ფუტურიზმი რეალისტური ხელოვნების უარყოფის საფუძველზე შეიქმნა. ფუტურისტული ხელოვნების მიზანი იყო არა



ბენო გორდეზიანი

გარემომცველი სინამდვილის ასახვა და შეცნობა, არამედ ახალი რეალობის შექმნა. ფუტურიზმი ავანგარდისტულ მიმდინარეობებს შორის ყველაზე რადიკალურია. ფუტურიზმის პირველი (1909 წ.) და მეორე მანიფესტის (1910 წ.) ავტორია იტალიელი პოეტი მარინეტი. მანიფესტში ხაზგასმულია მოძრაობისა და სიჩქარის სილამაზე, საფრთხისა და ამბოხის სიყვარული. ომი მიჩნეულია სამყაროს დასუფთავების საშუალებად. ფუტურისტები უარყოფდნენ მთელ კლასიკურ მემკვიდრეობას. მათი აზრით, ფუტურისტული სურათის ან ნაწარმოების მშვენიერება რომ გაიგო, საჭიროა ადამიანის სული განიწმინდოს, გონება გათავისუფლდეს წარსულის კულტურის გადმონაშთებისგან. რუსეთის გავლენით შექმნილ ქართულ საფუძველზე ფუტურიზმმა შეიძინა საკუთარი განსაკუთრებული ხასიათი. ფუტურიზმის ფუძემდებლები ქადაგებდნენ ძალის კულტს, აგრესიას და ქალის, როგორც სუსტი არსების, უგულვებლყოფას. ისინი უარყოფდნენ წარსულის ყველა მორალურ და ეთიკურ ღირებულებას: თანაგრძნობას, პატივისცემას, რომანტიკულ სიყვარულს და აცხადებდნენ, რომ ლითონის ან ხის ნაჭრის სითბო ბევრად უფრო ამაღლვებელია, ვიდრე ქალის ღიმილი ან ცრემლები. 1922 წლის აპრილში თბილისში შედგა ქართველი ფუტურისტების პირველი საღამო, ხოლო მაისში გამოქვეყნდა მათი პირველი მანიფესტი — „საქართველო-ფენიქსი“, 1924 წელს გამოიცა ქართველი ფუტურისტების ბეჭდვითი ორგანო „H2SO4“, სადაც დაიბეჭდა ლექსები, დეკლარაციები და თეორიული სტატიები. გამოცემაში ასევე შევიდა ბენო გორდეზიანის კუბო-ფუტურისტული ნახატები. გასული საუკუნის 20-იან წლებში მოღვაწე დადაისტი/ფუტურისტი მხატვრის — ბენო გორდეზიანის მიერ კუბისტური მანერით შესრულებული ფერწერული ტილო — „ცხრანყარო“ — სწორედ ამ გარემოსა და ავანგარდული პერიოდის მიმდინარეობების ინსპირაციის შედეგია. ეს შედეგრი ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია დაცული და ყოველთვის ინვენდა და ინვენს ხელოვნებათმცოდნეების, კონკრეტულად კი — ქართული ავანგარდის მკვლევართა

დიდ ინტერესს. მითუმეტეს, რომ ამ ავტორის მხოლოდ და მხოლოდ ორი ფერწერული ტილო და რამდენიმე გრაფიკული ჩანახატი გადაურჩა გასული საუკუნის 30-იან წლებში მის სახელოსნოში გაჩენილ ხანძარს. „სახელოსნოში ხანძარს გადარჩენილი ორი ფერწერული ტილოდან „ცხრანყარო“, მამის გარდაცვალების შემდეგ, 70-იანების ბოლოს, ონის მუზეუმს ვაჩუქეთ. მეორე გადარჩენილი და ასევე კუბისტურ მანერაში შესრულებული ვაჟა-ფშაველას პორტრეტი კი ოჯახის კუთვნილებაა“, — ამბობს ბენო გორდეზიანის შვილი რისმაც გორდეზიანი. მსოფლიოში მხოლოდ ორ მუზეუმშია ბენო გორდეზიანის ნამუშევარი გამოფენილი – ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში ფერწერული პეიზაჟი – „ცხრანყარო“ და ნიუ-იორკის MoMA-ში, ხატვისა და ბეჭდვის დეპარტამენტის რუსული ავანგარდული წიგნების განყოფილებაში (1910-1934), რომელიც ჯუდიტ როტშილდის ფონდის საჩუქარია MoMA-სთვის. აქ ბენო გორდეზიანი წარმოდგენილია როგორც ცნობილი ავანგარდული გამოცემის – H2SO4-ის ავტორი ირაკლი გამრეკელთან ერთად. ტიპოგრაფია და ილუსტრაციები ბენო გორდეზიანს ეკუთვნის, ყდის დიზაინი კი ირაკლი გამრეკელს (ინფორმაცია მოვიძიეთ ელექტრონული ჟურნალიდან — ARS GEORGIC, ავტორი: მარინა მეძმარიაშვილი — „ფუტურისტული წიგნი საქართველოში“ და ვებგვერდიდან (<https://at.ge/category/news/>), ავტორი: თეონა ჯაფარიძე).

როგორც ცნობილია, კომუნისტურმა ხელისუფლებამ არც ფუტურისტები დაინდო. 1928 წელს, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (H3Π) დასრულებით და ფორსირებული კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციის დაწყებით, დასრულდა შედარებითი თავისუფლება, რომელიც საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის არსებობას იტანდა. პირველ რიგში, დაიწყო ბრძოლა ე.წ. ფორმალისმის წინააღმდეგ. კომუნისტებისთვის შინაარსი იყო მნიშვნელოვანი, რადგანაც ხელოვნებას უყურებდნენ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ პროპაგანდის საშუალებას. შედარებითი თავისუფლება, რაც არსებობდა 20-იანი წლების

ბოლომდე, ჩაკლეს. საბჭოთა მთავრობამ პროლეტარი მწერლები მიუსია ყველა სხვა დაჯგუფებას, მათ შორის, მემარცხენე ფუტურისტებს, რომლებსაც ჰქონდათ პრეტენზია, რომ მხოლოდ მათ გაიგეს საბჭოთა ხელისუფლების კულტურის პოლიტიკა (იხ: ჯიმშერ რეხვიაშვილის სტატია — <https://www.radiotavisupleba.ge/a/30619384.html>).

მიუხედავად იმისა, რომ 1927 წელს გამოჩნდა მემარცხენეთა ახალი თაობა, 1928 წლისთვის მემარცხენეული იდეოლოგია თანდათან იმდენად შესუსტდა, რამდენადაც სახელოვნებო ამბოხი და რევოლუცია ხელოვნებაში სულ უფრო არასასურველი გახდა. კომუნისტების აგრესიულმა კამპანიამ ბენო გორდეზიანის მომავალზეც იქონია გავლენა. მისი შვილი რისმაგ გორდეზიანი ამბობს: „მამაჩემს ტრადიციულ და აკადემიურ პიროვნებად ვიცნობდი. მიჭირდა მისი წარმოდგენა ტრადიციულობასთან დაპირისპირებული ფუტურისტის როლში. ის ხშირად იხსენებდა ველიმირ ხლენიკოვთან, ლადო და ვახტანგ კოტეტიშვილებთან, ირაკლი გამრეკელთან, ტიცთან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, მიხეილ ჯავახიშვილთან, სანდრო ახმეტელთან ნაცნობობისა და მეგობრობის წლებს და მათი ნაწილის შემზარავი აღსასრულის ამბებს. მამაჩემმა მხატვრობას თავი დაანება, რადგან მხატვრობაც, გარკვეულწილად, დაკავშირებული იყო იდეოლოგიასთან. იდეოლოგიას კი შეეძლო მისთვის ძალიან ცუდი შედეგები მოეტანა, რისი მომსწრეც ბევრი მისი მეგობარი და თანა-



ბენო გორდეზიანის ნახატი

მონაწილე გახდა. ამიტომ მა-
მაჩამი მთლიანად გადაერთო
შრიფტის მეურნეობაზე“.

მრავალი წელი ბენო
გორდეზიანი ქართულ
შრიფტზე მუშაობდა. ეს ჯერ
კიდევ „H2SO4“-ის წევრობის
დროს დაწყებული პროექტი
იყო, თავისი არსით ფუტურ-
ისტული. მაშინ ის წერდა:

„ანბანი – ხმის გადმომცემი ნიშანი. თანამედროვე ნიშანის
საწყისი არის ბუნება (სოფელი). ქალაქი განვითარებული
ტექნიკით იძლევა ისეთ ხმებს, რომლის გამომთქმელი ნიშანი
ჯერ არ გაკეთებულა“.

1947 წელს დაარსდა ქართული შრიფტის მუდმივი
კომიტეტი, სადაც ბენო გორდეზიანი ხელმძღვანელობდა
მეცნიერულ კვლევით ლაბორატორიას. შექმნა მრავალი ახ-
ალი სახეობის ქართული შრიფტი; გამოსცა თეორიული ნაშ-
რომები: „ქართული მხედრული შრიფტი“ (1955), „ქართუ-
ლი სასტამბო შრიფტები“
(1961), „ქართული სასტამბო
შრიფტების ცნობარი-კატა-
ლოგი“ (1965).

რისმაგ გორდეზიანი
იხსენებს: „ცხოვრების მნი-
შვნელოვანი ნაწილი მამამ
ქართული საშრიფტო მეურ-
ნეობის აღორძინების საქმეს
მოახმარა. დღეს კომპი-
უტერული გრაფიკის ზეობის
ხანაში, ძნელია წამროდგენა,
რა დიდი შრომა და ნებისყო-
ფა სჭირდებოდა ახალ-ახა-
ლი სახის ყოველი ქართული
შრიფტის შექმნას. მამა ორ



ფუტურისტების ფურნალი



ფუტურისტების ფურნალის გარეკანი

ათეულ წელზე მეტი ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით აღორძინებულ ქართული შრიფტის ლაბორატორიას, იყო ქართული შრიფტის კომიტეტის ერთ-ერთი მესვეურთაგანი. იმ ხანებში, მამა დამამახსოვრდა სანერ მაგიდასთან მჯდარი ლუპიტა და ფანქრით ხელში, როცა მას დიდი რუდუნებით და მოთმინებით გამოჰყავდა ყოველი ქართული ასო, ახალი სახის ქართული შრიფტები, რომელთაც სამუდამოდ დაუკავშირდა მისი სახელი“.

1952 წლიან გამოვიდა ბენო გორდეზიანის მონოგრაფიები და გამოკვლევები: ოსებ შარლემანზე, გრიგოლ ტატიშვილზე, დავით ქუთათელაძეზე, ქართულ მხედრულ შრიფტზე, მიხაი ზიჩზე, ქართულ გრაფიკაზე და სხვა საკითხებზე.

მანამდე იბეჭდებოდა და ცალკე წიგნებად გამოდიოდა მისი როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ნამუშევრები („ნიკო ფიროსმანიშვილი“, „ხელოვნება განსაცდელშია“, „რატომ არ არის ყველა ნივთი ერთფერი“, „ქართველი მწერლები“ (წიგნი-ალბომი) და სხვა.) იგი წიგნებს მხატვრულადაც აფორმებდა.

მომავალში მისი ვაჟი — რისმაგ გორდეზიანი მამის ნაშრომებით ამაყობდა და იმ განცდებს იხსენებს დღესაც, რაც მას ბენო გორდეზიანის შემოქმედებასთან აკავშირებს.

„ყველა შვილს, განსაკუთრებით ბავშვობისას, მშობლებით თავის მოწონების სურვილი აქვს. ჩემს ამდაგვარ პატივმოყვარეობას ის აკმაყოფილებდა, რომ მამის მდიდარ ბიბლიოთეკაში იყო მთელი განყოფილებები, სადაც ყველა წიგნს მისი სახელი და გვარი — ბენო გორდეზიანი ეწერა. ბევრს შრომობდა, წერდა სახვითი ხელოვნების ისტორიისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. როგორც გრაფიკოსი, მრავალ წიგნს აფორმებდა.

მამაჩემი ნახალისების სხვადასხვა საშუალებას ეძებდა. მან დამიწესა პრემია გამოსაცემად გამზადებული მისი ყოველი წიგნის ხელნაწერში კორექტურული, სტილისტური თუ აზრობრივი უზუსტობის აღმოჩენისთვის. ვერ გეტყვით, რა უფრო მამოძრავებდა - პრემიის სურვილი თუ ჩემდამი გამოჩენილი ნდობა. ამ დავალებებს ყოველთვის პასუხისმგებლო-

ბით ვასრულებდი. ამან ბევრი სასარგებლო ჩვევა შემძინა — საოცრად დამაახლოვა სამყაროს, რომელშიც მამა მოღვაწეობდა. შეუმჩნევლად ვეზიარე გრიგოლ ტატიშვილის, იოსებ შარლემანის, ნიკო ფიროსმანის, მიხაი ზიჩის შემოქმედების საინტერესო მხარეებს; ქართული გრაფიკისა და შრიფტის ისტორიის პრობლემებს“, — წერს რისმაგ გორდეზიანი ავტობიოგრაფიულ წიგნში — „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო“.

ბენო გორდეზიანს 1954 წელს მთავრობის დადგენილებით მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისთვის“ და ქების სიგელით.

ბავშვობის წლები და საუბრები გერონტი ქიქოძესთან

რისმაგ გორდეზიანი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ბავშვობისდროინდელ იმ ფრაგმენტებს იხსენებს, რაც მის მეხსიერებაში სასიამოვნო შთაბეჭდილებებად დარჩა.

პატარა რისმაგი მშობლებს გერმანულ საბავშვო ბაღში შეუყვანიათ. ამ ბაღს რისმაგის დედამ მიაგნო და სამამულო ომის დასრულებისთანავე ყოველ დღე ატარებდა ტანტე მარტასთან გერმანულის სასწავლად. ამისთვის მამამ თავის მწირ ბიუჯეტში სათანადო ფინანსური რესურსის მონახვა შეძლო. „მშობლებმა ამაგის პირველი დაფასება მაშინ იგრძნეს, როდესაც გერმანელ ტყვეს მშობლიურ ენაზე გაესაუბრა მათი მცირეწლოვანი შვილი“, — იუმორით იხსენებს ამ ამბავს რისმაგ გორდეზიანი, რომელიც მთელი ცხოვრება მაღლიერია იმით, რომ სტუდენტობის წლებამდე ნახულობდნენ მშობლები მისთვის შესაძლებლობას, რომ უცხო ენების საუკეთესო მასწავლებლებთან ესწავლა.

რისმაგ გორდეზიანს განსაკუთრებით ახსოვს მამის მეგობრების წრეში გატარებული საათები, რაც ბავშვურ ცნობისმოყვარეობასაც უკმაყოფილებდა და პიროვნულადაც ზრდიდა.

„ჩვენი ბინა კიროვის, ახლა უკვე ლეონიძის ქუჩაზე მდებარეობდა. ეს იყო მამას მეგობრების თავყრილობების სასურველი ადგილი. ამ ერთოთახიან ბინას თავის ხიზლს სძენდა დედაჩემის, მეგრელი ქალის, ნანა სილოგავას მარჯვე ხელი. სტუმრები დიასახლისის საოცარ კულინარიულ ნიჭსაც მეტად სცემდნენ პატივს. მამის მეგობრებთან შეხვედრა განსაკუთრებით მიხაროდა. საინტერესო იყო ყოველი საღამო, რომლის დროსაც ყოველგვარი ოფიციალურობისა და აკადემიზმის გარეშე ცხარედ კამათობდნენ თავიანთი ქვეყნის კულტურაზე ცნობილი მწერლები, მხატვრები... გოგლა ლეონიძე, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გრიგოლია, სერგო ქობულაძე, შალიკო ბერიტაშვილი და კიდევ რამდენიმე მოღვაწე შემოვიდა ჩემს სამყაროში არა მხოლოდ თავისი ჩინებული შემოქმედებით, არამედ თავისი ჩვეულებრივი ყოველდღიური ადამიანური თვისებებითაც, როგორც მამას მეგობარი. განსაკუთრებული სიახლოვე მამას მაინც გერონტი ქიქოძესთან ჰქონდა. ჩემთვის ბედნიერი დღეები იყო, როცა მათთან ერთად მივდიოდი ქალაქგარეთ ისტორიული ძეგლების სანახავად და საშუალება მქონდა — მესმინა დიდი მამულიშვილის, ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ქართველი ინტელიგენტის, გერონტი ქიქოძის საუბრებისთვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ“, — წერს რისმაგ გორდეზიანი წიგნში „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო“.

14 წლის იყო, როდესაც დედას მათ ახლოს მცხოვრები სახლის მფლობელი ქვრივისგან, ერთი ღვთისწიერი ქალისგან — ანა კუზანოვასგან ბინის გადაცვლა მოუხერხებია. ქვრივს ყოველგვარი საზღაურის გარეშე შეუთავაზებია გორდეზიანების ოჯახისთვის ოროთახიანი ბინა ერთოთახიანის სანაცვლოდ და მათგან მხოლოდ კეთილ დამოკიდებულებას ითხოვდა. მამას — ბენო გორდეზიანს სიხარული ვერ დაუმაღლავს, რადგან არ უნდოდა მისი საყვარელი სოლოლაკის დატოვება.

რისმაგ გორდეზიანი ვაჟთა მეორე სკოლაში სწავლობდა. ქალთა და ვაჟთა სასწავლებლების გაერთიანების შემდგომ

მან სახელი შეიცვალა და 39-ე საშუალო სკოლად იწოდებოდა, მაგრამ დღემდე სასწავლებელს ვაჟთა მეორე სკოლის სახელი შერჩა. „სტალინის გარდაცვალების შემდეგ განათლების სისტემაში დანყებული ცვლილებების ყველაზე შთამბეჭდავი აქტი ერთსქესიანი სკოლების ტრანსფორმაცია იყო ქალ-ვაჟთა სასწავლებლებად. ჩვენს კაცურ საზოგადოებაში გოგონების შემოჭრამ თანაკლასელი ბიჭების სხვა სკოლაში გადასვლა გამოიწვია, რამაც თავიდან ძალიან გაგვანანყენა. მაგრამ მერე მივხვდით, რომ გოგონებმა ბიჭებზე ნაკლები მეგობრობა როდი იცოდნენ. ამასთან, მათ ჩვენს ყოველდღიურობაში შემოიტანეს რალაც ახალი — ქალური სინაზე და მშვენიერება. გამიჭირდება იმის თქმა, აქამდე სკოლიდან უფრო მეტი ქალი მეგობარი გამომყვა თუ ვაჟი“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი.

პირველი სასტიკი გაკვეთილი

რისმაგ გორდეზიანი მეცხრე კლასში იყო, როდესაც 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია დატრიალდა თბილისში. მკითხველს ამ დღის მოკლე ისტორიას შევახსენებთ, რადგან წიგნი თანამედროვეთა გარდა მომავალი თაობებისთვისაცაა განკუთვნილი და ბევრმა შეიძლება არც იცოდეს — რა მოხდა 1956 წლის 9 მარტს.

1956 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დახურულ სხდომაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი გამოვიდა მოხსენებით, რომელშიც დაგმო იოსებ სტალინის კულტი. ხრუშჩოვის გამოსვლამ საბჭოთა კავშირის არაერთი მოქალაქის შეშფოთება გამოიწვია. 4 მარტიდან საპროტესტო აქციები დაიწყო თბილისსა და სხვა ქალაქებში. ქართველი სტუდენტები თბილისის ქუჩებში სტალინისა და ლენინის პორტრეტებით გამოდიოდნენ. 7 მარტს მომიტინგეები ლენინის (ახლანდელი თავისუფლების) მოედანზე შეიკრიბნენ. მოვლენების მონაწილეთა თქმით, თავი მოიყარა 70-80 ათასამდე ადამიანი. 9 მარტს,

დილით, მიტინგზე გამოჩნდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჭავანაძე, რომელმაც შეკრებილებს მიმართა და დაშლისკენ მოუწოდა. ხალხის დასაშოშმინებლად მან თქვა: „ჭორია, მოგონილია, თითქოს სტალინზე ცუდი ითქვა“. მის მოწოდებას არავინ დაუჯერა. არსებობს მოსაზრება, რომ მიტინგზე შეკრებილები ითხოვდნენ ნიკიტა ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადადგომას. მომიტინგეთა პროტესტის საპასუხოდ კავშირგაბმულობის შენობის ფანჯრებიდან ტყვიამფრქვევებით დაიწყეს სროლა. გამოჩნდნენ ტანკებიც. მათ ხალხი გაიყვანეს ლენინის მოედნისკენ, სადაც სიმტებნამოცმული ავტომატებით შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა პუშკინის ქუჩით ხალხის სანაპიროსკენ გარეკვა დაიწყეს. ეს გაგრძელდა ღამის სამ საათამდე. დაფანტულმა ხალხმა კვლავ ძეგლთან დაიწყო შეგროვება, იქნებოდა ასე 1000-1500 კაცი. როდესაც მიმოფანტული ხალხი შეგროვდა და მიტინგი განახლდა, ჯარისკაცებმა ძეგლის კვარცხლბეკიდან ადამიანების ჩამოყრა დაიწყეს. მათ დაუნდობლად აგებდნენ ხიშტებზე. ხალხი სანაპიროზე და მის მიმდებარე ქუჩებსა და ჩიხებში გაიფანტა. ზოგიერთი თავის გადასარჩენად მტკვარშიც ხტებოდა. უცნობია, თუ ვისი ინიციატივით გაიცა მშვიდობიანი მომიტინგეების იარაღით დარბევის ბრძანება. არაოფიციალური მონაცემებით, აქციის დაშლისას დაიღუპა 100-დან 1000-მდე ადამიანი.

სწორედ ამ პროცესების შემსწრე რისმაგ გორდებიანი თავის წიგნში ჰყვება ერთ ასეთ ფრაგმენტს: „მეცხრე კლასში ვიყავით, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ შემოაღწია. 1956 წლის მარტის დღეები არასოდეს დამავიწყდება. პიროვნების კულტის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ საზოგადოებაში ფართომასშტაბიანი საპროტესტო მოძრაობის პროვოცირება მოახდინა. სტალინის კრიტიკა აღქმული იქნა ყოველივე იმის გადახაზვად, რასაც ამდენი ხანი ვუმღეროდით. სკოლაში სტიქიურად იქმნებოდა მოსწავლეთა კოლონები, რომლებიც სადღეღამისო მიტინგების ჩატარების ადგილებისაკენ მიემართებოდნენ. სწრაფად გამოჩნდნენ მეოცე საუკუნის სახალხო ტრიბუნე-

ბი, რომელთაც საკუთარ თავზე აიღეს აბორგენული ხალხის ორგანიზება. პირველად ვიგრძენი უკიდურესი დემოკრატიის სიტკბო, რომელმაც მალე იწყო გადასვლა ოხლოკრატიაში. ქუჩებში აღმოჩნდა სადემონსტრაციო მანქანები, რომლებზეც სტალინად და ლენინად გამონწყობილი მსახიობები ისხდნენ. ხალხი გაუთავებლად მოითხოვდა მათგან — აკოცეთ ერთმანეთს! ჩვენს საყვარელ მარშრუტად იქცა სკოლა, ტრიბუნის მთავარი მოედანი, სანაპიროზე მდებარე ბაღი, რომელშიც სტალინის ძეგლი იდგა.

ტრაგიკულ ღამეს მე და ჩემი მეგობარი ბაკურ ბერიტაშვილი გვიანამდე შევრჩით მოედანზე. ორატორები სტალინის აპოლოგიიდან პოლიტიკურ მოთხოვნებზე გადადიოდნენ, რაც საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში ნიკიტა ხრუშჩოვის სხვა პროსტალინისტურად განწყობილი პიროვნებებით ჩანაცვლებას გულისხმობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მიცემას მოითხოვდნენ. მიტინგის შემდეგ მოგვიწოდეს, ახლა სტალინის ძეგლთან, მთავარ თავყრილობაზე წავსულიყავით. უკვე დაღლილი ვიყავი. ბაკურს შინ დაბრუნება და ძეგლთან მეორე დღეს წასვლა ვურჩიე. შინ ახალი მისული ვიყავი, როცა სროლის ხმა გაისმა. მალე ქალაქი მომიტინგეთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ასპარეზად იქცა. ეს იყო სტალინის მემკვიდრეთა მიერ ჩვენთვის ჩატარებული პირველი სასტიკი გაკვეთილი“, — წერს რისმაც გორდეზიანი.

სკოლა და ოჯახი ჯაზის წინააღმდეგ

ე.წ. ყოფილი ვაჟთა მეორე სკოლის მოსწავლეებს სასწავლებლის მდებარეობაც ხელს უწყობდა — კულტურული ცხოვრებით დამტკბარიყვენენ, მით უფრო, თუკი მათ ამის დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ. რისმაც გორდეზიანის კლასი გამორჩეული ყოფილა ამ მხრივ, თუმცა ჯაზით გატაცებულებს სამომავლო გეგმები სკოლამ და ოჯახებმა ჩაუშალეს.

„კლასელთა კულტურული დონის ამაღლებაზე ჩემი ახლო მეგობრები ზრუნავდნენ. გოგი ალექსიძე, შემდგომში ცნობი-

ლი ბალეტმეისტერი, ოპერისა და საბალეტო დასის ხელმძღვანელი და დიმა ბათიაშვილი, შემდგომში წარმატებული კინორეჟისორი. პირველი ოპერისა და თეატრის ბილეთებით გვანებივრებდა, ხოლო მეორე ფორტეპიანოზე შესრულებული ჯაზური კომპოზიციებით. გოგი განსაკუთრებით საჭირო კაცი გახდა, როდესაც ოპერის თეატრში ვახტანგ ჭაბუკიანმა ალექსი მაჭავარიანის „ოტელო“ დადგა და მასზე ბილეთების მოპოვება ბალეტის თაყვანისმცემელთა ძირითად საზრუნავად გადაიქცა. დიმამ კი იმით აღგვაგზნო, რომ კლასის ჯაზ-ორკესტრის ჩამოყალიბება შემოგვთავაზა. იმ დროისთვის თბილისს მრავალი ორკესტრი სტუმრობდა, განსაკუთრებით განთქმული იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორკესტრი. დიმას ოცნების განხორციელებას ერთი დიდი დაბრკოლება ელოებოდა წინ. ჩვენ არ ვიცოდით ორკესტრის შექმნისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებზე დაკვრა. დიმამ პრობლემის მოსაგვარებლად იოლი გზა მონახა. ყველანი პიონერთა სასახლის სასულე ინსტრუმენტებზე დაკვრის შემსწავლელ წრეში მივედით. ახლაც მახსოვს, როგორ აღფრთოვანდა წრის ხელმძღვანელი ამდენი ქართველი ბიჭის დანახვით, მაგრამ ამ ოცნების აღსრულებას სკოლის ხელმძღვანელობისა და ჩვენი მშობლების აქტიური წინააღმდეგობა აღუდგა წინ. მაშინ სიტყვა ჯაზი ჯერ კიდევ „სულთმობრძავი და უზნეო კაპიტალისტური სამყაროს“ ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლებოდა. ველარ გავუძელით შემოტევებს სკოლასა თუ სახლში და ჯაზ-ორკესტრის შექმნაზე ხელი ავიღეთ. ჯაზის მოთხოვნილებას რადიოში „ამერიკის ხმის“ მუსიკალურ გადაცემებში აჟღერებული დიუკ ელინგტონის, ბენი გუდმანის და გლენ მილერის კომპოზიციების მოსმენით ვიკმაყოფილებდით. ეს უკანასკნელი ჩვენს კლასში განსაკუთრებით პოპულარული იყო, რადგან მის მოსასმენად და სანახავად ჩვენი თანაკლასელის, ნანა ბოკუჩავას სახლში თითქმის ყოველ დღე დავდიოდით. აქ ჰქონდათ იმ დროისთვის დიდი იშვიათობა — ოჯახური კინოპროექტორი და, სხვა ფილმების ფირებთან ერთად, კინოფილმ „ოქროს ველის სერენადის“ სრული ვერსია.

ჩვენი სკოლა თბილისის გულში, მენშევიკური დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ინგლისის საელჩოს კუთვნილ, ღია ფართო აივნებიან, მშვენიერ შენობაში იყო განთავსებული. აქედან ყველაფერი, რაც ქალაქის კოლორიტს თუ კულტურული ცხოვრების ძირითად კერებს წარმოადგენდა, სულ ახლოს იყო განლაგებული: ოპერა, კონსერვატორია, თეატრების უმეტესობა, აურაცხელი კინოთეატრი საზაფხულო თუ საზამთრო დარბაზებით, მუზეუმები და საგამოფენო დარბაზები, ფუნქულორი და მთანმინდის პანთეონი, კომკავშირის ხეივანი და ბოტანიკური ბაღი, ხელოვნების მუშაკთა სახლი და განთქმული სტელა-ბაღი, ძველი თბილისი თავისი აბანოებით, თბილისის მთავარი სახინკლე ველიამინოვზე, რომელშიც ყოველდღიურ სიარულს თითქმის რიტუალური ხასიათი ჰქონდა და, რასაკვირველია, რუსთაველის პროსპექტი, თავისი ლალიძის ნყლებით, რომელზეც გასეირნება საღამოს თვითპრეზენტაციის დამაგვირგვინებელი აქტი იყო“, — იხსენებს რისმაც გორდეზიანი.

მწერლობაზე უარის მიზეზი

როცა ბოლო კლასს ამთავრებდა, თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა — მწერალი გამოსულიყო. რამ შეაცვლევინა აზრი რისმაც გორდეზიანს? ვინ ითამაშა განსაკუთრებული როლი მის გადაწყვეტილებაზე?

„კლასში ოქროს მედლის რამდენიმე პრეტენდენტი ვიყავით. ბუნებრივია, გაგვიჩნდა ახალი საფიქრალი — სად ჩავაბაროთ? ჩემი არჩევანი რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: უკვე მეექვსე კლასში სტივენსონისა და ჟიულ ვერნის ნაწარმოებებით შთაგონებულმა რომანი დავწერე — „ხუთი წელი უცნობ კუნძულზე“, რომლის ილუსტრაციებიც ბაკურ ბერიტაშვილმა, ამჟამად ცნობილმა გეოფიზიკოსმა „შექმნა“. თანდათანობით პროზასთან ერთად პოეზიასაც შევეთამაშე. ხოლო მას შემდეგ, რაც დამამთავრებელ კლასში ქართველ თუ ამერიკელ მწერალთა წაბაძვით რომანი დავწერე, სერიოზულად გადავწყვიტე მწერლობა, რაშიც მე და

გურამ სხირტლაძე ერთმანეთს ვაქეზებდით. ბავშობიდან მქონდა მჭიდრო ურთიერთობა, უკვე მაშინ, თავისი ლექსებითა და თარგმანებით ახალგაზრდებში ძალზე პოპულარულ ვახუშტი კოტეტიშვილთან, რომელიც იმხანად უნივერსიტეტის უფროსკურსელი სტუდენტი იყო და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაბარებას მირჩევდა. გადამწყვეტი მაინც ჩემი ქართულისა და სკოლის დირექტორი ვარლამ თავაძე იყო. სხვა მასწავლებლებისაგან განსხვავებით, რომლებიც თვალს ხუჭავდნენ ორთოგრაფიულ თუ გრამატიკულ შეცდომებზე და უმაღლესი ქულებით მანებივრებდნენ, მან არაფერი მაპატია და ჩემთვის უჩვეულო სამიანი, ანუ დამაკმაყოფილებელი დამინერა. როდესაც გაკვირვება შემატყო, დამიბარა და დეტალურად ამიხსნა — თუ რისი გამოსწორება იყო საჭირო. რამდენიმე კვირაში უკვე ისე ვწერდი, რომ ვარლამ მასწავლებელს სასაყვედურო აღარაფერი ჰქონდა. და აი, მან, რომელმაც გამართულ წერას მიმაჩვია, დამამთავრებელ წელს მირჩია — ან მათემატიკოსობა, ან ფიზიკოსობა ამერჩია. მაშინ ახალგაზრდებში ეს დარგები ყველაზე უფრო პოპულარული იყო. ჩემს ყოყმანს ისევ მან დაუსვა წერტილი. გამოსაშვები გამოცდების შემდეგ მან დამიბარა და უკვე გადაჭრით მირჩია — ჩამებარებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სკოლამ მეც და ჩემს თანაკლასელ მეგობრებსაც მოგვცა საფუძვლიანი საბაზისო



რისმაც გორდეზიანი სტუდენტებთან ერთად

განათლება, გვასწავლა მეგობრობა და დღემდე დაგვიტოვა სურვილი მოვინახულოთ ხოლმე ჩვენი „მეორე ვაჟთა“, სადაც ცხოვრების 11 ბედნიერმა წელმა განვლო“, — წერს რისმავ გორდეზიანი თავის წიგნში „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო“.

* * *

მართალია, რისმავ გორდეზიანს თავიდან სერიოზული მიზნები ჰქონდა — პოეტი ან მწერალი გამხდარიყო, მაგრამ შემდეგ არადანი არჩევანმა შეცვალა და 1958 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. პირველ კურსზევე, როცა ანტიკური ლიტერატურის ისტორიის კურსის ხელმძღვანელმა, პროფესორმა პანტელეიმონ ბერაძემ მას სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისთვის ჰომეროლოგიის თემაზე მოხსენების მომზადება შესთავაზა, უკვე მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მეცნიერების გზას შესჭიდებოდა. მესამე კურსზე იყო, როდესაც უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა. 1963-1966 წლებში რისმავ გორდეზიანი უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტურაში სწავლობდა და 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ილიადის“ ხომალდთა კატალოგი“. რისმავ გორდეზიანი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში წერს სტუდენტობის პერიოდზე, რამაც იგი საბოლოოდ დააკავშირა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

„იმ წელს, როდესაც მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი, ოქროს მედალოსნებს ყველა პრივილეგია ჩამოგვართვეს და მხოლოდ იმას დაგვპირდნენ, რომ თანაბარი ქულების შემთხვევაში უნივერსიტეტში ჩარიცხვისას უპირატესობა ჩვენ მოგვენიჭებოდა. მაქსიმალურმა ქულებმა კონკურენციისგან მიხსნეს და 1958 წლის 1 სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, მთელი ჩემი ცხოვრებაა. აქ გავატარე 60 წელი. არასოდეს გადავსულვარ

აქედან სხვა სამსახურის პრივილეგიებს დახარბებული სადმე სამუშაოდ. აქ ჩამოყალიბდა ჩემი პედაგოგიური და სამეცნიერო კარიერა, აქ ვისწავლე სხვადასხვა ასაკისა და ტემპერამენტის ადამიანებთან ურთიერთობა, აქ მქონდა ბედნიერება მესწავლა ჩვენი რჩეული პროფესორებისგან და შემდეგ თავადაც მესწავლებინა როგორც ლექტორს, აქ შევიძინე მეგობრები, რომლებიც მთელი ცხოვრება მხარში მიდგანან, აქ შემახვედრა განგებამ ჩემს მომავალ მეუღლეს, აქ მოღვაწეობენ ამჟამად ჩემი ვაჟი, მისი მეუღლე და მრავალი ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, რომლებიც თავიანთ მასწავლებლად მთვლიან.

კურსზე რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი 130-მდე სტუდენტი ვირიცხებოდით. ჩვენს ჯგუფში თავი მოიყარა საკმაოდ ამბიციურმა (ამ სიტყვის ყველაზე პოზიტიური გაგებით) და განათლებულმა სტუდენტობამ. ეს შტრიხები პირველივე შეხვედრების და ფუნიკულორის რესტორანში ე.წ. გაცნობითი ტრაპეზის შემდეგ თანდათანობით გამოიკვეთა. მრავალი მათგანი შემდგომში საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი გახდა. სამწუხაროდ, რამდენიმე მათგანი უკვე აღარ არის ჩვენ შორის: ვახტანგ გოგუაძე, გურამ შარაძე, რომლის ტრაგიკულმა მკვლელობამ მთელ ქვეყანას შოკი მოჰგვარა; ვახტანგ როდონაია, ჩვენი თაობის უგანათლებულესი და უკეთილშობილესი წარმომადგენელი; გურა კვარაცხელია, თამაზ კვაჭანტირაძე, ზაზა აბზიანიძე, გურამ ბენაშვილი და არაერთი სხვა, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს მეცნიერებისა თუ მხატვრული კულტურის განვითარებაში.

პირველ კურსზე სხვა საგნებთან ერთად გვეკითხებოდა ანტიკური ლიტერატურის ისტორია. კურსი პროფესორ პანტელეიმონ ბერაძეს მიჰყავდა. ჰომეროსისადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და ბერძნული ჰექსამეტრის ქართულ ძირებზე გატაცებით საუბრით მან იმთავითვე ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ხოლო მას შემდეგ, რაც მან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისთვის მოხსენების თემაც კი შემირჩია — „ცეზურა დაქტილურ ჰექსამეტრში“, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ჰომეროსობას ვერ შევძლებდი, ხოლო მისი

პოემების შესწავლის საფუძველზე რაღაც აზრის გამოთქმას, სავარაუდოდ, შეეძლებოდა. როდესაც ჩემი ჭმუნვების შესახებ ვახუშტი კოტეტიშვილს გავუზიარე, მან მწერლობასა და მეცნიერებას შორის გაკეთებულ ჩემს არჩევანს მხარი დაუჭირა და ამით ჩემი პოეზიისა და პროზის მიმართ დამოკიდებულება დელიკატურად გამოხატა. აქედან მოყოლებული არ დამინერია არც ერთი ლექსი თუ მოთხრობა, სამაგიეროდ, ყოველწლიურად სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე ერთი ან ორი მოხსენება გამქონდა. ჩემს გადახრას მეცნიერებისაკენ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ალექსანდრე (ალიკა) ალექსიძის წინადადებას, ჩავრთულიყავი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში, რომლის თავჯდომარე იმხანად თვითონ იყო“ (ამონარიდი წიგნიდან — „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო“).

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარეობა

რისმაგ გორდეზიანი მესამე კურსზე იყო, როდესაც ასპირანტურაში ჩაბარების შემდეგ, ალექსანდრე (ალიკა) ალექსიძემ უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარეობა მას გადააბარა. „ჩვენ საკმაოდ დიდი უფლებები გვქონდა. ყოველწლიურად ვატარებდით სტუდენტთა საუნივერსიტო კონფერენციებს, რომელზეც ყოველწლიურად ვინვევდით 60-70 სტუდენტს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, რომელთაც უზრუნველყოფდით საერთო საცხოვრებლით. დასასრულ, გვქონდა ერთდღიანი ექსკურსია ასეთი მარშრუტით: თბილისი-მცხეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი. კონფერენციას აგვირგვინებდა ფინალური ვახშამი, რომელზეც სტუმრებიცა და მასპინძლებიც სწრაფად ვინაცვლებდით სამეცნიეროდან გასტრო-ჰედონისტურ ტალღაზე. ჩვენი მხრივ, ყოველწლიურად საბჭოთა კავშირის ყველა წამყვან უნივერსიტეტში ასევე 60-70 სტუდენტს ვაგზავნიდით მოხსენებით იქ გამართულ სტუდენტთა კონფერენციებზე, რეგულარულად გამოცემ-

დით სტუდენტთა შრომების საუნივერსიტეტო კრებულებს. აქ მუშაობამ ბევრი რამ შემძინა. გამაცნო ჩემი თაობის მეცნიერებაზე ორიენტირებული მრავალი სხვადასხვა დარგის სტუდენტი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ბევრი მათგანი შემდეგ ცნობილი მეცნიერი გახდა. აქ შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს, რომელიც მაშინ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა. ჩემი, თითქმის ოთხწლიანი თავმჯდომარეობის განმავლობაში, უშუალო ხელმძღვანელი იყო თსუ-ის პრორექტორი, პროფესორი მათე მირიანაშვილი, ენციკლოპედიური განათლების ადამიანი, გამოჩენილი ფიზიკოსი და უაღრესად დახვეწილი ინტელიგენტი. ძალზე გამიმართლა, რომ იმხანად უნივერსიტეტის რექტორი იყო დიდი ქართველი ინტელიგენტი, სახელგანთქმული მეცნიერი-ასტრონომი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. იგი იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი საუკეთესო რექტორი.

პირველი ჟურნალის შთამბეჭდავი შემადგენლობა

როგორ დაიბადა იდეა უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო ლიტერატურის მიმომხილველი ჟურნალი გამოეცათ? რისმაც გორდებოიანი გვიყვება — როგორ მოიყვანეს სისრულეში უნივერსიტეტის სტუდენტებმა თავიანთი ახალი ინიციატივა.

„ჰომეროლოგიისა და წინაბერძნული მოსახლეობის საკითხებზე რამდენიმე მოხსენების გაკეთების შემდეგ, სადიპლომო თემად მეოთხე კურსზე, დაცვამდე ორი წლით ადრე ავირჩიე „ილიადის“ „ხომალდთა კატალოგი“. უნივერსიტეტისა და კლასიკური ფილოლოგიის კათედრის, თვით სიმონ ყაუხჩიშვილის ცნობილ, უაღრესად მდიდარ პირად ბიბლიოთეკაში მაშინ უახლესი უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის საოცარი სიმწირე იყო. სერიოზული სამეცნიერო მუშაობისთვის მოსკოვსა და პეტერბურგში მივლინება იყო საჭირო იქაურ ბიბლიოთეკებში ახალი პუბლიკაციების

გასაცნობად. სწორედ იმ წელს დავქორწინდი. საქორწინო მოგზაურობისთვის მოსკოვი შევარჩიეთ. ჩემს ცოლსაც, ახალი ოჯახის მოწყობაზე ფიქრთან ერთად, თავისი მომავალი სადიპლომო თემისათვის სათანადო ლიტერატურის მოძიების პრობლემაც ანუხებდა. მოსკოვში გატარებული თითქმის ორი თვე ჩვენთვის იქაური თეატრებისა და მუზეუმების მონახულებითა და ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გულმოდგინე, ახალდაქორწინებული წყვილისთვის სავსებით უჩვეულო გულმოდგინე მუშაობით აღინიშნა. მოსკოვიდან დაბრუნებულმა ვიგრძენი, რომ ჩემი გათვითცნობიერების ხარისხი კლასიკურ ფილოლოგიაში იმდენად ამაღლდა, რომ ჩემთან წინაბერძნულ-ქართველურ ურთიერთობებზე, ჰომეროლოგიის პრობლემებზე საუბარი არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ პროფესორებისთვისაც საინტერესო გახდა. მე კი განსაკუთრებით ორი სურვილი ამეკვიატა, დამეწყო უნივერსიტეტში ახალი სამეცნიერო ლიტერატურის მიმომხილველი ჟურნალის გამოცემა. პირველი იდეისთვის ფრთების შესასხმელად საჭირო ოყო თანამოაზრეთა მოძიება. თანამოაზრეთა საკმაოდ შთამბეჭდავი შემადგენლობა მალე შეიკრიბა. სარედაქციო კოლეგია დარგების მიხედვით ასე დაკომპლექტდა: კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტინოლოგია — ალექსანდრე ალექსიძე, რისმაც გორდუზიანი; ენათმეცნიერება — თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი, გივი ნებიერიძე, გურამ რამიშვილი, ივ. ქავთარაძე; ფილოსოფია და ფსიქოლოგია — დალი ფარჯანაძე; აღმოსავლეთმცოდნეობა — რევაზ გაჩეჩილაძე, ნოდარ ჯანაშია; ისტორია — ნოდარ კიკვაძე; ლიტერატურათმცოდნეობა — გასტონ ბუაჩიძე, ელგუჯა ხინთიბიძე; მათემატიკა და ბუნებისმეტყველება — ზაურ ჭანტურია. ამასთან ერთად დავინწყეთ გამოცემის უფლების მოპოვებისთვის ბრძოლა. მივედი განათლების მინისტრთან, ბატონ გიორგი ჯიბლაძესთან. მან მოგვინონა იდეა, თუმცა პირდაპირ მითხრა, რომ მოსკოვიდან ჟურნალის გამოცემის უფლების მიღების დიდი იმედი არ ჰქონდა და მირჩია — ჩვენი გამოცემისათვის კრებული გვეწოდებინა. ამ სახელწოდებით გამოცემებს არც საჟურნალო გრიფი და

არც მოსკოვის ნებართვა არ სჭირდებოდა. ასეც მოვიქეცი. „სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებულის“ პირველი ნომერი 1963 წელს გამოვეცით. ამას მოჰყვა შემდეგ კიდევ 8 ნომერი. კრებულის სახელწოდებაში შევიდა ერთი დამატებითი ტერმინი და იგი საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული - მიმომხილველი. ბოლო ნომერი 1972 წლით თარიღდება. რაც შეეხება სპეციალიზებული ბიბლიოთეკის შექმნის იდეას, მისი სრულმამულებიანად დაწყება მხოლოდ 1982 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც თსუ-ში ცეკა-დან მეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელის, ემილ სეხნიაშვილის თანადგომის შედეგად, ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის შექმნის ნება დაგვრთეს. ამით, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაეყარა სპეციალიზებული ბიბლიოთეკის შექმნასაც და 15 წლის შემდეგ იმ ინსტიტუტის დაფუძნებას, რომელიც დღეს ჩვენს დარგში საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრს წარმოადგენს“ (ამონარიდი წიგნიდან „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო“).



რისმაგ გორდე ზიანი, ელგუჯა ხინთიბიძე და ალექსანდრე ალექსიძე სტუმრად ოთარ ლორთქიფანიძესთან ვანის გათხრებზე.

ლექტორად მონათვლის „რიტუალი“ და პასუხისმგებლობა კორიფეების წინაშე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის ფასს ყველა, ალბათ, ვერ ხვდება და ვერ აცნობიერებს — აქ მიღებული განათლება და შემდგომ უკვე მეცნიერული გზის არჩევა რა მხრივ არის ღირებული? ის, რომ დღეს უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების 1,5 %-ში ფიგურირებს, ეს თავმონონების სხვა თემაა და ეს ინფორმაცია სხვა რეაქციებს საჭიროებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა სხვა ფაქტორებითაც იყო და არის ბევრისთვის მნიშვნელოვანი და ვინ, თუ არა რისმაც გორდუხიანმა, ეს ყველაზე უკეთ იცის.

„ჩემს თაობას უნივერსიტეტში სწავლა და საქმიანობა ალმა მატერის საუკეთესო წლებში მოუხდა. აქ ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ ივანე ჯავახიშვილის თანამდგომნი, 30-იანი და 50-იანი წლების განმავლობაში არასანდოთა თუ სარეპრესიოთა სიებში შეყვანილი ის პროფესორებიც, რომლებსაც უნივერსიტეტში „გამოჩენის“ ნება კიდევ დართეს. უნივერსიტეტის აუდიტორიებსა თუ დერეფნებში ყოველდღიურად ვხვდებოდით იმ პროფესორებს, რომლებსაც მთელი საქართველო იცნობდა და პატივს სცემდა: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი და მრავალი სხვა. თანდათან სულ უფრო და უფრო გაბედულად გვიყვებოდნენ ჩვენი კათედრის დამაარსებელზე უნივერსიტეტში — გრიგოლ წერეთელზე — ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ უდიდეს ფიგურაზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის მოწვევით თბილისში დამკვიდრებულ პროფესორთა შორის პირველთა რიგებში იყო. 30-იანი წლების რეპრესიებმა იგიც შეინირა ისე, რომ მისი დაკრძალვის ადგილი სამუდამოდ უცნობი დარჩა. 2014 წლის მინურულს მისი სახელი და გვარი ამოიკვეთა მთაწმინდის პანთეონ-

ში რეპრესიების მსხვერპლი თვალსაჩინო ქართველი მოღვაწეების მემორიალურ დაფაზე.

ასპირანტურაში ჩემი უშუალო ხელმძღვანელი პროფესორი პანტელეიმონ ბერაძე იყო, შესანიშნავი მთარგმნელი და ბერძნულ-ქართული ლექსთნცობის, წინაბერძნულ-ქართული ურთიერთობების საკითხთა მკვლევარი. ასპირანტურის პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც დამაკის-



გრიგოლ წერეთელი

რა საღამოს დასწრებული განყოფილების სტუდენტებისათვის ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში წამეკითხა ლექციები. მთელი ორი აკადემიური საათის განმავლობაში იგი დერეფანში დადიოდა, ჩემზე არანაკლებ ღელავდა იმაზე, თუ როგორ ჩატარებოდა ჩემი ლექტორად მონათვლის „რიტუალი“. მართალია, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოში აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და ზეპირ საუბარს მიჩვეული ვიყავი, უკვე ჩატარებული მქონდა რამდენიმე სემინარი კლასიკურ ენებში, მაგრამ ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე ლექციის წაკითხვის წინ საკმაოდ ვღელავდი და ეს აღელვება აუდიტორიაში შესვლისა და იქ ჩემზე ასაკით გაცილებით უფროსი სტუდენტების ხილვის შემდეგ გამიორკვეცდა. ჩემ დანახვაზე ზოგიერთ მათგანში მშობლიურმა გრძობამ გაიღვიძა და აქეთ-იქედან გაისმა შეძახილები: „მოდი, შვილო“, „დედა, რა ახალგაზრდაა“... ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, როდესაც შევეუდექი ლექციის კითხვას. ლექციის შემდეგ კოლექტიურად გამოხატული „მადლობა“, ყველაზე „ხანდაზმული სტუდენტებისგანაც“ კი ჩემდამი მომართვისას სავსებით სერიოზულად წარმოთქმული „ბატონო, რისმაგ“-ის მოსმენა, ჩემი გახარებული ხელმძღვანელის

მოლოცვები იმაზე მიმანიშნებდა, რომ ჩემს ცხოვრებაში ცუდად არ დაიწყო გზა, რომელზეც სვლა გადავწყვიტე“, — წერს რისმაც გორდეზიანი წიგნში „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო“.

სვლები ჰომეროლოგიაში და აქილევის ქუსლი

ცნობისთვის: დღემდე არსებობს მკვლევართა ნაწილის აზრი, რომლის მიხედვითაც „თანამედროვე ლიტერატურის ფუძემდებლად“ ცნობილი ლეგენდარული ბერძენი პოეტის — ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ ერთი კაცის დაწერილი არ არის. ჰომეროსის პოემათა ერთიანობის კვლევის საკითხებით დაინტერესებული რისმაც გორდეზიანი შემდგომშიც, 1974 წელს სწორედ ჰომეროსთან დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებით იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ჰომეროსის ეპოსის ერთიანობა და ფორმირება“. კვლევაზე დაფუძნებული მყარი არგუმენტებით ქართველი მეცნიერის მტკიცებულებანი მალე მსოფლიო ყურადღებას იმსახურებს. სწორედ ამ თემაზე გვიყვება ამბავს რისმაც გორდეზიანი, რომელიც მსოფლიო მეცნიერების მხარდაჭერასაც იმსახურებს: „უნდა გითხრათ, რომ გაბედულება შემძინა იმან, რომ ჩემი მოხსენებები, რომელსაც ჰომეროლოგიაში ვკითხულობდი, ტარდებოდა საკმაოდ მაღალ სამეცნიერო დონეზე. მოგეხსენებათ, მაშინ საბჭოთა კავშირში იმართებოდა საკავშირო კონფერენცია კლასიკურ ფილოლოგიაში, სადაც თავს იყრიდნენ ძალიან ცნობილი მეცნიერები. რუსეთს მაშინ ბევრი ძალიან ცნობილი მეცნიერი ჰყავდა. მათ შორის ერთ-ერთი კორიფე იყო ალექსეილოსევი, 50 წლის უსინათლო კაცი, ჰომეროსზე ლეგენდებს რასაც ჰყვებოდნენ, დაახლოებით ისეთი. ასევე ჰომეროლოგი, ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ავტორი, ანტიკური ესთეტიკის ისტორიის და ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი მკვლევარი საბჭოთა კავშირში გახლდათ იოსიფ ტრონსკი და კიდევ პოპულარული იყო ბევრი სხვა მეცნიერიც. ესენი ყველა ესწრებოდა ამ საკავშირო კონფერენციებს. კონფერენციებზე ჩემთვის უდიდესი

მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ჩემი მოხსენებების შემდეგ ლოსევი, ტრონსკი და სხვები მამხნევებდნენ და ეთანხმებოდნენ ჩემს მოსაზრებებს მაშინაც კი, თუ ადრე საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ რაღაც საკითხთან დაკავშირებით. ეს, ფაქტობრივად, მინთებდა მწვანე შუქს და სითამამეს მმატებდა, რომ ჰომეროსზე მეტი გამეკეთებინა და მეტი დამენერა.

როგორც ზემოთ ვახსენე, პირველი სერიოზული გამოცდა უმაღლეს დონეზე კიევში გამართულ საკავშირო კონფერენციაზე ჩავაბარე, რომელსაც კლასიკურ ფილოლოგიაში მაშინდელი საბჭოთა კავშირის მთელი ელიტა ესწრებოდა. ჩემი მოხსენება ჰომეროლოგიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საკამათო საკითხს — „ილიადას“ „ხომალდთა კატალოგის“ ავთენტურობას ეხებოდა. მახსოვს, როგორი სიჩუმე ჩამოვარდა დარბაზში, როდესაც მოხსენების დასრულების შემდეგ ყველა ინტერესით ელოდა, თუ როგორ ასწავლიდნენ ჭკუას ცნობილი რუსი მეცნიერები „თაფხედ ქართველ ბიჭს“, რომელმაც ჰომეროლოგიაში ცხვირის ჩაყოფა მოინდომა. ნამოდგა ალექსი ლოსევი, რომლის მონოგრაფია ჰომეროსზე მაშინ სამაგიდო წიგნად ითვლებოდა და ბევრისათვის მოულოდნელად არ დაიშურა საქებარი სიტყვები მოხსენების მიმართ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ფინალური




ფრაზა: „მართალია, მე განსხვავებული აზრის ვიყავი, მაგრამ მომხსენებელმა დამარწმუნა თავისი დასკვნების სისწორეში“. ლოსევს მხარი აუბეს იოსიფ ტრონსკიმ, ვიქტორ იარხომ, ფიოდორ პეტროვსკიმ... ამ უშურველმა მხარდაჭერამ უცბად მაქცია დამსწრეთა თვალში „ახალგაზრდა, მაგრამ ანგარიშგასანევ მეცნიერად“.

მე, პირველმა, ფაქტობრივად ვაჩვენე — რას ეფუძნება „ილიადას“ სტრუქტურული სიმეტრია, რომ „ილიადას“ ნაწილები ერთმანეთთან სტრუქტურულად არიან დაკავშირებული. მსგავსი მცდელობები მანამდე სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ მე შევეცადა მეჩვენებინა, რომ მთელი „ილიადა“ აგებულია იმ პრინციპზე, რომ სიმღერები და სიმღერების სცენები ერთმანეთს ეხმიანებიან პოემის დასაწყისში და პოემის მეორე ნაწილში. ანუ ისინი ერთმანეთთან არიან ორგანულად დაკავშირებული. ეს, ფაქტობრივად, „ილიადას“ ერთიანობის დამტკიცების მხრივ იყო ერთ-ერთი მძლავრი არგუმენტი, რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, გაიზიარეს ჰომეროლოგებმა, რაც ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო. გავიდა წლები და, აი, რამდენიმე თვის წინ გერმანიიდან გამომიგზავნეს სტატია. ერთ-ერთ გაზეთში ვილაც წერდა — ჰომეროსის პოემების ერთიანობაზე ყველაზე უფრო ფასეული აზრი ვინ გამოთქვა? ასახელებდნენ ერთ გერმანელ მეცნიერს და მეორე მე ვიყავი. სტატიაში აღნიშნული იყო ისიც — რა სიახლე შემოვიტანე ჰომეროლოგიაში“, — ამბობს ჩვენთან საუბარში რისმავ გორდეზიანი.

ახალგაზრდა, მაგრამ ანგარიშგასანევ მეცნიერად აღიარება რისმავ გორდეზიანს სწორედ ჰომეროლოგიაში ახალი აზროვნების სტილით შემოტანილმა კვლევამ მოუტანა. სერიოზულ სამეცნიერო პაექრობებში გამარჯვებულ რისმავ გორდეზიანს სამეგობრო წრემ ე.წ. „დესერტაციისთვის“ შოუ მოუწყო. მეგობართა შორის რევაზ გაჩეჩილაძემ რისმავ გორდეზიანის დისერტაციას „მხატვრულ-დოკუმენტური“ ფილმი მიუძღვნა, რომელშიც ბოროტის პერსონაჟს ვახტანგ როდონაია ასრულებდა. თამაზ კვაჭანტირაძემ კი იუმორისტული დეპეშები გამოგზავნა თურმე სხვადასხვა პიროვნებების

სახელით. მაგალითად: ჰომეროსისგან მიღებულია დეპეშა — „გამიკეთე ნომერი, ჰომერი“, მშობლებისგან მიღებულია დეპეშა წარწერით: „ახლა რამღა დაგვაბეროს — დედა ნანა, მამა ბენო“. სიმამრისგან ვითომ გამოგზავნილ დეპეშაში ეწერა: „სანამ არ ხარ პროფესორი, ჩვენს ოჯახში მინორია, შენი ოთარ ჯინორია“. ცეკადან გამოგზავნილ დეპეშაში კი ნათქვამია: „გესალმებით ცეკადან სიხარულით აღვსილი,



ჰომეროსი

მჟავანაძე ვასილი“. ეს იუმორისტული გადახვევა მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ რისმაგ გორდეზიანის ატმოსფერო შევიგრძნოთ, რომელიც მეცნიერული ნიაღვრების გარდა დიდ სამეგობროსთან ადამიანური ურთიერთობებითაცაა გაჯერებული.

ასე რომ, ჰომეროლოგიაში ძალების მოსინჯვამ მეცნიერს წარმატება მოუტანა და აქილევსის ქუსლად მიჩნეული ჰომეროსის პოემათა ერთიანობის პრობლემა მსოფლიოს გარკვეული სამეცნიერო წრეების ვერსიების საპირისპირო მტკიცებულებებით გადაჭრა. რადგან აქილევსის ქუსლზე ვსაუბრობთ, აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ ეს ფრაზაც ანტიკური ეპოქის კუთვნილებაა და აი, რატომ: ტროას ომის ცნობილი ბერძენი გმირის — აქილევსის სიკვდილის მიზეზი ქუსლი იყო, რის შემდეგაც შემოგვრჩა გამონათქვამი — „აქილევსის ქუსლი“. აქილევსს დედა უკვდავი ქალღმერთი თეტი-სი ჰყავდა, ხოლო მამა — მოკვდავი პელევსი. დედას სურდა შვილი უკვდავი გაეხადა და მას წმინდა მდინარის, სტიქსის წყლებში აბანავებდა ისე, რომ ქუსლები ხელით ეჭირა. ამდენად, აქილევსის ტანი იარაღიდან გასროლისგან იყო დაცული, სუსტი წერტილი კი ქუსლები იყო. მისი სიკვდილის მიზეზი

სწორედ ქუსლი გახდა ტროას ომში. ამიტომ ადამიანის სუსტ ნერტილზე საუბრისას ამბობენ — „აქილევსის ქუსლი“. ამ განმარტებაში ძალიან პატარა ეპიზოდი ჩანს იმ ლეგენდარული ამბებიდან, რაც, ზოგადად, ანტიკურ პერიოდს უკავშირდება. სწორედ ამ ლეგენდარული თუ გადმოცემით ჩვენამდე მოსული თავგადასავლების ქართველი „მეისტორიეა“ რისმაც გორდუზიანი, რომელიც ჰომეროლოგად იმკვიდრებს სახელს კლასიკურ ფილოლოგიაში და „ილიადა“-სთან მიმართებით მსოფლიოს სუსტ ნერტილს (აქილევსის ქუსლს) გასაღებს უძებნის.

უნივერსიტეტიდან ხელშეწყობილი მოგზაურობა რომში

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ რისმაც გორდუზიანი კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე ასისტენტად დაინიშნა. უკვე გამოსული იყო მისი წიგნი — „ილიადა და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“, როდესაც უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა და აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, ერთ დღესაც, ახალგაზრდა თანამშრომელი კაბინეტში დაიბარა.

„ილია ვეკუას ჰქონდა ასეთი ჩვევა. მასთან გამომცემლობას შეჰქონდა ყველა წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი, ანუ ჯერ არ იყო ბაზარზე გამოსული. იგი ათვალთვლებდა ამ წიგნებს და განსაკუთრებით ათვალთვლებდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლების წიგნებს, რადგან აინტერესებდა — რას ამბობენ ახალს. მისი პრიციპი იყო — თუ მე, რაც შენ გინერია, ყველაფერი უკვე ისედაც ვიცი და ყველაფერში ვერკვევი, ე.ი. არაფერს ახალს არ ამბობ, მაგრამ თუ არის რაღაც, რაშიც მე ვერ ვერკვევი და შენ რაიმე საინტერესოს მანვდი, ე.ი. შენ ამბობ რაღაც ახალს! და, აი, ჩემი წიგნის გამოსვლის შემდეგ მეძახიან, რომ რექტორი ილია ვეკუა გიბარებსო. მართალი გითხრათ, გულმა რეჩხი მიყო, ვიფიქრე — რაშია საქმე? ნეტავ რაიმე ხომ არ შევცოდე ჩემს

პედაგოგიურ მოღვაწეობაში? არ ვიცოდი — რასთან დაკავშირებით მიბარებდა. რომ შევედი, მითხრა: — მე თქვენი ნიგნი ნავიკითხეო. რამდენიმე საკითხზე დამელაპარაკა და მკითხა: — რას ფიქრობთ თქვენ, იტალიაში რომ გაგაგზავნოთ მივლინებით, როგორ შეხვდებოდით ამასო. ეს მაშინ აუხდენელი ოცნება იყო. მე, რასაკვირველია, ჩემი აღტაცება გამოვხატე და, მართლაც, რამდენიმე თვეში სტაჟიორად გამაგზავნეს იტალიაში. მაშინ ამგვარი საკითხების გადაჭრა მხოლოდ მოსკოვში ხდებო-



ილია ვეკუა

და. ბატონ ილიას უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა ქვეყნის მასშტაბით. დადებითი პასუხი მოსკოვიდან მალე მოვიდა და 1972 წლის შემოდგომაზე, სხვადასხვა რესპუბლიკებიდან შეკრებილ სტაჟორთა სხვადასხვა ჯგუფთან ერთად მოსკოვიდან რომში გავფრინდი.

რას გულისხმობდა სტაჟირება? — იყო ასეთი ქალაქი იტალიაში — პერუჯა, სადაც უცხოელებისთვის არის ძალიან ცნობილი უნივერსიტეტი, სადაც დაჩქარებული ტემპით გასწავლიდნენ იტალიურ ენას, რათა შემდეგ საშუალება ექონოდა იტალიაში გემოგზაურა და შენი საქმე გაგეკეთებინა. უნდა მოგახსენოთ, რომ 20 დღე დამჭირდა და მე ავლაპარაკდი იტალიურად. ენის ათვისების დაგვირგვინება იყო ის, რომ ბოლოს მე უნდა ჩამეტარებინა იტალიურ ენაზე ლექცია საქართველოს შესახებ. ეს ამბავი ანეკდოტით ბევრჯერ მომიყოლია: სტაჟიორების ჯგუფებში იყვნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებსაც უნდოდათ ბევრი რამის შესწავლა. აქ იყვნენ ავსტრიელები, ამერიკიდან

ახალგაზრდები... ყველა 20 დღის განმავლობაში საყველპურო იტალიურს სწავლობდა, მაგრამ ჩემმა მასწავლებელმა ჩათვალა, რომ მე საყველპუროზე ცოტა წინ წავედი იტალიურში და დამავალა ლექციის ჩატარება საქართველოს შესახებ, როგორც უკვე ვთქვი. უნდა გითხრათ, რომ იქ ბევრი არაფერი იცოდნენ საქართველოს თაობაზე არც მსმენელებმა და არც ლექტორებმა. მეც ჩავატარე ლექცია საქართველოზე, მქონდა სლაიდები თბილისის ხედებით და ეს ყველაფერი ვაჩვენე ახსნა-განმარტებების თანდართვით... და პირველი კითხვა, რაც ერთმა ავსტრიელმა დამისვა, იყო შემდეგი შინაარსის: — მე ახლა გავიგე, რომ თბილისი საბჭოთა კავშირის დედაქალაქია, მაგრამ მაშინ მოსკოვი რაღა არისო. ე.ი. მას ვერ წარმოედგინა, რომ საბჭოთა კავშირში შეიძლება ორი კარგი ქალაქი იყოს. მომიხდა დიდი ლექციის ჩატარება იმის თაობაზე — რა იყო მაშინ საბჭოთა კავშირი, რა არის მოკავშირე რესპუბლიკა და მისი დედაქალაქი“, — იხსენებს რისმაგ გორდეზიანი.

რისმაგ გორდეზიანი რომში რამდენიმე თვე ცხოვრობდა, მოიარა მთელი იტალია. მუშაობდა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო — გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში და შეიძინა უდიდესი ცოდნა ანტიკური კულტურის შესახებ. სწორედ აქ დაამთავრა მან თავისი სადოქტორო დისერტაციის წერა, ეტრუსკოლოგიაში მონოგრაფიის პირველი ვარიანტი, რამდენიმე სტატია და რეცენზია. როგორც მეცნიერი ამბობს, სწორედ რომაულმა არდადეგებმა, თუკი შეიძლება ამ შრომატევად დღეებს არდადეგები ვუნოდოთ, უდიდესი გავლენა იქონია მთელ მის მომავალ საქმიანობაზე, რადგან იქ მიღებული მრავალმხრივი ინფორმაცია ასაზრდოებდა შემდგომში უკვე რისმაგ გორდეზიანის ლექციებსა თუ პუბლიკაციებს.

რისმაგ გორდეზიანის შთაბეჭდილებები რომში მივლინებაზე მის წიგნშია მოცემული: „ზღაპრული სილამაზის „პერუჯა“ ძველად ეტრუსკების ერთ-ერთი საყრდენი ქალაქი იყო. ჩემდა ბედად, იქ იმხანად ცნობილი ეტრუსკოლოგი, ავსტრიელი ენათმეცნიერი — ამბროს პფიფიგი იყო ჩამოსული ლექციების ჩასატარებლად. იგი გამაცნო ჩემმა ერთ-ერთმა

ლექტორმა. ჩემთვის ნაცნობობა ეტრუსკული ენის ყველაზე სრული გრამატიკის ავტორთან ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მით უფრო, რომ იგი ეტრუსკულის კავკასიურ ენებთან შესაძლო გენეტიკური კავშირის ჰიპოთეზისკენ იხრებოდა. ჩემს ბიბლიოთეკაში ბევრია მის მიერ პერუჯაში გადმოცემული თუ შემდეგ ჩემთვის თბილისში გამოგზავნილი ნაშრომები, რომლითაც სარგებლობის შესაძლებლობა აქვს ეტრუსკოლოგიით დაინტერესებულ ყველა ქართველ მკვლევარს. პერუჯადან რომში დავბრუნდი და აქ ბინა გამომიყვეს ქალბატონ ანჯელა კასტალდელის პანსიონში, რომის ცენტრში, ვია დი რიპეტა-ზე, ხალხის მოედნის გვერდით, სულ ახლოს ცენტრალური ქუჩიდან ვია დელ კორსო, ვატიკანიდან, ესპანეთის მოედნიდან. მიმღებმა ორგანიზაციამ მომცა უფასო საშვი იტალიის ყველა მუზეუმსა და არქეოლოგიურ ძეგლზე. არ არის დასაძალი, რომ ჩემს თაობას რომი განსაკუთრებით ფილმმა — „რომაული არდადეგები“ შეგვაყვარა. რომის ქუჩებში სიარულისას ყურში გამუდმებით ჩამესმოდა ოდრი ჰეპბერნის სიტყვები — „რომი, რასაკვირველია, რომი!“ — და რომთან დაკავშირებული ცნობილი ორი ფორმულა: — „ყველა გზა რომში მიდის“ და „რომი მარადიულია“. ჩემი მშობლიური ქალაქის გარდა, ყველაზე კარგად თავს ვგრძნობ რომში, როდესაც ვსეირნობ მის ქუჩებსა და მოედნებზე და თავს



აღვიქვამ ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ ეპიცენტრში. იგივე გრძნობა მეუფლება ათენში, როდესაც შორიდან თუ ახლოდან აკროპოლისს ვუმზერ.

ჩემს მისვლას პანსიონში დიდი მღელვარებითა და შიშით ელოდნენ იმხანად იქ მცხოვრები შვიდი ახალგაზრდა და ერთი ასაკოვანი ქალი, პანსიონის პატრონი, რომლებსთვისაც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, არ იყო ბოლომდე ნათელი — რამდენად გაადამიანებული იქნებოდა რუსეთიდან ჩამოსული დათვი და რა ენაზე უნდა ელაპარაკათ მასთან. მახსოვს, როგორი დაძაბულები იყვნენ ისინი, როდესაც პანსიონში შევდგი ფეხი. ყველანი მისაღებ დარბაზში ისხდნენ და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ელოდნენ ჩემთან შეხვედრას. პერუჯაში ჩემმა ნასწავლმა იტალიურმა და მათ მშობლიურ ენაზე წარმოთქმულმა პირველმა ფრაზებმა დაძაბულობა მალე მოხსნა. შემდეგ კი, როდესაც შეიტყვეს, რომ მათზე ნაკლებად არ ვიცნობ თბილისში ნასწავლ რომის ისტორიასა და ღირსშესანიშნაობებს, რომ ჩემი სამშობლო, დაახლოებით, იმავე კლიმატურ ზოლში მდებარეობს, რაშიც იტალია, რომ მე რუსი კი არა, ქართველი ვარ და ჩემი წინაპრები დათვები კი არა, ძველი რომაელების პარტნიორები იყვნენ ისტორიულ ასპარეზზე, დამიმეგობრდნენ. ამის შემდეგ „ჩემი მასპინძლები“ მისაღებ დარბაზში მოუთმენლად მელოდნენ ხოლმე, რათა ერთად გვეყურებინა პანსიონის სივრცეში მდგარი ერთადერთი ტალევიზორისთვის და ერთად გვემსჯელა იტალიური გადაცემებისა თუ ფილმების ავ-კარგზე.

რომში, უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტს მივაშურე და იქ ჩემთვის საინტერესო კურსების ცხრილი შევისწავლე. მართალია, რომაელთა განსაკუთრებულმა ლტოლვამ გაფიცვებისაკენ ამ კურსების სრულად მოსმენის შესაძლებლობა თითქმის არ მომცა, მაგრამ, სამაგიეროდ, გავიცანი საინტერესო კოლეგები. ბოლოს და ბოლოს მივალწიე აუდიენციას ეტრუსკოლოგიის „მეფესთან“ — მასიმო პალოტინოსთან, რომელიც თავისი უკიდურესად მემარჯვენე შეხედულებების გამო დიდხანს არიდებდა თავს კომუნისტური იმპერიიდან ჩამოსულ მისთვის უცნობ ახალგაზრდასთან შეხვედრას.

ამ შემთხვევაში კარგი სამსახური გამინია გერმანიაში გამოქვეყნებულმა ჩემმა სტატიებმა და რეცენზიებმა უახლეს ჰომეროლოგიურ ლიტერატურაზე. ისინი დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად არ ვთამაშობდი ეტრუსკოლოგიით თუ კლასიკური ფილოლოგიით დაინტერესებული სპეციალისტის როლს და მათ არ ვუქმნიდი საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხეს. ამის შემდეგ გაიხსნა ჩემთვის საინტერესო ყველა სამეცნიერო ცენტრის კარი, კოლეგებმა ხალისით დაიწყეს ჩემთან დარგის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა. ჩემი იქაური მეგობრების სიას შეემატნენ ეგეოსური კულტურის ცნობილი სპეციალისტები: ემილიო პერუცი, ანა საკონი. ჩემი კოლეგების ერთსულოვანი რჩევით, მეცნიერული მუშაობისათვის გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკა შევარჩიე. რომის ცენტრში, სარდინიის ქუჩაზე მდებარე ეს დაწესებულება იმ ხანად სიძველეთმცოდნეობაში მსოფლიოში საუკეთესო ბიბლიოთეკას ფლობდა. როგორც ბიბლიოთეკის დირექტორმა მითხრა, ომის შემდგომ იტალიაში მე ვიყავი არა მარტო საქართველოდან, არამედ, საერთოდ, საბჭოთა კავშირიდან პირველი სიძველეთმცოდნე, რომელიც აქ აპირებდა მუშაობას. რამდენადაც ბიბლიოთეკას სადილისათვის საკმაოდ დიდი შესვენება ჰქონდა და სალამოს საკმაოდ ადრე იხურებოდა, დირექტორმა, კეთილგანწყობის ნიშნად, ნება დამართო — აქ მემუშავა შესვენების საათებშიც, გვიან ღამემდეც და თვით უქმე დღეებშიც კი, რის შესახებაც გააფრთხილეს ყველა მორიგე.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში რამდენიმე თვის განმავლობაში მოვასწარი იმის გაკეთება, რასაც თბილისში რამდენიმე წელს მოვანდომებდი: დავასრულე ჩემი სადოქტორო დისერტაცია, ეტრუსკოლოგიაში მონოგრაფიის პირველადი ვარიანტი, რამდენიმე სტატია და რეცენზია. ჩემი რომაული დღის განრიგი ამგვარი იყო: დილით ვიადეულ კორსოს გადაკვეთის, ესპანეთის მოედნის ულამაზესი კიბეების ავლის და ვენეტოს გამზირის გადაჭრის შემდეგ სარდინიის ქუჩას ვაღწევდი და ნახევარ საათში უკვე ბიბლიოთეკაში ვუჯექი მაგიდას. თითქმის ყოველდღე, უკვე მერამდენედ ვენწეოდი

ხოლმე კოლოსეუმს, პანთეონს, ამა თუ იმ მუზეუმს, ვატიკანს, ყველაზე ხშირად რომის ფორუმს და პალატინუმს, რადგან ამ სივრცეების წყალობით მყისიერი გადასვლა ანტიკურობაში, თანაც მსოფლიოს უდიდესი იმპერიის ნიაღში მყოფისთვის, ყოველთვის განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავდა. ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა, რომელსაც ხშირად ვსტუმრობდი, ჰერდერის წიგნის მაღაზია იყო. კოლეგების რჩევით, პირველი რომაული ხელფასის ალების შემდეგ სწორედ ამ მაღაზიაში გავეშურე. ქერთიან გამყიდველს თამამად ვკითხე: — რა წიგნებს შემომთავაზებდა კლასიკურ ფილოლოგიაში? მან მშვიდად მიმიწვია მეზობელ დარბაზში და მითხრა: — აქ ყველაფერი ანტიკურობასთანაა დაკავშირებულიო. დარბაზის ოთხსავე კედელზე მიდგმული გრანდიოზული თაროები საგსე იყო წიგნებით, რაზეც შემეძლო მხოლოდ მეოცნება: ანტიკურ ავტორთა გამოცემების ყველა სერია, მონოგრაფიები და აკადემიური სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და ენციკლოპედიები, ალბომები და სლაიდთა თემატური კოლექციები... სული შემეგუბდა, მივხვდი, რომ ახლა აქედან თუ არ გავიდოდი, ხელფასის გარეშე დავრჩებოდი. ავიღე კატალოგები და აღელვებულმა დავტოვე იქაურობა. შემდეგ სახლში თვიდან თვემდე ვარჩევდი ამ კატალოგებში იმ წიგნებს, რომელსაც ჩემი ჯიბე გასწვდებოდა. ჰერდერისა და სხვა მაღაზიებში მრავალი წიგნი შევიძინე. დღესაც დამცქერიან ისინი ჩემი პირადი ბიბლიოთეკის წიგნის თაროებიდან, წიგნები, რომლებმაც დიდი სამსახური გაგვიჩინეს მეც და ჩემი კოლეგებისა თუ მოსწავლეების არაერთ თაობას.

მოკლედ, ჰერუჯაში სტაჟირებამ, რომლის მსგავსი იმ დროს დიდი იშვიათობა იყო, უდიდესი გავლენა იქონია ჩემს მომავალ საქმიანობაზე, მნიშვნელოვნად გამიფართოვა წარმოდგენა იმ კულტურაზე, რომლის კვლევისთვისაც უნდა მიმეძღვნა მთელი შემდგომი ჩემი ცხოვრება, რაც მთავარია, აღმავსო დიდძალი მრავალმხრივი ინფორმაციით, რომელიც წლების განმავლობაში ასაზრდოებდა ჩემს ლექციებსა თუ პუბლიკაციებს“, — წერს რისმაც გორდუზიანი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში.

რომიდან დაბრუნებულმა რისმაგ გორდეზიანმა უნივერსიტეტში ლექციების ასეთი ციკლი შექმნა — მსოფლიო კულტურის მწვერვალები. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ყოველ ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე ტარდებოდა ეს ლექციები, რაც ძალიან დიდ ინტერესს იწვევდა. ეს აქტივობები იმის შედეგი იყო, რა იმპულსებიც რისმაგ გორდეზიანმა იტალიაში სტაჟირებისას მიიღო.

დიდი მეცნიერების გარეშე კარგი უნივერსიტეტი არ არსებობს

„რადიო თავისუფლების“ რუბრიკაში — „დღიურები“ — 2010 წელს რისმაგ გორდეზიანი მონაწილეობს და ასეთ ჩანაწერს ტოვებს: „ვფიქრობთ კი ჩვენ საკმარისად საუნივერსიტეტო ცხოვრების ავ-კარგზე, ჩვენი მეცნიერების განვითარების გზებზე? მე არ მახსენდება ამ საკითხებზე ჩვენი პროფესორის, წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით ჩატარებული სერიოზული თავყრილობა უკანასკნელ წლებში, თავყრილობა კომპეტენტური მსჯელობითა და რეკომენდაციებით, მეცნიერული დისკუსიით. ამ სფეროში მთელი ინიციატივა მოხელეებს, თანამდებობის პირებს დავუთმეთ, მათ კი ზოგჯერ არ უნდათ იმის გაგება, რომ სერიოზული სამეცნიერო მუშაობისა და დიდი მეცნიერების გარეშე კარგი უნივერსიტეტი არ არსებობს“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი. მისი ნოსტალგია გასაგებია, რადგან სტუდენტობის წლებში აკაკი შანიძესთან, გიორგი ახვლედიანთან, კორნელი კეკელიძესთან, შალვა ნუცუბიძესთან, სიმონ ყაუხჩიშვილთან, ვარლამ თოფურიასთან, არნოლდ ჩიქობავასთან, ივანე ბერიტაშვილთან, ნიკოლოზ მუსხელიშვილთან და მრავალ ასეთ კორიფესთან უნივერსიტეტის დერეფნებში თუ ზოგიერთი მათგანის ლექციებზე დასწრებით მათთან ყოველდღიური შეხვედრები ახსოვს. თავად რისმაგ გორდეზიანს მეცნიერების კლასიკოსებთან ურთიერთობამ მათი მაგალითების თავისებურად გამეორების გზა დაანახა მის კარიერულ ეტაპებზე.

1967-1968 წლებში რისმაგ გორდეზიანი უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასისტენტი იყო, 1968-1976 წლებში — ამავე კათედრის დოცენტი, 1976-2006 წლებში კი - უკვე პროფესორი. „რომ ასწავლო, უნდა ისწავლო“ — ამ გზით ეცადა მეცნიერი მთელი ცხოვრება ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას.

პირველი სვლა — კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების შექმნა სტუდენტებისათვის

„თსუ-ში კლასიკური ფილოლოგიის განვითარებისთვის აუცილებელი იყო გაგვეხსნა კლასიკური ფილოლოგიის განყოფილება სტუდენტებისათვის, რომელიც მანამდე არსებულ სპეციალიზაციის უღიმღამო კურსს ჩაანაცვლებდა. ამგვარი განყოფილებები მაშინ საბჭოთა კავშირში მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადისა და ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფუნქციონირებდა. იმხანად, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა ჩემმა უფროსმა კოლეგამ, პროფესორმა აკაკი ურუშაძემ დაიკავა. მან საუნივერსიტეტო, რესპუბლიკური და საკავშირო ინსტაციების დონეზე, რასაკვირველია, მოსკოველი და პეტერბურგელი კოლეგების მხარდაჭერით მიიღო ამგვარი განყოფილების ჩვენს უნივერსიტეტში გახსნის ნებართვა. გადანყდა, თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტზე 1967-1968 სასწავლო წლიდან მუშაობა დაეწყო კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებას. რამდენადაც, ფილოლოგიის ფაკულტეტზე მაშინ მე მიმყავდა ანტიკური ლიტერატურის ისტორიის



თინათინ ყაუხჩიშვილი

კურსი, დამევალა — სტუდენტთაგან შემერჩია, გამოყოფილი კვოტის შესაბამისად, ხუთკაციანი ჯგუფი. სტუდენტებს დეტალურად ავუხსენი — რა სირთულეების გადალახვა მოუწევდათ მათ ჩვენი დარგის არჩევის შემთხვევაში: ორი კლასიკური ენის შესწავლა, მინიმუმ ორი უცხო ენის კარგად ცოდნა, გაორკეცებული ძალით მუშაობა, რადგან მათ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიკაცია ცუნდა მიეღოთ. როგორც ჩანს, მაშინ ახალგაზრდებში პრაგმატიზმს, სპეციალობის არჩევისას, საკითხისადმი რომანტიკული მიდგომა სჭარბობდა. მსურველთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ჩვენთვის გამოყოფილ კვოტას. სტუდენტთა დიდი ვნებათაღელვის შემდეგ, გადანყდა, ჯგუფი 13 სტუდენტით დაკომპლექტებულიყო.

მათ მიმართ განსაკუთრებული სიყვარულისა და ამ ჯგუფის გამორჩეული როლის ნიშნად, მინდა, ისინი სათითაოდ დავასახელო: ირინე გარაყანიძე, ნინო გველესიანი, მანანა ვადაჭკორია, ციცი ინაიშვილი, თამარ კალატოზი, თინიკო მარტიაშვილი, მანანა მაჩიტაძე, ნათელა მელაშვილი, ნანა ტონია, ადა ტრაპაიძე, მანანა ფხაკაძე, დალი ქურიძე, ალექო ცქიტიშვილი. მათ მოჰყვა არანაკლებ კარგი სტუდენტებით დაკომპლექტებული სხვა კურსები და ეს ასე გრძელდება დღემდე. მაშინ კი ყოველ ჩვენგანს მოუხდა სავსებით ახალი სალექციო და სასემინარო კურსების მომზადება, ახალი სახელმძღვანელოების შედგენა. უფროსი თაობის გამოცდილ პროფესურას — სიმონ ყაუხჩიშვილს, პანტელეიმონ ბერაძეს, აკაკი ურუშაძეს, თინათინ ყაუხჩიშვილს, ირაკლი შენგელიას — ალექსანდრე ალექსიძისა და ჩემი სახით ახალგაზრდა დოცენტები ამოვუდექით მხარში. სულ მალე განყოფილების მუშაობა სათანადო კალაპოტში ჩადგა და მსოფლიოში მიღებულ სტანდარტებს მიუახლოვდა. სწორედ ამ პერიოდში აღვიქვი მთელი სიცხადით არაერთგზის მოსმენილი შეგონების — „რომ ასწავლო, უნდა ისწავლო“ — ჭეშმარიტება. ყოველდღე ვსწავლობდი იმას, რაც ამჟამად გაცილებით ფართოდ და ღრმად უნდა მესწავლებინა უკვე ჩემი სპეციალობის სტუდენტებისათვის. მაგრამ ჩვენ მარტო დიდაქტიკით როდი

ვიფარგლებოდით... გვინდოდა, რაც შეიძლება მეტი გვეჩვენებინა სტუდენტებისთვის და გაგვეფართოებინა მათი ჰორიზონტი“, — ასე იხსენებს რისმაც გორდეზიანი უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების შექმნასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს.

როგორც მეცნიერი ჰყვება, ზაფხულის არდადეგების ერთი თვე გამოყოფილი იყო პრაქტიკებისა და ექსპედიციებისათვის. ყველას განსაკუთრებით დაამახსოვრდა და შემდეგ, თურმე, ლეგენდის მსგავსად, თაობიდან თაობას გადაეცემოდა საქართველოს გარშემო ავტობუსით ერთთვისანი მოგზაურობა-ექსპედიციის ამბავი. „ჩვენი ექსპედიციების დიდება „ცას წვდებოდა“, — ამბობს რისმაც გორდეზიანი.

კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების პედაგოგთა წინაშე სპეციალობის პირველი გამოშვების მომენტისათვის სერიოზული პრობლემა წამოიჭრა — როგორ უნდა გამოეყენებინათ იმ კარგად მომზადებულ კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები, რომელთა „კლასიკოსებად“ ფორმირება ესოდენ წარმატებით დასრულდა. მაშინვე გაჩნდა ერთობლივი მოსაზრება, რომ წარმატებულ სტუდენტთა ეს ჯგუფი ჩაერთოთ ბერძნულ და ლათინურენოვან ავტორთა ქართულად თარგმნის საქმეში და ამ მიზნით სპეციალური სერია — „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“ დაეარსებინათ.

პროცესების აქტიური მეთვალყურის რისმაც გორდეზიანის ცნობით, რექტორმა ილია ვეკუამ ბიბლიოთეკის შექმნის აზრი მოიწონა და სერიის დაარსების საკითხი ზემდგომ ინსტანციებს საკმაოდ მალე გადააწყვეტინა. გამოიყო საკმაოდ სოლიდური ყოველწლიური ბიუჯეტი, დამტკიცდა სარედაქციო კომისია — დაკომპლექტებული დარგის წამყვანი სპეციალისტებისა და ცნობილი მოღვაწეებისაგან (ა. ალექსიძე, შ. აფაქიძე, რ. გორდეზიანი — სწავლული მდივანი, გ. თევზაძე. რ. მიმინოშვილი, ა. ურუშაძე — თავმჯდომარე, ს. ყაუხჩიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ი. შენგელია. შ. ძიძიგური, ვ. ჭელიძე) და თსუ ბერძნულ-ლათინურმა ბიბლიოთეკამ საკმაოდ ენერგიულად დაიწყო საქმიანობა. მისი ეგიდით მომზადდა და წლების განმავლობაში გამოიცა ქართულად

თარგმნილი, სათანადო აპარატით აღჭურვილი: საფოს „ლი-რიკა“ (ნანა ტონია), ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ (ნათელა მელაშვილი, ნანა ტონია, ირინე გარაყანიძე). ვერგილიუსის „ენეიდა“ (რომან მიმინოშვილი). ჰორაციუსის „პოეტური ხელოვნება“ (აკაკი ურუშაძე), ქსენოფონტი „მოგონებები სოკრატეზე“, „სოკრატეს აპოლოგია (აკაკი ურუშაძე), პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიები“ (აკაკი ურუშაძე), ჰეროდოტეს „ისტორია“ (თინათინ ყაუხჩიშვილი), ჰორაციუსის „ოდები“ (მარინე იმნაძე), „ორფიკული არგონავტიკა“ (ნათელა მელაშვილი), ოვიდიუსის „ტრფობანი“ (მანანა ლარიბაშვილი), სოფოკლეს „თებეს ტრაგედიები“ (გიორგი ხომერიკი), ერაზმუს როტერდამელის „სისულელის ქება“ (ლალი კოჭლამაზაშვილი), არისტოტელეს „რიტორიკა“ (თამარ კუკავა), ანსელმ კენტერბერიელის „ჭეშმარიტებისათვის“ (ნინო ჭავჭავაძე), არისტოფანეს „კომედიები“ (ლევან ბერძენიშვილი).

როგორც დარგის მესვეურებმა გადანყვიტეს, კლასიკური ფილოლოგიის კაბინეტში შეყუყული „ბიბლიოთეკა“ გაფართოებას მოითხოვდა. 1975 წელს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ბლოკში განთავსებულ ბელეტაჟის სართულზე „ბიბლიოთეკისთვის“ რამდენიმე ოთახი გამოიყო, იქ, მომავალში, სამეცნიერო ლაბორატორიის გახსნის პერსპექტივით. დროთა განმავლობაში „ბიბლიოთეკა“ 1982 წელს შექმნილ ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიას შეეზარდა, რომელმაც იქვე დაიდო ბინა.

კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თსუ-ს იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტთან დაწყებულ პარტნიორულ კონტაქტებს.

რისმაგ გორდეზიანი იხსენებს: „1969 წელს იენიდან გვე-ნვივენ პროფესორები ფრიდმარ კიუნერტი, იმხანად იენის უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ლათინისტი და ანტიკურ სამყაროში საგანმანათლებლო სისტემის მკვლევარი და ერნსტ გიუნთერ შმიდტი, ცნობილი ელინოლოგი, ჟურნალ „ფილოლოგუსის“ რედაქტორი. შემდგომში ისინი ჩემი უახლოესი უცხოელი

მეგობრები და საქართველოს დიდი გულშემატკივრები გახდნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს ჩვენთან ორგანიზებულ ანტიკური კულტურის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაში. ისინი დარწმუნდნენ ქართველი კოლეგების პოტენციალში, ჩვენთან კლასიკური ფილოლოგიის დისციპლინების სწავლების მაღალ დონესა და ჩვენთან პარტნიორული ურთიერთობების მიზანშეწონილობაში. შედგა ჩვენ შორის შეთანხმება — ყოველ 2-3 წელიწადში ჩაგვეტარებინა ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები სიძველეთმცოდნეობაში რიგ-რიგობით იენასა და თბილისში და კონფერენციების მოხსენებები გამოგვეცა ცალკე კრებულების სახით. ამ კონფერენციებმა დროთა განმავლობაში დიდი პოპულარობა მოიპოვეს მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში და კლასიკური სიძველეთმცოდნეობის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო ფორუმებად იქცნენ. 1973-1992 წლების განმავლობაში შემდეგი ერთობლივი სამეცნიერო ფორუმები ჩატარდა: 1973-იენა: ანტიკურობა სოციალისტურ კულტურაში; 1975-თბილისი: *Caucasica-Mediterranea*; 1977-იენა: ესქილე და პინდაროსი; 1980-თბილისი: ტრადიცია და ნოვატორობა ანტიკურ კულტურაში; 1983-იენა: ავგუსტუსის ეპოქის კულტურა; 1986-თბილისი: გმირთა ინდივიდუალიზაციის პრინციპები ანტიკურ კულტურაში; 1988-იენა: საბერძნეთი და რომი. ანტიკური სამყაროს ისტორიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისა და მწვერვალების შედარებითი კვლევა; 1992-იენა: პრინციპატი და კულტურა პირველ და მეორე საუკუნეებში. ამ კონფერენციებმა ფართოდ გავავიხსნა კარი საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად და ჩვენი ნაშრომების ევროპულ ენებზე გამოსაქვეყნებლად“.

ნეოგრეცისტთა სკოლის თსუ-ში დაფუძნება

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან საქართველოში გააქტიურება დაიწყო პონტოელი ბერძნებისათვის მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობის შექმნის საკ-

ითხმა. იმხანად, ჩვენს ქვეყანაში, XIX-XX საუკუნეებში ჩრდილოეთ თურქეთის ე.წ. პონტოს რეგიონიდან წარმოებული გადმოსახლებების შედეგად 120 000-მდე, ძირითადად, უკვე საქართველოში დაბადებული პონტოელი ბერძენი ცხოვრობდა. მათი ერთი ნაწილი ოფიციალური სალიტერატურო ენიდან საკმაოდ დაშორებულ პონტოურ დიალექტს იყენებდა ლოკალური სასაუბრო კომუნიკაციის დონეზე, მეორე კი — თურქულის დიალექტს. მათთვის მშობლიური ენის სრულფასოვან ფუნქციას, ძირითადად, რუსული, შედარებით ნაკლებად კი ქართული ასრულებდა. თუმცა მათ საკმაოდ ძლიერად ჰქონდათ შემონახული ბერძნული თვითშეგნება და ითხოვდნენ პონტოელთა კომპაქტურად განსახლების რეგიონებში (თბილისი, წალკა, თეთრიწყარო, ბორჯომი, ციხისჯვარი, აფხაზეთი, აჭარა), სკოლების ერთ ნაწილში, უცხო ენის უფლებით, ბერძნული შეეტანათ. როგორც ამ ამბის მთხრობელი რისმაგ გორდეზიანი ამბობს, მაშინ საქართველოში არამც თუ ახალი ბერძნულის მასწავლებელი, არამედ ახალბერძნულად წერა-კითხვის მცოდნეც კი თითქმის არ იყო.

„საკავშირო დონეზე გადაწყდა, საკითხის მოგვარების ორგანიზაცია მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დოცენტისთვის, შემდგომში პროფესორის-



რისმაგ გორდეზიანი გერმანელ კოლეგებთან ერთად

ვის, მარინა რიტოვასთვის მიენდოთ. იგი იყო ოფიციალური თარჯიმანი ბერძნულ მხარესთან უმაღლეს დონეზე გამართული თითქმის ყველა შეხვედრისა თუ მოლაპარაკებისა, ასევე გახლდათ მომავალი დიპლომატების ბერძნული ენის ლექტორი. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს. მოამზადა სხვადასხვა კლასისათვის სახელმძღვანელოები, შეკრიბა საქართველოში მცხოვრები 30-მდე ბერძნული წარმომავლობის ადამიანი, რომელთაც რუსეთში ან საქართველოში ჰქონდათ მიღებული პედაგოგიური განათლება და დაინყო მათი სასწრაფოდ მომზადება ბერძნული ენის მასწავლებლად სკოლებში. ქალბატონი მარინა თსუ-ის ელინოლოგებს დაგვიკავშირდა და თავისი გეგმები გაგვანდო. ნათელი გახდა, რომ მთელი მისი პროგრამა ორიენტირებული იყო რუსულენოვან სკოლებზე და მიზნად ისახავდა მხოლოდ ბერძნული ენის მასწავლებლების მომზადებას და არა საქართველოში ნეოგრეცისტის განვითარებისათვის საფუძვლის შექმნას. ამ ვითარებაში დადგა ნეოგრეცისტის დარგის თსუ-ში დაფუძნების აუცილებლობა, სადაც კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის მიმართულებით მთელ საბჭოთა კავშირში აღიარებული სკოლა არსებობდა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო სამეცნიერო ხარისხის მქონე თანამედროვე ბერძნულის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. იმ პერიოდში ამგვარი ლექტორის მოძიება საქართველოში ვერ მოხერხდა. საბედნიეროდ, იმ წელს თბილისში საბერძნეთიდან რომელიღაც ახალგაზრდული დელეგაცია გვეწვია, რომელსაც მოსკოვიდან თარჯიმნად ჩამოჰყვა საოცრად სანდომიანი და ინტელიგენტური ახალგაზრდა ქალი, კარგი სპეციალისტი ნატაშა ნიკოლაუ. რამდენადაც ჩვენ უკვე თავში გვიტრიალებდა თსუ-ში ახალი ბერძნული ფილოლოგიის განყოფილების გახსნის იდეა, მას გამომშვიდობების წინ მოსკოვის ტელეფონის ნომერი გამოვართვი. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში მყარი თანხმობა მივიღე ჩვენთან ამ განყოფილების გახსნაზე, 1987 წელს მოსკოვში მივლინებით ყოფნისას შევეხმიანე ქალბატონ ნიკოლაუს და ვთხოვე შეხვედრა ჩვენს უნივერსიტეტთან და ნეოგრეცისტისკასთან დაკავშირებულ სერიოზულ საქმეზე.

დაახლოებით ორი საათი დამჭირდა იმისათვის, რომ იგი დამეთანხმებინა თბილისში რამდენიმე წლით ჩამოსვლაზე და ჩვენს უნივერსიტეტში ახალი ბერძნული ფილოლოგიისათვის საფუძვლის ჩაყრაზე. ნატაშა ნიკოლაუ ჩამოვიდა თბილისში, რომელსაც შევთავაზეთ ბინა, დოცენტის ხელფასი, მოსკოვში წლის განმავლობაში რამდენიმე გზის მივლინება და ქართველი კოლეგების გულწრფელი მეგობრობა. 1987 წელს თბილისის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრასთან დაიწყო ფუნქციონირება კიდევ ერთმა წარმატებულმა ახალი ბერძნული ფილოლოგიის განყოფილებამ. ნატაშა ნიკოლაუმ ჭეშმარიტად მთელი სული ჩადო ამ განყოფილების ამუშავებაში. მას მალე შემოეშველნენ საბერძნეთიდან გამოგზავნილი მასწავლებლები და ზოგიერთი ქართველი კოლეგაც, რომელთაც ახალ ბერძნულში ცოდნის მაღალი დონე გამოავლინეს (ავთანდილ მიქაბერიძე, თამარ მესხი, ზაზა ხინთიბიძე, თამარ ბაკურაძე) და 1992 წლიდან უნივერსიტეტში, მიუხედავად ურთულესი წლებისა, არ შეგვიწყვეტია ნეოგრეცისტთა ახალ-ახალი კადრების გამოშვება. სულ მალე სკოლების უმეტესობაში, რომლებშიც ბერძნული ენა ისწავლებოდა, ჩვენმა კურსდამთავრებულებმა ჩაანაცვლეს ძველი მასწავლებლები. მალე მათ ბათუმის და ახალციხის უნივერსიტეტების კადრებიც შემოუერთდნენ და ამჟამად სკოლების აბსოლუტურ უმეტესობაში ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი სპეციალისტები ასწავლიან ბერძნულ ენას“, — ამ ფაქტობრივი ინფორმაციით გვამცნობს რისმაგ გორდეზიანი უნივერსიტეტში ნეოგრეცისტთა სკოლის დაარსების შესახებ, რაც, როგორც ჩანს, მეცნიერის კიდევ უფრო დიდი სამომავლო გეგმების წინაპირობა იყო.

რატომ თქვა უარი მეცნიერმა საზღვარგარეთიდან შეთავაზებულ დიდ ხელფასზე მძიმე 90-იან წლებში?

როდესაც 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ მძიმე წლებში, უნივერსიტეტის პროფესორის მატერიალურმა გაჭირვებამ კულმინაციურ

ზღვარს მიაღწია და პროფესორის ხელფასი თვეში, დაახლოებით, 1 დოლარს გაუთანაბრდა, უცხოელმა მეგობარმა და კოლეგამ გიუნთერ შმიდტმა რისმაგ გორდეზიანი და მისი მეუღლე რამდენიმე თვით გერმანიაში მიიპატიჟა.

რისმაგ გორდეზიანი იხსენებს: „ევროპაში მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ყველაზე დიდი გერმანიის კვლევების ფონდის საკმაოდ მაღალი ყოველთვიური ანაზღაურების გარდა, გერმანელმა მეგობრებმა მრავალ უნივერსიტეტში ოცამდე ლექცია და მოხსენება დამინიშნეს, რომლებშიც უმაღლეს ჰონორარს ვიღებდი. ჰაიდელბერგში მიხაელ ფონ ალბრეხტმა, იმის გათვალისწინებით, რომ იმ ხანად პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან პროფესორთა ევროპაში მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ჰაიდელბერგში დარჩენა და იქაურ უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგის ვაკანტური თანამდებობის დაკავებაც კი შემომთავაზა. ჩემმა პასუხმა: — „ჩემი აქ დარჩენით გერმანიაში კლასიკურ ფილოლოგიას ბევრი არაფერი შეემატება, ხოლო ჩემი კოლეგებისა და მოსწავლეებისათვის თბილისში ეს აშკარად საგრძნობი დანაკლისი იქნება“ — იგი სასიამოვნოდ გააკვირვა. თბილისში იქიდან ჩამოყოლილი გერმანული მარკებით ჩვენი და ჩვენიანების ოჯახების გატანა თითქმის ერთი წლის განმავლობაში შეეძელით. არც მაშინ, არც მანამდე და არც მას შემდეგ, არასოდეს გამჩენია სამშობლოს დატოვებისა და უცხოეთში გადახვეწის სურვილი“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი, რომელიც დღემდე მადლიერია უცხოელი კოლეგებისა და მეგობრების. გადის წლები და საქართველოში სტუმრობისას ფონ ალბრეხტი რისმაგ გორდეზიანს უდასტურებს, რომ ქართველი პროფესორის არჩევანი — დაბრუნებულიყო მის ქვეყანაში და აქ გაეჩაღებინა კლასიკური ფილოლოგიის სკოლის განვითარებისთვის მეცნიერული ბრძოლა, სწორი იყო.

ინსტიტუტის დაბადება და გაზაფხულზე „აყვავებული“ ოცნება

რომაულ კულტურაზე ლექციების ჩასატარებლად მოსკოვიდან საქართველოში ჩამოსულმა პროფესორმა ელენე ფიოდოროვამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან ნაცნობ ნანა ტონიას ამგვარი კითხვა დაუსვა: — „კიდევ რის გახსნას ინატრებდით თქვენს უნივერსიტეტში?“ ელენე ფიოდოროვას ნანა ტონიამ თურმე უცბად გაანდო სათქმელი, რაზეც კოლეგებს შორის ხშირად ყოფილა მსჯელობა: — „ვისურვებდი ინსტიტუტის გახსნას, რომელიც გააერთიანებდა კათედრას, ლაბორატორიას, ჩვენს დარგთან დაკავშირებულ ყველა ერთეულს“.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის იდეის განსახორციელებლად სპეციალიზებული ბიბლიოთეკის ფორმირების, საგამომცემლო ბაზის ორგანიზების მიმართულებით უკვე გადადგმული იყო გარკვეული ნაბიჯები, რისმაც გორდეზიანს და მის გუნდს ამ თემაზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ მაშინ. 80-იანი წლების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა და საოცარი გაჭირვების წლებმა კი ეს ოცნება რამდენადმე გააფერმკრთალა.

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ყოფილი რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ პონტოელ ბერძენთა 80-იან წლებში დაწყებული მიგრაციის პროცესი გააინტენსიურა. თბილისში საზღვარგარეთ მცხოვრები ბერძენების გენერალური სამდივნოს წარმომადგენლობა გაიხსნა, რომელიც უნივერსიტეტიდან რისმაც გორდეზიანს დაუკავშირდა და პონტოელი ბერძენებისათვის სკოლის მასწავლებლების მომზადების ორგანიზება ითხოვა. მასთან ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების შედეგად პროგრამამ — „ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში“ ფუნქციონირება დაიწყო.

1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა პირველი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა ახალ ბერძნულ ლიტერატურაში. ბერძნული მხარე აშკარად ხედავ-

და უნივერსიტეტში რისმაგ გორდეზიანის თაოსნობით წინ წასული ელინოლოგიური სკოლის პოტენციალს და პერსპექტივებს. როგორც ჩანს, ამ ფაქტის გააზრებამ მნიშვნელოვნად განაპირობა თბილისში საბერძნეთის საელჩოს გააქტიურება ამ სკოლის განვითარების ხელშესაწყობად.

რისმაგ გორდეზიანი იხსენებს: „1995 წელს, თბილისში საბერძნეთის საელჩოს გახსნის შემდეგ, პირველი ელჩი ტასოს კრიეკუკისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტით ეწვია თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. მან ყურადღებით დაათვალიერა ჯერ თსუ-ის მეექვსე კორპუსის ორ პატარა ოთახში განთავსებული კლასიკური ფილოლოგიის კათედრა, შემდეგ მალღივ კორპუსთან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ელინოლოგთა განკარგულებაში არსებული კაბინეტები და მკითხა: — რისი გახსნა იქნებოდა ჩვენი დარგისთვის მიზანშეწონილი უკვე არსებული სტრუქტურული ერთეულების ბაზაზე უნივერსიტეტში? მართალია, მისგან თანხმობის მიღების თითქმის არავითარი იმედი არ მქონდა, მაგრამ მას მაინც ვუთხარი ჩემი და ჩემი კოლეგების ოცნების შესახებ — „ვისურვებდი ინსტიტუტის გახსნას!“ ჩემდა გასაკვირად, მან მკითხა — თუ რა დაჯდება უნივერსიტეტის მთავარ ნაგებობასთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ კორპუსში ამგვარი ინსტიტუტის მოსაწყობად სარემონტო სამუშაოების ჩატარება. როდესაც ფიქრის შემდეგ, საქართველოში არსებული მაშინდელი ფასების კონიუნქტურიდან გამომდინარე, ჩემი ვარაუდით, საკმაოდ სოლიდური თანხა დავუსახელე, მან მშვიდად მიპასუხა: — „ამ თანხას უნივერსიტეტი მიიღებს!“ მაშინ მე ეს ზერელე დაპირებად მივიღე. ცოტა ხანში ჯანმრთელობის მდომარეობამ საერთოდ გადამავიწყა ეს საუბარი და აი, ის იყო, რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ სამსახურში გავედი, რომ ბატონი ელჩი დამიკავშირდა და მომახარა: — „ფული ნაშოვნია, დავათვალიეროთ მომავალი ინსტიტუტის ადგილ-სამყოფელი“. დასათვალიერებლად გავემართეთ ელჩი ტასოს კრიეკუკისი, უნივერსიტეტის პრორექტორი სამეურნეო დარგში გოდერძი ტურძელაძე, სოფიო შამანიდი და მე. მოვიარეთ ვაკეში განლაგებული რამდენიმე კორპუსი.



შეხვედრა საქართველოში საბერძნეთის პირველ ელჩთან - ტასოს კრიეკუკისტან

ელჩს სახეზე კმაყოფილების არავითარი ნიშანი არ ესახებოდა. გოდერძის და სოფიკოს ეშინოდათ გულს კვლავ საავადმყოფოში არ შევებრუნებინე. ყველაზე კრიტიკულ მომენტში სასონარკვეთილმა გოდერძიმ წამოიძახა: „ვანვენოთ მე-8 კორპუსი!“ კარგად ვიცოდი, რომ ეს კორპუსი ჯერ ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, შემდეგ გაერთიანება „მიონის“ საკუთრება იყო, ბოლოს კი უნივერსიტეტს გადმოეცა. იგი, ძირითადად, „მიონის“ ყოფილ, ამჟამად უნივერსიტეტის თანამშრომელ ფიზიკოსებს ჰქონდათ დაკავებული ამ შენობაში შემოკედლებულ კიდევ რამდენიმე საუნივერსიტეტო სტრუქტურასთან ერთად. კორპუსის დიდი ნაწილი არსებით სარემონტო სამუშაოებს საჭიროებდა. მასში შესვლისთანავე ელჩმა გალღობა დაიწყო, მის სახეზე, როგორც იქნა, კმაყოფილება აღიბეჭდა და მისგან ბოლოს და ბოლოს მოვისმინეთ: — „აქ კარგი იქნება ინსტიტუტის განთავსება. რა ფართს გთავაზობენ და როდის შეიძლება დავიწყეთ რემონტი?!“ მან უმაღ აუღო ალღო იმას, რომ სტალინის ეპოქაში აგებულ ამ ფსევდო კლასიცისტურ შენობაში ნებისმიერი რანგის სტუმრისა თუ დელეგაციის მიღება შეიძლებოდა აქვე ინსტიტუტისათვის გამოყოფილ ფართზე სათანადო სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ,“ — ამბობს რისმაგ გორდენიანი, რომელსაც დღემდე ახსოვს დეტალურად ინსტიტუტის დაარსებასთან დაკავშირებული პერიპეტეიები — სასიამ-

ოვნიოდ საკვირველი მხარდაჭერის მაგალითები საბერძნეთის საელჩოსგან და უნივერსიტეტისგან სავსებით მოსალოდნელი თანადგომის ეტაპები.

გაზაფხულის პირას უნდა გადანიშნულიყო - როდიდან შეუდგებოდა ინსტიტუტი აქ ფუნქციონირებას? ბოლოს შეთანხმდნენ, რომ უკვე 1997 წლის სექტემბრიდან აქ სწავლა დაიწყებოდა.

რისმაგ გორდეზიანს უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრეველის უპირობო მხარდაჭერა უმაგრებდა ზურგს. მას დღემდე არ ავიწყდება რექტორის კომენტარი: — „ოღონდ შენ იყავი კარგად, შენი გულის ტკივილი არ გამაგონო და სადაც ხელს დაადებ, იქ დავაფუძნოთ ინსტიტუტი“. რექტორის ბრძანებით, კათედრას მე-8 კორპუსის ყველა სართულზე ოთახები გამოუყვეს, უპატრონოდ მიგდებული სააქტო დარბაზის რენაიმაციის საკითხი კი კათედრას თავად უნდა გადაეჭრა. საბერძნეთის საელჩომ უნივერსიტეტს ჩაურიცხა დაპირებული თანხა. და აი, 1997 წლის 7 მარტს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტისტიკის ინსტიტუტის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანება დაინერა. 1997 წლის სექტემბერში, გარდა სააქტო დარბაზისა, ყველაფერი უკვე წესრიგში იყო მოყვანილი, სააქტო დარბაზი კი დიდი საერთაშორისო კონფერენციის — „ელენისტიკა საუკუნეთა მიჯნაზე“ — გახსნისთვის ჩადგა მწყობრში, რაც იმჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები ბერძნების გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელის, პროფესორ დიმიტრი გლაროსის მატერიალური თანადგომით მოხერხდა. ეს იყო წლები, როდესაც, საქართველოში გამეფებული უშუქობისა და სიცივის პერიოდში, ყველა ამ ინსტიტუტის აუდიტორიებს აფარებდა თავს. გარემონტებულ, ნორმალური ავეჯით აღჭურვილ და გამთბარ ოთახებში ყველა სიამოვნებით ატარებდა თურმე ლექციებსა თუ სემინარებს. ასე „იყვავილა“ გაზაფხულზე კლასიკური ფილოლოგიის დარგის მესვეურთა ოცნებამ და მას შემდეგ, წლების განმავლობაში, ამ ინსტიტუტს სტუმრობდნენ საბერძნეთისა და საქართველოს პატრიარქები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები,

მინისტრები და უამრავი სხვადასხვა რანგის პიროვნება თუ დელეგაცია... აქ იმართებოდა საერთაშორისო-სამეცნიერო ფორუმები, კონფერენციები, ინსტიტუტის დღეები და სხვ.

პოლიტიკური ვნებათაღელვებით და დიდი გლობალური ცვლილებებით გამოწვეული 20-ზე მეტწლიანი პაუზის შემდეგ იენელ კოლეგებთან უკვე ინსტიტუტის ეგიდით განახლდა ურთიერთობები და 2014 წლის სექტემბერში აღდგა ერთობლივი კონფერენციების ჩატარების ტრადიცია.

ძალიან მალე, ევროპული ლიტერატურის გარიჟრაჟზე ჰომეროსის ნათქვამს გაიხსენებს რისმაგ გორდებიანი — „ფოთლების მსგავსია ადამიანთა თაობა. ფოთლებს ქარი მიმოაბნევს მიწაზე, თუმცა ტყე გაზაფხულის ჟამს ყვავილობისას ისევ აღმოაცვენებს, ასეთია კაცთა თაობაც — ერთი ამოიზრდება, მეორე კი ქრება“, — ასე ამბობს ჰომეროსი. ჩემი სათქმელი კი ესაა — მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც, მეტწილად, ქარმა უკვე მიმოაბნია და რომელმაც თავის დროზე ძალისხმევა არ დაიშურა იმისათვის, რომ ჩვენს ძველ, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა დარგს საქართველოში მყარი პოზიციები ჰქონოდა“, — ეს სიტყვები იმ პიროვნებას ეკუთვნის, რომელმაც დარგი იმ ავადსახსენებელ პერიოდშიც გადაარჩინა, როცა უნივერსიტეტს მძიმე წლები ედგა.

„მაშინაც კი, როდესაც 2006 წელს აბსოლუტურად მავნებლური კონკურსის შედეგად უნივერსიტეტში დამანგრეველი წმენდა მოხდა, ვფიქრობდი — ინსტიტუტში ასაკობრივი ნონასწორობა შემენარჩუნებინა. საბედნიეროდ, ინსტიტუტი მაშინ ნგრევას გადაურჩა და მე ჩემი ცხოვრების ფინიშთან შემიძლია გარკვეული კმაყოფილებით ვთქვა, რომ ინსტიტუტში გარს მარტყია ყველა თაობა. ჩამოვთვლი ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამშრომელს, რომლებიც დღეს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტს წარმოადგენენ. ამით მიიწინააღმდეგებოდა ჩემი დიდი მადლიერება იმ კეთილი სახელისა და ავტორიტეტისათვის, რომელიც მათი დამსახურებით მოიპოვა ჩვენმა სასწავლო-სამეცნიერო ცენტრმა. დღეს ჩემთან ერთად კლასიკური ფილოლოგიის ჭაპანს ეწევა გრიგოლ

წერეთლის მიერ დაარსებული კათედრის 8 ასოცირებული და 2 მონვეული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: იამზე გაგუა, ირინე დარჩია, ეკატერინე კობახიძე, ქეთევან ნადარეიშვილი, ნანა ტონია, რუსუდან ცანავა, ზაზა ხინთიბიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: მანანა ფხაკაძე, თინათინ გიორგობიანი, ფილოლოგიის დოქტორი მაია შუხოშვილი. მათი ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად ამჟამად ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის ყველა ძირითად კურსში გვაქვს თანამედროვე სახელმძღვანელოები, მრავალი ათეული მონოგრაფია დარგის აქტუალურ პრობლემებზე, საცნობარო ლიტერატურა, ქართულ ენაზე ანტიკურ ავტორთა თარგმანების ცალკე გამოცემები და ანთოლოგიები. საუნივერსიტეტო მასშტაბით კლასიკური ენების სწავლებაში ჩართული არის ენების ცენტრის 8 და 3 მონვეული მასწავლებელი: ქეთევან აბესაძე, ქეთევან გარდაფხაძე, თეა დულარიძე, დალი ნადიბაიძე, მანანა ლარიბაშვილი, ლელა ჩოთალიშვილი, თამარ ჭეიშვილი, ვიქტორია ჯუღელი, თამარ თარხნიშვილი, ადა ტრაპაიძე, დალი ქურდიე, რომლებიც ამასთანავე ეწევიან აქტიურ სამეცნიერო და მთარგმნელობით მოღვაწეობას. ბიზანტიური ფილოლოგიის კათედრას პროფესორი თინათინ დოლიძე ხელმძღვანელობს. კათედრა აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო და მთარგმნელობით მუშაობაში. ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოფიო შამანიდი. კათედრას არაბერძნულენოვანი სახელმწიფოების ნეოგრეციციკის ცენტრებს შორის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიას კი ხელმძღვანელობს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვალერი ასათიანი. გარდა ამისა, როდესაც ვხედავ — რამდენი კარგი ახალგაზრდა ემზადება ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად, ინსტიტუტის მომავალი ბედი ავი მოლოდინის საფუძველს არ მიტოვებს“, — დასძენს რისმაც გორდებიანი.

* * *

1997-2018 წლებში ინსტიტუტს სტუმრობდნენ საბერძნეთისა და საქართველოს პრეზიდენტები – კონსტანტინოს სტეფანოპულოსი, ედუარდ შევარდნაძე, გიორგი მარგველაშვილი, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კონსტანტინოს კარამანლისი, ათენისა და სრულიად საბერძნეთისა და ათენის არქიეპისკოპოსი ქრისტოდულოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და სხვ.

არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტის ბერძნული ენის ცენტრთან თანამშრომლობით ინსტიტუტში ყოველ წელს ტარდება ახალი ბერძნული ენის სასერთიფიკაციო გამოცდები. ინსტიტუტს მჭიდრო კონტაქტები აქვს საბერძნეთის, კვიპროსის, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, რუსეთის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან. ყოველწლიურად ინსტიტუტის არაერთი თანამშრომელი და სტუდენტი მიემგზავრება სხვადასხვა ვადით საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სასწავლო პრაქტიკის გასაველელად და სხვ.

ინსტიტუტის ბაზაზე, ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ასევე ხორციელდება ფრანგულენოვანი სადოქტორო პროგრამა ევროპულ ლიტერატურაში, რომლის წარმატებული კურსდამთავრებულები იღებენ როგორც თსუ-ის, ისე ბოლონიის უნივერსიტეტის ორმაგ აკადემიურ ხარისხს.

ინსტიტუტი 2016 წლიდან მონაწილეობს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში, რომლის ორგანიზატორიც არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ინსტიტუტში ასევე ფუნქციონირებს სტუდენტთა სამეცნიერო წრე და ანტიკური დრამის სტუდია „ოდეონი“. სტუდენტები სისტემატურად აწყობენ სტუდენტურ კონფერენციებს, სემინარებს, პოეზიის საღამოებს, ფილმებისა

და სპექტაკლების ჩვენებას, ფესტივალებს, ექსკურსიებს, დგამენ სპექტაკლებს და სხვ. 2005 წლიდან ინსტიტუტში სტუდენტების მონაწილეობით დაიდგა შემდეგი სპექტაკლები: ევრიპიდეს „ტროელი ქალები“, „იფიგენია ავლისში“ და „ორესტესი“, არისტოფანეს „ქალები სახალხო კრებაზე“, პლავტუსის „ფსევდოლუსი“, იაკოვოს კაბანელისი „სერობა“ და სხვ.

2017 წელს ინსტიტუტი შეუერთდა ლათინურისა და ბერძნული ენის ევროპულ ფესტივალს, რომლის ფარგლებშიც ჰომეროსის „ოდისეა“ ერთდროულად და საჯაროდ წაიკითხეს 20-ზე მეტ ქვეყანაში, 40-ზე მეტ ენაზე და, მათ შორის, ქართულად.

ინსტიტუტის მხარდაჭერით 2013 წლიდან ხორციელდება კულტურულ-საგანმანათლებლო ფესტივალი „ოქროს საწმისი“, რომლის ერთ-ერთი მიზანია ბერძნული კულტურის პოპულარიზაცია და რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები. ფესტივალის ფარგლებში ტარდება კონფერენციები, საჯარო ლექციები, ვიქტორინები, კონკურსები, ფილმების ჩვენება, თეატრალური წარმოდგენები და სხვ.



რისმავ გორდეზიანი



სიმონ ყაუხჩიშვილი

სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკის დიდი ისტორია მოკლედ

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის საქმიანობას დიდად შეუწყობდა ისეთი სტრუქტურული ერთეულის გამართვამ, როგორც ბიბლიოთეკაა. ამ კუთხითაც რისმაგ გორდუზიანის როლი ძალიან დიდია. ბიბლიოთეკა სიმონ ყაუხჩიშვილის სახელს ატარებს. ეს არცაა გასაკვირი, რომ სიმონ ყაუხჩიშვილის მემკვიდრე მეცნიერმა სწორედ მისი სახელობის ბიბლიოთეკა გახსნა და შინაარსობრივად უმდიდრეს ერთეულად აქცია.

ვინ იყო სიმონ ყაუხჩიშვილი? — მის ბიოგრაფიას ამ წიგნში გვერდს ვერ ავუვლით, მით უფრო, რომ წიგნს მომავალი თაობებიც გაეცნობიან და აქვე გაიგებენ სიმონ ყაუხჩიშვილის პიროვნული და მეცნიერული ღირსებების ამბებს.

* * *

გამოჩენილი მეცნიერი, ქართული კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის დამაარსებელი და აღიარებული მამამთავარი, ცნობილი ქართველოლოგი სიმონ ყაუხჩიშვილი 1895 წლის 14 ოქტომბერს ქ. ქუთაისში დაიბადა. აქვე მიიღო საშუალო განათლება და 1913 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე. ბუნებით ნიჭიერსა და ცოდნამოწყურებულ ახალგაზრდას აქ შესაშური პირობები შეექმნა ღრმა და ყოველმხრივი განათლების მისაღებად, მაგრამ სიმონ ყაუხჩიშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ კლასიკური ფილოლოგიის შესწავლით. იგი პარალელურად სწავლას იწყებს აღმოსავლური ენების ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე, სადაც მისი მასწავლებლები ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი არიან.

1917 წელს სიმონ ყაუხჩიშვილმა წარმატებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა.

1918 წელს, როდესაც ქართული უნივერსიტეტი დაარსდა, მან ეროვნული კულტურის ამ კერას მიაშურა. იმავე წელს იგი საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად იქნა დატოვებული უნივერსიტეტში ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის განხრით. უკვე 1920 წელს გადაწყდა მისი მივლინება საბერძნეთსა და გერმანიაში ცოდნის გაღრმავება-სრულყოფისათვის. 5 თვის მანძილზე სიმონ ყაუხჩიშვილი ათენში მუშაობდა, სადაც დაეუფლა ახალ ბერძნულ ენას, გაეცნო ბიზანტიური ეპოქის ბერძნული ლიტერატურის ძეგლებს, ბერძნულ ხელნაწერებს. 1921 წლის იანვარში იგი მიემგზავრება ბერლინში, რომლის უნივერსიტეტში 4 სემესტრის მანძილზე მუშაობდა მსოფლიო სახელის მქონე ელინისტებისა და ბიზანტინოლოგების ხელმძღვანელობით. აქ ეუფლება იგი საისტორიო წყაროთმცოდნეობას, ბიზანტინოლოგიას, ბერძნულ ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიას.

1923 წელს სიმონ ყაუხჩიშვილი კვლავ თბილისის უნივერსიტეტშია, სადაც კლასიკური ფილოლოგიის დარგს მეთაურობს გამოჩენილი ელინისტი და პაპიროლოგი გრიგოლ წერეთელი. სიმონ ყაუხჩიშვილი მხარში ამოუდგა ყოფილ მასწავლებელს. უნივერსიტეტში იგი ასწავლიდა კლასიკურ ენებს, კითხულობდა ბერძნულ ლიტერატურასა და ბიზანტიის ისტორიის კურსებს, აგრეთვე სპეციალურ კურსებს კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის სხვადასხვა პრობლემაზე.

1927 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიიღო ბიზანტინოლოგიის დოქტორის წოდება. 1930 წელს სიმონ ყაუხჩიშვილი არჩეულ იქნა პროფესორად, 1927-1938 წლებში იგი ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის მის მიერვე დაარსებულ ბიზანტინოლოგიის კათედრას. 1927 წელს არჩეულ იქნა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ თავმჯდომარედ. 1939-1940 წლებში სიმონ ყაუხჩიშვილი მუშაობდა მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ანტიკური ლიტერატურის განყოფილებაში. 1940-1954 წლებში სათავეში ედგა მის მიერ აღორძინებულ კლასიკური

ფილოლოგიის კათედრას, რომლის პროფესორად გარდაცვალებამდე მუშაობდა. სიმონ ყაუხჩიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ნოდება: 1950 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1969 წელს — აკადემიკოსად. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით. იგი 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი შრომებით გახადა მან ცხადი დღეს მსოფლიო ბიზანტინოლოგიაში აღიარებული დებულება, რომ ქართული ლიტერატურული ძეგლების გარეშე შეუძლებელია ბიზანტიური ლიტერატურის კვლევა.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს სიმონ ყაუხჩიშვილის მნიშვნელოვანი წვლილი ფსევდო-დიონისე არიოპაგელის პრობლემის ამოხსნაში. ფსევდო-დიონისეს და პეტრე იბერის იგივეობის შესახებ ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზა მან არაერთი დამატებითი არგუმენტებით გაამაგრა. როგორც არ უნდა გადაწყდეს ფსევდო-დიონისე არიოპაგელის პრობლემა, ერთი ამკარაა, რომ ზემოხსენებულ კონცეფციას მსოფლიო მეცნიერებაში საკმაოდ მყარი პოზიცია აქვს მოპოვებული და ამაში უდიდესი როლი სიმონ ყაუხჩიშვილსაც მიუძღვის. სიმონ ყაუხჩიშვილს სხვაც რომ არაფერი გაეკეთებინა თავისი სიცოცხლის მანძილზე, მისი სახელის უკვდავსაყოფად „ქართლის ცხოვრების“ აკადემიური გამოცემაც იკმარებდა.

სიმონ ყაუხჩიშვილი 1981 წლის 11 მაისს გარდაიცვალა 86 წლის ასაკში. ცნობები მის შესახებ ამოკრებილია წიგნიდან — „სიმონ ყაუხჩიშვილი — ბიობიბლიოგრაფია“, 1989 წ.

* * *

ვინ იყო სიმონ ყაუხჩიშვილი რისმაგ გორდებიანისთვის? — თითქოსდა ამ ტრაფარეტულ შეკითხვაზე პასუხი რეალურად იმდენად ინფორმაციულია, რომ ზემოთ მოყვანილ ფაქტებს სიმონ ყაუხჩიშვილზე დამატებით ემოციურ

აღქმებასაც ჰმატებს. რისმაც გორდუზიანი დიდი მოწინებით იხსენებს მასწავლებელს: „იგი იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ სათანადო განათლების მისაღებად წარგზავნილი ევროპაში. როცა ჩამოვიდა, აქ მას დახვდა გრიგოლ წერეთელი — უდიდესი მეცნიერი, რომლისგანაც საფუძველჩაყრილი კლასიკური ფილოლოგიის სკოლის განვითარების ესტაფეტა ჩაიბარა. მაგრამ, სიმონ ყაუხჩიშვილს რეპრესიები შეეხო, იგი მოსკოვში გადაასახლეს, სადაც მუშაობდა. მას აეკრძალა თბილისში ყოფნა. როცა ბერიას ჰყავდა დაკითხვებზე, მან უთხრა: — ხომ იცით, რომ მე აგენტი ვარ და რაც გინდათ, ის მიქენითო. ბერიას უთქვამს: — დაანებე სისულელეების ლაპარაკს თავი, ჩვენ მშვენივრად ვიცით — ვინც ხარო. ის გადარჩა გადასახლებით. შემდეგ დარწმუნდნენ რა, რომ უცხოეთში ყოფნის დროს იგი აგენტად არ ქცეულა, ცოტა ხანს თავი დაანებეს. მაგრამ, 1953 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი პირები კვლავ მიუბრუნდნენ იმ ხალხის გასამართლებას, ვინც ბერიამ არ დასაჯა, მაშინ კვლავ აქტუალური გახდა სიმონ ყაუხჩიშვილის აგენტობის თემა. 1953 წელს იგი გარიცხეს უნივერსიტეტიდან, ჩამოართვეს აკადემიკოსის წოდება, რადგან, საბჭოთა ლიდერების აზრით, თავის დროზე საკმარისად არ იყო დასჯილი. მადლობა ღმერთს, რამდენიმე წელიწადში ის კვლავ დაუბრუნდა უნივერსიტეტს და დააარსა ბიზანტინოლოგიის განყოფილება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

არ მახსოვს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მას გაეცდინა. საოცარი კეთილგანწყობით აძლევდა მათ რჩევებს. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში სწორედ მისი სემინარების წყალობით მნიშვნელოვნად შევამცირე ის დიდი დეფიციტი, რაც კლასიკური ფილოლოგიის დისციპლინებში მქონდა. ლოგიკური, ნათელი, საუკეთესო ორატორული კანონებით გამართული ლექციები, საუბრის დინჯი, დარბაისლური სტილი, რასაკვირველია, ღრმა ცოდნა და ენციკლოპედიური განათლებულობა მას გამორჩეული ლექტორის დიდებას უქმნიდა.

გარდა იმისა, რომ სიმონ ყაუხჩიშვილი ჩემი პედაგოგი იყო, ცხოვრებამ მასთან სხვა კუთხითაც დამაკავშირა. იგი ჩემი სიმამრია. მე ყოველთვის ვცდილობდი დამერღვია მითი — რომ, აი, ყაუხჩიშვილი რისმაგ გორდეზიანის სიმამრია და ამიტომ მუშაობს ამ დარგში. არა, ნამდვილად! ეს იყო ჩემი მოწოდება და ვფიქრობ, რომ ჩემი ცხოვრებით მე დავამტკიცე, რომ არავისზე მიბმული არ ვყოფილვარ არასოდეს. უფრო სწორად, ის არის ჩემი სიდედრის მამა, ამიტომ მას ყველანი ვეძახდით პაპას, რადგან ყველაზე მზრუნველი იყო“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი.

* * *

ელინოლოგთა ახალი თაობების აღმზრდელის სახელით ათწლეულების განმავლობაში საზრდოობდა დარგი, რომელიც ინსტიტუტის შექმნის წინაპირობად იქცა. და სწორედ სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში/კაბინეტში გრძელდება ახლა ის საქმიანობა, რასაც თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მდიდარი წიგნადი ფონდით მომარაგება ჰქვია.

„ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე ბიბლიოთეკის აწყობა და მეექვსე კორპუსიდან, განსაკუთრებით კი მალღვის შენობიდან გადმოტანილი წიგნების კლასიფიკაცია იყო — ეს დავალება წარმატებით შეასრულეს ლექტორმა ქეთევან აბესაძემ და ჩემმა მეგობარმა კოლეგებმა — მარსელა ბახტაძემ და დარეჯან ხუროშვილმა. ბიბლიოთეკა, რომელიც სიმონ ყაუხჩიშვილის კაბინეტად იწოდა, ამჟამად ჩვენი ინსტიტუტის უმთავრესი განძია. მისი დამთვალიერებელი უცხოელი თუ ქართველი სპეციალისტები თავიანთ გაოცებას ვერ მალავენ აქ თავმოყრილი წიგნების რაოდენობისა და მნიშვნელობის გამო. ისინი ხშირად გვეკითხებიან — სად შოულობდით ამდენ ფულს, რომ ამხელა წიგნთსაცავის ფორმირება შეძელითო. იმის მოსმენის შემდეგ, რომ ბიბლიოთეკა, ძირითადად, შემონირული წიგნებით არის დაკომპლექტებული, მათი გაოცება კიდევ უფრო იზრდება. მისი ფორმირების ისტორია

კი ამგვარია. დიდი სპეციალიზებული ბიბლიოთეკის შექმნის იდეამ რეალურად 1982 წელს ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის შექმნის შემდეგ იწყო განხორციელება. მისთვის არ ვიშურებდით არც პირადი წიგნების შეწირვას, არც ჩვენს მაღაზიებში სათანადო ლიტერატურის მოძიებას, აქვე ვათავსებდით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ ჩვენთვის გადმოცემულ, უცხოეთიდან ჩვენივე დაკვეთით გამოწერილ თითო-ოროლა წიგნსა თუ ჟურნალს. მას შემდეგ, რაც ჩვენმა მეგობრებმა საზღვარგარეთ ამ კეთილშობილი მიზნის შესახებ შეიტყვეს, დაიწყეს, თანდათანობით, წიგნების გამოგზავნა. ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილები მივიღეთ ლაიფციგიდან. ბუკინისტურ მაღაზიებში გასაგზავნად გამზადებულ ასობით წიგნს ჩვენმა მეგობარმა, ლაიფციგელი კლასიკოსების ხელმძღვანელმა იურგენ ვერნერმა მიმართულება უცვალა და ჩვენ გადმოგვილოცა. მანვე დამაახლოვა ტოიბნერის გამომცემლობის რედაქტორთან, ქალბატონ შუმანთან, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში რეგულარულად გვიგზავნიდა საჩუქრად ამ გამომცემლობის საოცრად ძვირ პროდუქციას. ბიბლიოთეკის ფორმირებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოველი კოლეგის, ქალბატონ ვალენტინა ისაევას თანადგომას, რომელმაც რეკომენდაცია გაამინია საბჭოთა კავშირის უდიდესი წიგნთსაცავის, ლენინის ბიბლიოთეკის დუბლიკატების განყოფილების უფროსთან. ორი კვირის განმავლობაში თავაუღებლად ვმუშაობდი ამ განყოფილებაში და 5 000-ამდე უნიკალური წიგნი, მათ შორის, ანტიკვარული გამოცემები შევარჩიე ჩვენთვის გამოსაგზავნად. ამ განყოფილების მთლიანად ქალებით დაკომპლექტებული პერსონალი, რომელსაც აქამდე მხოლოდ დარდიმანდი და მოარშიყე ქართველი მამაკაცები ჰყავდა ნანახი, გაცემებით უყურებდა იმას, თუ როგორ ვამსხვრევდი ამ სტერეოტიპს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დავუტოვე ჩემ მიერ შერჩეული წიგნების საოცრად გრძელი ნუსხა და ყველანი რესტორანში დავპატიჟე, მათ გაუქრათ ეჭვი ჩემი ჭეშმარიტი ქართველობის თაობაზე. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ მოსკოვის ბიბლი-

ოთეკამ მთელი ეს ლიტერატურა საჩუქრად გადმოგვიგზავნა. 80-იანი წლების ბოლოს ცნობილმა კიეველმა პროფესორმა ანდრეი ბელეცკიმ გადაწყვიტა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკის ჩვენთვის გადმოცემა. ლევან ბერძენიშვილი, რომელიც პოლიტიკური პატიმრობის ვადის მოხდის შემდეგ კვლავ დაგვიბრუნდა, ჩვენი თანამშრომლების მცირე ჯგუფთან ერთად კიევეში გაემგზავრა, აღნუსხა ჩვენთვის გადმოსაცემად გამზადებული წიგნები და უზრუნველყო მათი უკრაინიდან თბილისში გამოგზავნა.

ბიბლიოთეკამ სახელი გაითქვა. ინსტიტუტის გახსნის შემდეგ გადმოგვეცა სიმონ ყაუხჩიშვილის პირადი წიგნები კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის სფეროში. ჩვენი უდროოდ წასული მეგობრის — ბაქარ გიგინეიშვილის მდიდარი ენათმეცნიერული ბიბლიოთეკაც მალევე ჩვენს ფონდში დაივანებს. საკმაოდ ბევრი წიგნი გვისახსოვრა ცნობილმა არქეოლოგმა და კლასიკოსმა ოქსფორდიდან მაიკლ ვიკერსმა. ჩვენმა გარდაცვლილმა მეგობარმა ერნსტ გიუნთერ შმიდტმა ანდერძით დაგვიტოვა თავისი პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც საკუთარი მანქანით ჩამოგვიტანა ანეგრეტ პლონტკე-ლიუნინგმა და ახლა სიმონ ყაუხჩიშვილის კაბინეტის თაროებს აშვენებს. თავიანთი ბიბლიოთეკების ჩვენთვის დატოვება გადაწყვიტეს და წიგნების პირველი პარტიები უკვე გამოგვიგზავნეს საქსონიის აკადემიის აკადემიკოსმა იურგენ ვერნერმა და ცნობილმა ბიზანტინისტმა ჰაიდელბერგიდან ადოლფ მარტინ რიტერმა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის შევსება, რასაც საბერძნეთიდან ვიღებთ გენერალური სამდივნოდან, სამინისტროებიდან, სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ფონდიდან თუ კერძო პირებიდან.

რამდენიმე წლის წინ საზოგადოება „პანორამას“ დელეგაციის მიერ ჩამოტანილი უძვირფასესი წიგნების და ალბომების უაღრესად შთამბეჭდავი გამოფენაც მოვანყეთ, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. უკანასკნელ ხანებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი წვლილი ჩვენთვის უახლესი უცხოური ლიტერატურის გამონერის საქმეში. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა უკვე ისე

გაიზარდა, რომ იგი ინსტიტუტის სამ სხვადასხვა სივრცეში განთავსებულ კლასიკურ, ბიზანტიურ და ნეოგრეცისტულ ქვებილიოთეკად დაიყო. არ მინდა ვიფიქრო, რომ ინტერნეტით გათამამებული მომდევნო თაობები გადააფასებენ ტრადიციული წიგნთსაცავების მნიშვნელობას და ესოდენ რუდუნებით შექმნილ ბიბლიოთეკას როდესმე საფრთხე დაემუქრება“, — ასეთია სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა/კაბინეტის მოკლე ისტორია, რომლის თაობაზეც რისმაც გორდეზიანი თავის ბიოგრაფიულ წიგნში აღწერს.

წერე და იკითხე „ლოგოსის“ წყალობით

თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა გუნდმა ის სირთულეებიც დაძლია, რაც, ზოგადად, დაკავშირებულია სტატიების, სახელმძღვანელოებისა თუ მონოგრაფიების აწყობა-გამოცემასთან. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ინსტიტუტის ბაზაზე გამომცემლობა — „ლოგოსი“ — შეიქმნა. ამის აუცილებლობას ინსტიტუტის „მსხმოიარე“ ხასიათიც განაპირობებდა, რომლის წიაღშიც შრომები, კვლევები და სტატიები მრავლად იქმნება.

„ბატონმა სიმონ ყაუხჩიშვილმა თსუ-ის სტამბაში სპეციალურად მოამზადა ასოთამწყობი, რომელსაც ძველი ბერძნული ტექსტის აწყობა შეეძლო. მას ჩვენგან, ელინოლოგებისაგან, მოსვენება არ ჰქონდა. ტექნიკურ პროგრესთან ერთად, თანდათანობით, ტექსტების აწყობის საკითხშიც შვება ვიგრძენით. ჯერ ისეთი საბეჭდი მანქანები შემოვიდა, რომელთაც უკეთებოდა სხვადასხვა ენის პოლიგრაფიულ სტანდარტებთან დაახლოებული შრიფტებით აღჭურვილი ბურთულები, რომელთა მოხსნა და გაკეთება საბეჭდ მანქანაზე ადვილი იყო. მახსოვს, რა სიხარული გამოიწვია პირველი ამგვარი მანქანის მოპოვებამ. მასზე აიწყო არაერთი მრავალენოვანი სტატია და მანანა ფხაკაძისა და ლევან ბერძენიშვილის ლათინური ენის სახელმძღვანელო. უკვე მალევე გადასულებს წამოგვეწია პერსონალური კომპიუტერ-

ებიც და ტექსტის მრავალ ენაზე აწყობა უკვე სულ ადვილი გახდა. მითუმეტეს, რომ ლევან ბერძენიშვილი და უნიჭიერესი 90-იანი წლების ტრაგიკულად დაღუპული ვანიკო რამიშვილი ამ საქმეში ჩინებულად გაერკვნენ და ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლების განაფვაც შეძლეს. ამასობაში შემოვიდა დუბლიკატორებიც და წიგნების საკუთარ პოლიგრაფიულ ბაზაზე გამოცემის იდეამ სულ უფრო და უფრო ღრმად გაიდა ჩვენში ფესვები. აფხაზეთის ომს გადარჩენილი ჩვენი კურსდამთავრებული ლაშა ბერაია, რომელიც სოხუმის უნივერსიტეტში ენოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ჩვენთან დავაბრუნეთ და საგამომცემლო საქმის აწყობა შევთავაზეთ. ლაშამ მშვენივრად გაართვა ამ ამოცანას თავი და მას შემდეგ, რაც ინსტიტუტი ბერძნულმა მხარემ დუბლიკატორით აღჭურვა, გამოიცა პირველი წიგნები.

ჩვენ გავიზიარეთ ნანა ტონიას წინადადება და ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამას „ლოგოსი“ დავარქვით. დღეს ეს არაკომერციული, არსებითად დოტაციური პროგრამა შესაძლებლობას გვაძლევს — გამოვცეთ ინსტიტუტის პროფილის ყველა ჟანრის ლიტერატურა, საერთაშორისო უცხოენოვანი ჟურნალი „ფაზისი“, ყოველწლიურად, დაახლოებით, 25 დასახელების წიგნი...“ — წერს რისმაგ გორდეზიანი თავის ბიოგრაფიულ წიგნში.

წინაბერძნული ენობრივი სამყაროს კვლევა

ეგეოსურ, მედიტერანულ კავკასიურ მიმართებებს, ეტრუსკოლოგიას რისმაგ გორდეზიანის კვლევაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს. მისი დაინტერესება ამ პრობლემატიკით ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებიდან დაიწყო. 1969 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა მისი სტატია ეგეოსურ-ქართველური ენობრივი პარალელების საკითხისათვის. 1975 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში — „კავკასია და ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი ენობრივი და კულტურული შეხვედრები“ — ავტორმა წამოაყენა ახალი კონცეფცია ეგეოსურ-ქართველური ენობრივი პარალელების

ინტერპრეტაციის შესაძლებლობათა თაობაზე. რისმაც გორდეზიანის აზრით, ეს პარალელები მძირითად ქრონოლოგიურ დონემდე დაიყვანება: ა) ნეოლითამდე, როდესაც მიმდინარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ-ანატოლიური კულტურის დიფუზიის პროცესი; ბ) ადრე და შუა ბრინჯაოს ეპოქათა მიჯნამდე, როდესაც ქართველურ ტომთა ერთი ნაწილი ეგეიდაში გადასახლდა და წინაბერძნულ სამყაროში მკვეთრად გამოხატული ქართველური ელემენტი შეიტანა; გ) გვიანბრინჯაოს ეპოქის დასასრულამდე, როდესაც გადმოსახლებულ ხალხთა ტალღებმა კავკასიაში ეგეოსური ელემენტები შემოიტანეს. ეს თვალსაზრისი მან 1985 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „წინაბერძნული და ქართველური“ — ჩამოაყალიბა, განავრცო და განავითარა. წიგნში თავმოყრილია ავტორის თუ სხვა მკვლევართა მიერ გამოვლენილი მრავალრიცხოვანი მიმართება, როგორც ფონოლოგიის, ასევე ლექსიკის სფეროში. წინაბერძნულ-ქართველურ შეხვედრებთან დაკავშირებული პრობლემატიკაა განხილული ავტორის საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიაში.

ეტრუსკოლოგია, რომელიც ეგეისტიკასთანაა მჭიდროდ დაკავშირებული, რისმაც გორდეზიანის კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა განია. იტალიის ეტრუსკოლოგიურ ცენტრებში მუშაობის შედეგები მან ცალკეულ სტატიებსა და 1980 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში — „ეტრუსკული და ქართველური“ — განაზოგადა. ავტორი გვთავაზობს ჰიპოთეზას ეტრუსკულში წინაბერძნულ-ქართველური კომპონენტის არსებობის თაობაზე. ის ავლენს მიმართებებს ფონოლოგიის, მორფოლოგიის, ლექსიკის დონეზე. რისმაც გორდეზიანი თვლის, რომ ქართველურ ტომთა მიგრაცია ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგეიდის გავლით იტალიასაც აღწევს, რასაც აღნიშნულ რეგიონში შუაჰელადური ტიპის კულტურის გამოვლენაც ადასტურებს. ქართველური კომპონენტი ეტრუსკული ენის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ეგეოსურ-ეტრუსკულ-ქართველური მიმართებების სფერო-



ში რისმაგ გორდეზიანის მრავალწლიანი კვლევის შედეგები საფუძვლიანად არის განზოგადებული და წარმოდენილი მის 4 ტომად გამოცემულ მედიტერანულ-ქართველურ მიმართებებში, რომლის პირველი 3 ტომი 2007, ხოლო IV — 2008 წელს გამოვიდა. I ტომი ეძღვნება შუმერული, პროტოხათური ენების ქართველურთან მიმართებებს, უძველეს ქართველურ-ინდოევროპულ ენობრივ ურთიერთობებს. II ტომში განხილულია წინაბერძნულ-ქართველური შეხვედრები ფონოლოგიის, მორფოლოგიის, ლექსიკის დონეზე. III ტომი ეტრუსკული ენის ანალიზსა და მის ქართველურთან მიმართებებს ეძღვნება. IV ტომი გვთავაზობს ერთიან ვრცელ რეზიუმეს ინგლისურ ენაზე. ოთხტომეული აყალიბებს რისმაგ გორდეზიანის კონცეფციას ქართველური ენების მიმართებაზე უძველეს მედიტერანულ ენებთან (ნეოლითიდან მოყოლებული ანტიკური ეპოქის ჩათვლით).

რისმაგ გორდეზიანის ნაშრომებს ეგეისტიკასა და ეტრუსკოლოგიაში მხარდამჭერები ჰყავს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ცნობილი ქართველოლოგი ე.ი. ფურნეე რისმაგ გორდეზიანის ნაშრომებს მისთვის სტიმულის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ თვლის და აღნიშნავს, რომ საკუთარმა კვლევამ იგი ქართველი მეცნიერის დასკვნების სისწორეში დაარწმუნა.

ასე რომ, რისმავ გორდეზიანს, რომელიც მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას დღემდე ეწევა, დიდი იმედი აქვს, რომ მისი მოსწავლეები მომავალში მაინც შეძლებენ მისი მეცნიერული კონცეფციის კიდევ უფრო გამყარებას.

ანტიკური პერიოდის კავკასია

გარდა ელინური კულტურისა, რისმავ გორდეზიანის მეცნიერული კვლევის საგანია ანტიკური პერიოდის კავკასია, რასაც სტუდენტობის წლებიდან უკირკიტებდა მეცნიერი.

„არგონავტების თქმულება“, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, ტროას ომამდე, იასონის კოლხეთში მოგზაურობისა და შემდეგ მედეას შვილების დახოცვის მითოლოგიური ისტორია მკვლევრის ქართულ ხერხემალს „ძაბავს“ და ეს მძაფრი შეგრძნებები მას მყარი მეცნიერული არგუმენტების და მუშავებაში ეხმარება.

„არგონავტების ლაშქრობა, პირველი ე.წ. შორეული ლაშქრობა ევროპიდან აღმოსავლეთში შედგა სწორედ კოლხეთში. მიჯაჭვული პრომეთე, მასთან დაკავშირებით კავკასიონის ქედის შემოტანა ბერძნულ აზროვნებაში, ასევე, ყველა ძირითადი კოლხი პერსონაჟის კავშირი არგონავტების თქმულებასთან ძალიან სერიოზულად გვაფიქრებს იმაზე, რომ ჩვენმა წინაპრებმა ევროპული არჩევანი გააკეთეს საკმაოდ ადრე. მაგალითად, აიეტ მეფე, კოლხეთის ეს ძღვეამოსილი მეფე, ბერძნული წყაროების მიხედვით, საბერძნეთიდან არის გადმოსახლებული. კერძოდ, იგი იყო კორინთოში მმართველი, სამეფო დაუტოვა ჰელიოსმა და ის აქ გადმოვიდა ძლიერი ქვეყნის შესაქმნელად. მისი და — კირკე — გადასახლება დასავლეთში და იტალიაში მცხოვრები ტომების არსებობას აძლევს დასაბამს. პირველი ევროპელი არის მეფე მინოსი. მინოსის ცოლი არის პასიფაე — აიეტის მეორე და. მინოსისა და პასიფაეს შვილები არიან ნამდვილი ევროპელები. ეს ყველაფერი გვაჩვენებს, რომ ბერძნულ აზროვნებაშიც ეს რეგიონი დაკავშირებული იყო ევროპასთან საკმაოდ მჭიდროდ. უნდა



გავიხსენოთ ისიც, რომ ელინისტური ეპოქის ისეთი ცნობილი პოეტი, როგორც კალიმაქოსი იყო, ასეთ ცნობას გადმოგვცემს: — არგოს კოლხი მდევარი რომ მისდევდა, დუნაიში შენავდნენ და კოლხები იქიდან გადავიდნენ ადრიატიკის ზღვაში, სადაც დააარსეს კოლხური ქალაქები, მათ შორის, პოლა. ქალაქი პოლა დღესაც არსებობს და კალიმაქოსის თქმით, ეს კოლხების გაკეთებულია. ასე რომ, ისინი საკმაოდ ღრმად შესულან მაშინ ევროპის ფარგლებში. ამ ყველაფერმა ჩვენზე დიდი გავლენა მოახდინა. თავიდანვე, სადღაც VIII საუკუნიდან, ბერძნები შემოდიან ამ რეგიონში, შემოაქვთ ინფორმაცია თავისი კულტურის შესახებ და იღებენ ინფორმაციას აქაური კულტურის თაობაზე, ანუ სახეზეა ორმხრივი ურთიერთგამდიდრება კულტურული ინფორმაციით. რაც შეეხება კავკასიას ზოგადად, კავკასია არის აშკარად ფენომენი, რომელიც უკვე ანტიკურობაში გამოიკვეთა, როგორც განსაკუთრებული რეგიონი“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი.

სკეპტიკოსების საპირისპიროდ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ადრეულ ვერსიებში და ჰომეროსთან აიეტის და ოქროს საწმისის ქვეყანა ჯერ კიდევ არ მოიაზრებოდა კოლხეთში და ამგვარი გაიგივება მხოლოდ ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყების შემდეგ მოხდა, რისმაგ გორდეზიანი ჰომეროსის ტექსტის, ლინგვისტურ მონაცემთა და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე ასკვნის, რომ თქმულების თავდაპირველ ვერსიებში აიეტის ქვეყანად კოლხეთი იგულისხმებოდა. ასევე, გარკვეულ ისტორიულ რეალობას ასახავს ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული ბერძენ ავტორთა ცნობები არგონავტთა მდევარი კოლხების ადრიატიკაში დასახლების შესახებ.

უნივერსიტეტის პარტკომობა — ლაქა თუ საკუთარი სიმართლე

როდესაც საბჭოთა ეპოქაში, 1978 წელს ქართულ ენას სახელმწიფო ენად დარჩენის საფრთხე დაემუქრა კონსტიტუციაში შესაბამისი მუხლის შესაძლო ცვლილების სახით, იმ პერიოდში რისმაც გორდეზიანი კომუნისტური პარტიის წევრი იყო და უნივერსიტეტში პარტკომის მოვალეობას ასრულებდა. ეს მაშინდელი საქართველოს ხელისუფლების სტილი და მიმართულება იყო, რომ სახელგანთქმული მეცნიერები თავის სამსახურში ჩაეყენებინა. ეს ნაბიჯი ზოგს რისმაც გორდეზიანის ცხოვრებისეულ ლაქად მიაჩნია, თუმცა მეცნიერს თავისი სიმართლე აქვს იმ პერიპეტეიებისას, რაც უნივერსიტეტმა გამოიარა მისი პარტკომობის დროს.

„ვალიარებ, რომ ვიყავი უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი, რომელსაც პარტიულ წრეებში საკმაოდ დიდი სახელი ჰქონდა. როდესაც ჩემი აკადემიური მოღვაწეობის ახალ ეტაპზე ვიყავი და იტალიაში მიღებული ცოდნით ფრთებშესხმული ახალ გეგმებს ვაწყობდი, სწორედ მაშინ დამიბარეს ცენტრალურ კომიტეტში. საორგანიზაციო განყოფილების გამგე იყო სულიკო ხაბეიშვილი, რომელმაც მითხრა,



პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სტუმრად თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, პიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტში

რომ უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნობა თქვენ შეიძლება დაგეგმოს. მაშინ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი — ეს თანამდებობა დამეკავებინა. ხაბეიშვილმა მომმართა — ჩემთან რომ აპროტესტებთ ამ შემოთავაზებას, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი როცა დაგიბარებთ, მასთან გაგაჭირდებათ თავის დახსნაო. მე ვგრძნობდი, რომ ეს არ იყო ჩემი მოწოდება. ჩემი მოწოდება იყო ის, რისთვისაც ამდენი წელი ვიმუშავე და ვიშრომე. მაგრამ, დამიბარა ედუარდ შევარდნაძემ და მითხრა — შენ პარტიის ჯარისკაცი ხარ და რასაც გავალებთ, ის უნდა გააკეთო. მაშინ შევარდნაძეს მე კითხვა დავუსვი: — რაში გჭირდებათ პარტიული კომიტეტის ისეთი მდივანი, რომელიც ზის და ფიქრობს ჰომოფობიაზე, ეტრუსკებზე და წინაბერძნულ მოსახლეობაზეთქო. მან კი მიპასუხა: — ჩვენ სწორედ ისეთი ადამიანი გვჭირდება, რომელიც არ იფიქრებს იმაზე, რაც არ არის ღირსეული და თავის საქმეს, საკუთარი ავტორიტეტის წყალობით, პროფესიულად გაუძღვებაო. იმ პერიოდში მე ყველანაირად შევეცადე, რომ უნივერსიტეტის ღირსება შენარჩუნებული ყოფილიყო.

რაც შეეხება 1978 წლის ამბებს, ვფიქრობ, რომ ამ საკითხს ყველაზე მართებული პასუხი გასცა ედუარდ შევარდნაძემ თავის მემუარებში. იქ მან თქვა — რა როლი მიმიძღვოდა იმაში, რა შედეგიც შემდეგ დადგა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მას ედავებოდნენ — შენმა „პარტკომებმა“ მოაწყვეს ყველაფერიო. ჩემთვის გაცილებით მწვავე იქნებოდა ის ამბავი, მაშინ რომ სისხლი დაღვრილიყო. შეიძლება გამეორებულიყო ის, რაც არაერთგზის მომხდარა საბჭოთა ეპოქაში და სისხლში ჩაეხშოთ მართლაც გულწრფელი და ძალიან კარგი ახალგაზრდების პროტესტი მშობლიური ენის გადასარჩენად“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი.

საბჭოთა პარტიული რეალობა ზოგჯერ დაუმსახურებლადაც აყენებდა ჩრდილს ადამიანებს და ეს ადამიანები დღევანდელი გადასახედიდან ხშირად ტრაგიკულადაც კი აღიქვამენ მათი წარსულის განქიქებას პარტიულობის გამო, მაგრამ იმას, რაც იყო, ველარ შეცვლი. რისმაგ გორდეზიანს მხოლოდ ერთი რამ აქვს სათქმელი — „ეს არის ჩემს ცხოვრე-

ბაში დროებითი პერიოდი და მე ვერავინ მეტყვის, რომ იმ პერიოდში რალაც ისეთი მაქვს გაკეთებული, რაც არ მეკადრებოდა ჰომეროსის მკვლევარს“.

* * *

მაშინ, როცა ვერავის წარმოედგინა საბჭოთა კავშირის დაშლა, რისმაგ გორდეზიანისთვისაც ეს პროცესი წარმოუდგენელი იყო. თუმცა, მოსახდენი მოხდა. ამ ფაქტს რისმაგ გორდეზიანი ერთ მოგონებას უკავშირებს: „როცა საბჭოთა კავშირის რღვევა დაიწყო, იმ პერიოდში ქუჩაში მერაბ მამარდაშვილი შემხვდა. მერაბს ვკითხე: — ეს მონოლითი, ეს აისბერგი ასე უცებ როგორ იშლება-მეთქი? მერაბ მამარდაშვილმა მიპასუხა: — გარედან ჩანს, რომ ეს აისბერგია, სინამდვილეში კი შიგნით სულ ნაგავიაო... და მართლაც, ეს მონოლითი მალე ჩამოიშალა...“

საგამოცდო რეფორმის ინიციატივა და განუხორციელებელი იდეა

საქართველოს დამოუკიდებლობის საწყის პერიოდში, 1993-1997 წლებში, რისმაგ გორდეზიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი იყო. მისი ამ პოსტზე მუშაობა იმით იყო საგულისხმო, რომ იმ დროს იგი გამოვიდა საგამოცდო რეფორმის ინიციატივით და შეიმუშავა უნივერსალური საგამოცდო ტესტები. როგორც აღმოჩნდა, პროფესორის გარკვეული ნაწილი მაშინ დაუპირისპირდა პრორექტორს იმ მოტივით, რომ ზოგიერთს ხელიდან ეცლებოდა რეპეტიტორობისას ასაღები ფული და გამოცდების დროს პროტექტორობის განწვევის შესაძლებლობა. ამიტომ, რეფორმა განუხორციელებელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ რისმაგ გორდეზიანს უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი უჭერდა მხარს.

„ვარდების რევოლუცია“, საუნივერსიტეტო რეფორმა და ბოიკოტზე უარი

„მე, მართალი გითხრათ, დამთრგუნა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ მატერიალიზების ფაქტორმა — როგორ შევარდნენ პარლამენტში და როგორ ჯოგით შეესივნენ დარბაზს, გადაუარეს მაგიდებს... ამ ყველაფერმა ჩემზე საოცრად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, მით უფრო, რომ მე უკვე მომსწრე ვიყავი — რა ხდებოდა ზვიად გამსახურდიას დროს, სადამდე მიგვიყვანა საზოგადოების დაპირისპირებამ მაშინ. ვფიქრობ, რომ 2003 წელს შევარდნადის გამჭრიახობამ აგვაცილა თავიდან დიდი დაპირისპირება და უბედურება. როცა ყოფილ პრეზიდენტს ჰკითხეს: - სად მიდიხარო, მან უპასუხა: - „სახლში მივდივარ“! (დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ედუარდ შევარდნაძე ემიგრაციაში, საზღვარგარეთ წავიდოდა)“, — ასე ჰყვება რისმაგ გორდეზიანი თავისი პოლიტიკური განწყობების შესახებ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ ამბავს.

ვარდების რევოლუციას მალევე მოჰყვა საუნივერსიტეტო რეფორმა, 2006 წელი და საპროტესტო აქციები... უნივერსიტეტიდან განდევნეს პროფესორის ღირსეული ნაწილი და დაიხურა სამეცნიერო კერები, გაუქმდა კათედრები. ეგრეთწოდებულმა ლომიას რეფორმამ პირველ ქართულ უნივერსიტეტს დიდი დარტყმა მიაყენა. რეფორმის სტილი და სტრატეგია იმდენად შოკისმომგვრელი იყო მაშინ უნივერსიტეტში დასაქმებული ღვანლმოსილი პროფესორისთვის, რომ ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა კონკურსებს, ნაწილმა კი იმ მიზნით მიიღო პროცესში მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტი პროფესიონალებისგან დაცლილ და გავერანებულ დაწესებულებად არ ქცეულიყო... სტრესმა რამდენიმე პროფესორის სიცოცხლეც კი შეინირა მაშინ... ბოიკოტირების რეჟიმზე უარს აცხადებს რისმაგ გორდეზიანი და თვლის, რომ უნივერსიტეტი არ უნდა დატოვოს, რომ უნდა გააგრძელოს თავისი საქმე. მიუხედავად მისი პოლიტიკური შეხედულებებისა, მის ავტორიტეტს ამჯერად ანგარიშს უწევენ და, საბედნიეროდ, არ უშვებენ უნივერსიტეტიდან.

„მე ასე ვფიქრობ: თუკი ადამიანი იგრძნობს, რომ მისი პროტესტით საქმე გაკეთდება, მაშინ უნდა შეუერთდეს პროტესტს, მაგრამ თუ გააცნობიერებს, რომ მისი პროტესტი შეიძლება გადაიზარდოს უნივერსიტეტის ნგრევაში, მაშინ მან, რასაკვირველია, თავი უნდა შეიკავოს — მაშინ სწორედ ასეთი არჩევანი იდგა ვითარებიდან გამომდინარე. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ მე არ მიმელო კონკურსში მონაწილეობა, არაფერი მომემოქმედა, განზე გავმდგარიყავი და უნივერსიტეტის პროფესორი აღარ ვყოფილიყავი. ამ შემთხვევაში შევძლებდი კი იმის გაკეთებას, რაც 2006 წლის შემდეგ გავაკეთე ჩვენი დარგისათვის? რასაკვირველია, ვერ შევძლებდი ამის გაკეთებას და უნდა გადავსულიყავი სულ საპროტესტო რეჟიმზე. ჩემი პროტესტი რა იყო? ჩემი პროტესტი იყო ის, რომ მე არ დავუშვი უნივერსიტეტი წელში გაეტეხათ, რაც მაშინ ზოგიერთს უნდოდა (არ ვგულისხმობ მაშინდელ რექტორს გია ხუბუას, ვგულისხმობ უფრო ზედა ინსტანციებში მყოფ ხელისუფლების წარმომადგენლებს). რა შემთხვევაში ვერ გატეხდნენ წელში უნივერსიტეტს? - ეს მაშინ მოხდებოდა, თუკი უნივერსიტეტში იქნებოდა ღირსეული პროფესურა. იმ პერიოდში ისეთი ხალხი წავიდა უნივერსიტეტიდან, მე, პირადად, ვფიქრობ, რომ ეს იყო უნივერსიტეტის მიმართ დაშვებული შეცდომა“, — ასეთი გახლდათ რისმაც გორდეზიანის პოზიცია 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმის თანმდევ პროცესებზე.

პროფესორობიდან აკადემიკოსობამდე

რა გააკეთა მას შემდეგ, რაც მისი გადაწყვეტილების თანახმად, კვლავაც უნივერსიტეტში დარჩა? 2006 წლიდან რისმაც გორდეზიანი სრული პროფესორი გახლდათ და დღეს ის უკვე ემერიტუს პროფესორის სახელს ატარებს.

რისმაც გორდეზიანი 2013 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად, რაც მან თავისი აკადემიური ბიოგრაფიით დაიმსახურა. მისი ხელმძღვანელობით დაარსებული კლასიკური ფილოლოგი-

ის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი აღმოსავლეთ ევროპაში წამყვანი ინსტიტუტი გახდა მის დარგში. ინსტიტუტის საგამომცემლო დოტაციური პროგრამა — „ლოგოსი“ შესაძლებლობას აძლევს — ინსტიტუტის გარშემო გაერთიანებულმა პროფესორთა ღირსეულმა ჯგუფმა გამოსცეს ინსტიტუტის პროფილის ყველა ჟანრის ლიტ-



ერატურა, საერთაშორისო უცხოენოვანი ჟურნალი „ფაზისი“ და ყოველწლიურად, დაახლოებით, 25 დასახელების წიგნი. ასე ავსებენ საზღვარგარეთიდან სხვადასხვა დროს ჩამოტანილი წიგნებით თუ უცხოელი კოლეგების დახმარებით გამდიდრებულ ბიბლიოთეკას, რომელიც სიმონ ყაუხჩიშვილის კაბინეტის სახელითაა ცნობილი. რისმაგ გორდეზიანის ბიბლიოგრაფიული სარჩევი კი დღემდე მის ნაშრომთა, პუბლიკაციათა და წიგნების დასახელებებით სულ უფრო იზრდება. სერიის ფარგლებში — „ანტიკური სამყაროს კულტურები“ გამოიცა 2 ტომი — „ბერძნული ცივილიზაცია“. დიდი ინტერესის გამო განმეორებით განვრცობილი და გადამუშავებული გამოცემა გავრცელდა 2019 წელს. 2020 წელს გამოდის „ბერძნული ცივილიზაციის“ III ტომი. მისი ხელმძღვანელობით დაიბეჭდა სერიის „ბერძნული მითების სამყარო“ 10 წიგნად, რომელთა შორის რისმაგ გორდეზიანი 3 წიგნის ავტორია. ესენია: „ქაოსიდან კოსმოსამდე“, „არგონავტები“ და „მითების სიბრძნე“. უკანასკნელ წლებში გამოიცა, ასევე, წიგნი — „ინოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში“. იგი ავტორია 26-ზე მეტი წიგნისა და 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოში, გერმანიაში, რუსეთში, საბერძნეთში, უნგრეთში, პოლონეთში, უკრაინაში...

თავისუფლად ფლობს რუსულ, გერმანულ ენებს, კარგად იცის ინგლისური, იტალიური, კლასიკური ენები — ბერძნული და ლათინური.

საბოლოოდ მისი სამეცნიერო აქტივობის სფერო ასე განისაზღვრა: ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ბერძნული ცივილიზაციის ისტორია, ბერძნული მითოლოგია, ჰომეროლოგია, ბერძნული ენათმეცნიერება, ეგეისტიკა, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, ბერძნულ-რომაულ-ქართული ურთიერთობები.

2003 წელს რისმავ გორდეზიანი საქართველოს ღირსების ორდენით დააჯილდოეს, 2008 წელს საბერძნეთის ღირსების ორდენის კავალერი გახდა, 2010 წელს მიიღო პრეზიდენტის ბრწყინვალეობის ორდენი. გახლავთ საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საბერძნეთის მწერალთა კავშირის წევრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრი.


2015 წელს დააჯილდოეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. გადაცემული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალიც.

„მინდა გითხრათ, რომ ადამიანი სიამოვნებას იღებს ხოლმე მაშინ, როდესაც აკეთებს იმას, რაც უყვარს. მე ახლა მთლიანად გადავერთე ახალი ტომის გამოცემაზე და მინდა შევქმნა წიგნი ეტრუსკულ კულტურაზე, მთლიანად ამ მიმართულებით მუშაობაში ვარ ჩაფლული. ადამიანს სწორედ ეს ანიჭებს დიდ სიამოვნებას — როცა დასახულ მიზანს განახორციელებს“, — ასეთია აკადემიკოსის სამომავლო გეგმა.

ანტიკური პერიოდის საყვარელი „პერსონაჟები“ და პოლიტიკური პარალელები დღევანდელობასთან

„ანტიკური პერიოდის პერსონაჟების მიმართ ჩემი დამოკიდებულება არის იმდენად დიფერენცირებული, რამდენადაც თვითონ ეს პერსონაჟები არიან დიფერენცირებულნი: მაგალითად, ბუნებრივია, ნერონის მიმართ მე ვერ მექნება სიმპათიით განმსჭვალული დამოკიდებულება, მაგრამ საოცრად სიმპათიით ვარ განწყობილი პერიკლეს მიმართ, რომელიც ათენის დემოკრატიის მამად ითვლება და მიმაჩნია, რომ ის იყო ერთ-ერთი უბრძენესი ადამიანი. ასევე, ჩემი განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა პლატონმა უკანასკნელ ხანებში. ძალიან სერიოზულად ვარ გატაცებული პლატონის ნაშრომების და დიალოგების კვლევით. ის იყო ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე — ასე მხოლოდ მე კი არ ვფიქრობ (ეს არაფერს არ ნიშნავს), ასე ფიქრობს მსოფლიო. მე პლატონზე პატარა ბროშურა გამოვეცი. ეს არის პლატონის მოძღვრება უახლესი სამეცნიერო ჰიპოთეზების კონტექსტში“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი.

დემოკრატიული ათენის იდენტობის არსის განმსაზღვრელად ცნობილი და ამ შემთხვევაში მაგალითად მოყვანილი პერიკლეს მიხედვით, დემოკრატიული საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: მოშიში უნდა იყოს თავის მიერვე მიღებული კანონებისა, არ უნდა დაუშვას, რომ ვინმემ ისინი დაარღვიოს; უნდა იყოს დაუნერვლი, მორალური კანონების დამცველი, რომელსაც შეუძლია ამ



კანონების დამრღვევთა საჯაროდ გაკიცხვა; ემანსიპირებული და სულიერი მზაობის იმ საფეხურზე უნდა იდგეს, რომ არჩევანის გაკეთებისას სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს; უნდა იყოს გაბედული, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი თავის დაცვა ძალუძს; არ უნდა ანიჭებდეს უპირატესობას ქონებრივ მდგომარეობას და უნდა მისდევდეს ადამიანურ სათნოებასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას; უნდა იყოს საღი განსჯისა და სიტყვის თავისუფლების დამცველი.

რა ხდებოდა და რა ხდება დამოუკიდებელ საქართველოში? — პარალელის გავლებას ჩვენს რეალობასა და პერიკლესეული პრინციპებით მოქმედ დემოკრატიულ საზოგადოებას შორის იმ ფაქტებით შევეცდებით, რაც რისმაგ გორდუზიანის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან და მის პოლიტიკურ შეხედულებებთანაა კავშირში.

„ჩემმა თაობამ ბოლო 30 წელი იცხოვრა სიტუაციაში, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ — „საგიჟეთი“, რადგან იმდენად სრულიად ალოგიკური და აღმამფოთებელი რამ ხდებოდა ამ ხნის მანძილზე, რომ თავისუფლად შეიძლება თითოეულ ჩვენგანს ამან დაუტოვოს ნევროზი, ფსიქიური აშლილობა და ა.შ.

მე საკმაოდ აქტიური ვიყავი პოლიტიკაში, ვიყავი უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც თავის დროზე, სწორედ მაშინ, როდესაც ეს გიჟობა დაიწყო. მახსოვს, როდესაც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში პარლამენტში დაიწყო ჯაჯგური იმაზე, დეპუტატთა რაოდენობა 150 უნდა ყოფილიყო თუ 105 (თუ არ ვცდები), ამ ორი რიცხვის გარშემო ატეხილი დავისას ისტერიკამდე მიდიოდნენ. არ დამავინწყდება, პარლამენტის შენობაში ვილაც კაცი თავს ურტყამდა კედელს ყვირილით — „105 უნდა იყოს, 105“! დავუძახე ზვიადს (ძალიან ახლოს ვიყავი“ მე ზვიადთან) და ვუთხარი: — ეს კაცი, რომელიც ასე გამოხატავს თავის აზრს, იცოდე, რომ ხვალ შენ მოგიტრიალდება და იგივე ისტერიულობით შენს წინააღმდეგ გამოვათქო... როგორ შეიძლება, აქამდე მივიდეს ადამიანი? თითქოს ეს ციფრები წყვეტდა საქართველოს ბედს...

მგონია, რომ პირველი, რაც ჩვენს პოლიტიკოსებს ახსიათებთ და რაც ყველაზე დიდი მინუსია, არის ხალხით ოპერირება. არ შეიძლება ისეთი ქმედებების ორგანიზება, რაც ისტერიულ მდგომარეობამდე მიიყვანს ხალხს, რაც აღძრავს ხალხში ატავისტურ გრძნობებს, ნგრევის, მტვრევის ემოციას, რადგან ეს ქვეყანას ანგრევეს. ჩემზე ყველაზე უფრო ცუდად მოქმედებს, როდესაც ნგრევის სტიქიით შეპყრობილი ადამიანები მოდიან და ყვირიან: — „საქართველო!“ იმიტომ, რომ ვგრძნობ — ამ ხალხს შეიძლება ხელიდან გამოეცალოს ეს საქართველო ამ კვაზი ისტერიული დამოკიდებულებებით. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროტესტი არ უნდა გამოხატონ. უნდა იყოს პროტესტიც, უნდა იყოს დისკუსიაც, კამათიც, მაგრამ ეს იმ ჩარჩოში, რომ ქვეყანა არ ჩამოინგრეს. პოლიტიკოსების რაღაც ნაწილი კი ფიქრობს და მოქმედებს ამგვარად — „მე თუ არ ვიქნები, ნურაფერი ნუ იქნება, მთავარია ვიყო მე! — და ეს ჩემთვის არის ყოვლად მიუღებელი.

მოკლედ, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათში — ეს ცნობილი სენტენცია სავსებით მიესადაგება ჩემს თაობას, რომელმაც სწარაფად გაიარა გზა ათეიზმიდან მორწმუნეობამდე, საბჭოურიდან ევროპულ იდენტობამდე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმიდან ლოკალურ პატრიოტიზმამდე, კომუნისტური იდეოლოგიის აპოლოგეტიკიდან მის განქიქებამდე, რუსეთთან ჩახუტებიდან მასთან დაპირისპირებამდე. როგორ განსხვავდება მსგავსს საკითხებზე ღრმა და ხშირი დისკუსიებით ცნობილი ანტიკურობისაგან ჩვენი ქართული სინამდვილე!“ — წერს რისმაგ გორდეზიანი თავისი მოგონებების წიგნში.

რისმაგ გორდეზიანის პოლიტიკური შეფასებები საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ჩვენს პოლიტიკურ სივრცეს დღეს აშკარად აკლია მრავლის მომსწრე და მნახველი, გამოცდილებით დატვირთული მეცნიერების რეკომენდაციები. და აი, დღევანდელი პოლიტიკური რეალობის აქტიური მეთვალყურე რისმაგ გორდეზიანი გვაფრთხილებს, რომ არ შევტოპოთ დემოკრატიის იმ უკიდურესობაში, საი-

დანაც თვალუნვდენელ ავთვისებიან პოლიტიკურ ფორმაციად იშლება ოხლოკრატია.

„მე ვარ ანტიკური ეპოქის სპეციალისტი, ბერძნული კულტურის სპეციალისტი და უნდა გითხრათ, რომ დემოკრატიის მიმართ ანტიკურ საბერძნეთში (მიუხედავად იმისა, რომ ათენმა დემოკრატიის გზა გაიარა) იყო ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება. ფილოსოფოსები ამბობდნენ, რომ სახიფათოა ერთი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც აქვს თავისი უკიდურესობები. არსებობს რაღაც პოლიტიკური სისტემა, რომელიც ამბობს, რომ ყველაფერი თანაბრად უნდა განანიღდეს ხალხზე — ეს სისტემაც აბსურდამდე შეიძლება მივიდეს, თუ ამ სისტემის იდეის აბსოლუტურ რეალიზაციას მოახდენ. ამაზე არისტოფანეს აქვს დაწერილი გენიალური კომედია — „ქალთა სახალხო კრება“. ქალები ამყარებენ პირველ კომუნიზმს და კომედიაშია — როგორ აბსურდამდე შეიძლება მიგიყვანოს ამ გზამ. და კიდევ მეორე საკითხი: ანტიკურობის აზრით, უკიდურესმა დემოკრაციამ შეიძლება მიგიყვანოს ოხლოკრაციამდე, ანუ ბრბოს მმართველობამდე. არ შეიძლება სახელმწიფოს საკითხები წყდებოდეს ქუჩაში! სახელმწიფო საკითხები, განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთობები — ეს არის ძალიან მგრძობიარე თემა და ასეთი პრობლემების ქუჩაში გადაჭრის მცდელობები ქვეყანას ძალიან ბევრ სიავეს მოუტანს. მგონია, რომ მთელ პოლიტიკურ სპექტრში — დაწყებული ხელისუფლებიდან, დამთავრებული ოპოზიციური პარტიებით, არის აშკარად ანალიტიკოსების ნაკლებობა“, — ასეთია რისმაც გორდუზიანის, როგორც პოლიტიკაში გარკვეული გამოცდილების მქონე სპეციალისტის, შეფასებები.

ფილოსოფიური ღმერთი

მეცნიერება და რელიგია ავსებს ერთმანეთს, თუმცა ზოგ საკითხებთან მიმართებაში მათი კონფლიქტი სახეზეა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ის დიდი მოაზროვნეებიც კი, ვინც სამყაროს შექმნის საფუძვლად დიდი აფეთქების დასამტკიცებლად მინი-ექსპერიმენტებს ატარებენ და ცდილობენ მეცნიერულად შეისწავლონ დედამიწის წარმოქმნის მთავარი წყარო, ელემენტარულ ნაწილაკებთან იჭედებიან... ამდენად უჩნდება ხოლმე ჟურნალისტთა მოდგმას კითხვები მეცნიერებთან — რას ფიქრობენ ღმერთის არსებობაზე და როგორ ფორმულირდებიან რწმენის საკითხში? ჩვენც არ ვართ გამონაკლისი და პლატონის მოძღვრების შემფასებელ თუ დამფასებელ მკვლევარს იგივე კითხვას ვუსვამთ.

„სულის უკვდავების იდეის მიმართ სიმპათია ყველას აღეძვრება, მით უფრო მათ, ვინც რაღაც ასაკს აღწევს, რადგან ეს ერთგვარი ფსევდო იმედია, რომ გარდაცვალების მერე რაღაც ხდება კიდევ“, — ამბობს რისმაგ გორდეზიანი, რომელიც თავის დამოკიდებულებას „ფილოსოფიური ღმერთისადმი“ განწყობებს უკავშირებს.

„კანონზომიერება, რომლითაც სამყარო იმართება, არ არის შემთხვევითობა. დიდი აფეთქების თეორიის ფუძემდებლები და, მაგალითად, ვაინბერგი, თავის წიგნში ბოლოს ამბობს, რომ დიდი აფეთქება მოხდა, მაგრამ რა იყო დიდ აფეთქებამდე — არ ვიცით. ჩვენ შეიძლება რაღაცის იმედი გვქონდეს, მაგრამ თუ ეს არის შემთხვევითობა, ჩვენ ვერაფრის იმედი ვერ გვექნება, რადგან ჩვენ არ ვიცით შემთხვევითობის მერე რა შეიძლება მოხდეს. ასე რომ, მიიდა მჯეროდეს და მწამს, რომ არის რაღაც კანონზომიერება, რომლითაც სამყარო იმართება. ვფიქრობ, რომ ეს რწმენა მე მაძლევს იმ ძალას, რომ ვიმუშაო, ჩემი საქმე ვაკეთო და მქონდეს იმის იმედი, რომ სამყარო არ არის რაღაც შემთხვევითობის პირმშო“, — ასე გვპასუხობს მეცნიერი, რომლის თაობამაც სწრაფად გაიარა გზა ათეიზმიდან მორწმუნეობამდე.



ლიკა გორდეზიანს ქალაქის მერი კახა კალაძე გადასცემს რისმაგ გორდეზიანის თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევის დამადასტურებელ სიგელს



თსუ-ის რექტორის თანაშემწე ნატა ასათიანი რისმაგ გორდეზიანს გადასცემს უნივერსიტეტის მედალს



საქართველოს პატრიარქისა და ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსის ვიზიტი თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, 2004 წელი



საბერძნეთის სამთავრობო დელეგაცია სტუმრად პირველ კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც ბერძნული ენა ისწავლება



ბერძენ და კვიპროსელ დიპლომატთა ვიზიტი უნივერსიტეტში რექტორ გიორგი ხუბუას მონაწილეობით



საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ვიზიტი თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტში, 2014 წელი



რისმაგ გორდეზიანი და ახალგაზრდა კოლეგები სტუმრად ვასტანგ ლიჩელთან გრაკლიანის გორაზე



რისმაგ გორდეზიანი და თამაზ კვაჭანტირაძე



რისმავ გორდეზიანი ზურაბ ნიჭარაძის გამოფენაზე



რისმავ გორდეზიანი და ვალერი ასათიანი საგამოფენო დარბაზში



*რისმაგ გორდეზიანის «პერძნული ცივილიზაციის» I და II ტომების
პრეზენტაცია, 2019 წელი*



რისმაგ გორდეზიანი და დამანა მელიქიშვილი წიგნის პრეზენტაციაზე



რისმავ გორდეზიანი მიესალმება ანტიკური სამოსის დეფილეს მონაწილეებს



რისმავ გორდეზიანი და ლიკა გორდეზიანი საახალწლო შეხვედრაზე



რისმაგ გორდეზიანი და ირინე დარჩია რისმაგ გორდეზიანის 70 წლისთავის საიუბილეო სხდომაზე





რისმავ გორდუზიანი საჯარო ლექციაზე




რისმავ გორდუზიანის და მისი თანამშრომლების შეხვედრა ცნობილ მოგზაურ ტიმ სევერინთან



რისმაგ გორდე ზიანი აუდიტორიაში ლექციის კითხვისას



რისმაგ გორდე ზიანი საჯარო ლექციაზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში



ოსუ კლასიკური ფილოლოგიის,
ზიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის
სტუდენტთა სამეცნიერო წრე

კონკურსი „პიგმალიონი“

1 ნოემბერი - 28 დეკემბერი



პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე სტუმრად თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, 2004 წელი



რისმაგ ვორდეზიანის არჩევა საპატიო პროფესორად ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში





ფოტოზე აღბეჭდილია განათლების სისტემის წარმომადგენელთა იმუნიზაციის პროცესში ჩართული რისმაგ გორდუზიანი, რომელიც შეუერთდა „კოვიდ-19“-ის პანდემიის დამარცხების კამპანიას.

რისმაგ გორდუზიანი:

„მიმაჩნია, რომ ყველამ პატივი უნდა სცეს მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევებს.

ამ პანდემიის დროს რომ გვაქვს ვაქცინები, სწორედ მეცნიერების უდიდესი მიღწევაა. არავის აქვს უფლება, უარყოს ეს მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ არც ასაკი და არც ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მაქვს სახარბიელო, გადავწყვიტე, რომ ავიცრა ჩემი, ჩემი ოჯახის, ჩემი შვილის ოჯახისა და ყველა იმ ადამიანის უსაფრთხოებისთვის, რომლებთანაც ურთიერთობა მაქვს და ამით გამოვხატო ჩემი, როგორც მოქალაქის, პასუხისმგებლობა.

მინდა ყველა ჩემს კოლეგას, ჩემს სტუდენტებს მოვუწოდო, მათაც გადადგან ამგვარი ნაბიჯი, იმიტომ რომ ეს არის ჩვენი საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის გარანტია“.

აკადემიკოსი რისმაგ გორდუზიანი სინოვაკის ვაქცინით აიცრა. 81 წლის მეცნიერმა შინ მომსახურების სერვისით ისარგებლა და ოჯახის წევრებთან ერთად ჩაერთო იმუნიზაციის პროცესში.



ონლაინ სამუშაო შეხვედრა სტუდენტებთან და კოლეგებთან



რისმაგ გორდუზიანიმა ერთ-ერთმა პირველმა აულო ალლო ონლაინ სწავლებას და ლექციას უკითხავს მაგისტრანტებს, 2020 წელი



ოსუ საბერძნეთის დამოუკიდებლობის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების სამზადისში, 2020 წელი





რისმაც გორდეზიანი და მისი მეუღლე ლია ჯინორია სტუმარ ჟურნალისტთან ერთად



ლევან გორდეზიანი - შვილი



ირინე ტატიშვილი - რძალი



რისმაგ გორდეზიანი შვილიშვილთან, ლიკა გორდეზიანთან ერთად



რისმაგ გორდეზიანი და ლია ჯინორია გერმანიაში

ზაალ სულაკაურის მეგობრული შარჟი





თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის სტუდენტებისა და თანამშრომლების სპეციალური სუვენირები საჩუქრად რისმაგ გორდეზიანს



2

ოჯახური გარემო**როგორ დასრულდა სიყვარულის
ისტორია ოჯახის შექმნით**

რისმაგ გორდეზიანი დღეს ემერიტუსი პროფესორია და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ფიზიკურად ვეღარ ახერხებს სიარულს, სახლში მუშაობს რამდენიმე გამოცემაზე და კიდევ იმაზე ფიქრობს, რა შემატოს თავის დარგს, მომავალს, ახალგაზრდებს. „მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც, მეტწილად, ქარმა უკვე მიმოაბნია“, — დასძენს რისმაგ გორდეზიანი, რომელსაც საყვარელი, მაგრამ, ამავე დროს, გადამღლელი, შრომატევადი საქმიანობის შემდეგ გული ყოველთვის სახლისკენ მიუწევს. იქ მას მშვიდი და მზრუნველობით გამთბარი გარემო ელოდება.

პროფესორ რისმაგ გორდეზიანის ოჯახში ყველა მეცნიერია. მეუღლე — ლია ჯინორია სიმონ ყაუხჩიშვილის შვილიშვილი, აკადემიკოს თინა ყაუხჩიშვილისა და პროფესორ ოთარ ჯინორიას შვილია. წლების განმავლობაში ისიც ახალგაზრდების აღზრდის საქმეს ემსახურება, მაგრამ როგორც რისმაგ გორდეზიანი აღნიშნავს, ქალბატონი ლიას ყველაზე დიდი საქმე ოჯახის წევრებისთვის კომფორტული სამეცნიერო გარემოს შექმნა იყო და დღემდე მთელი ოჯახის სიმძიმეს ეზიდება.

რისმაგ გორდეზიანმა ლია ჯინორია ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გაიცნო, როდესაც სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა. ლია ჯინორია მაშინ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი იყო. მათი სიყვარულის ისტორია მალე დაოჯახებით დასრულდა. სკანდალი არ შედგა და ამას თავის ახსნას უძებნის რისმაგ გორდეზიანი, რომელიც იხსენებს: „22 წლის ასაკში, 21 წლის ლია ჯინორიას ცოლად მოყვანით დაიწყო ის პროცესი, რასაც ჩემი და ლიას ოჯახის შექმნა შეიძლება ვუწოდოთ. ჩემი დაოჯახების საკითხთან დაკავშირებით მშობლები გულდამშ-

ვიდებულნი მყავდნენ, რადგან ჯერ კიდევ სკოლის წლებიდან ვამტკიცებდი, რომ ცოლს მხოლოდ მას შემდეგ მოვიყვანდი, რაც ფეხზე მყარად დავდგებოდი, ქვეყანას მოვივლიდი, ჩვენი ოროთახიანი კომუნალური ბინიდან იზოლირებულ, მრავალთახიან ბინაში გადავინაცვლებდი. ეს ფუჭი დაპირებები წყალში ჩაიყარა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს მე და ლია ჩვენს ორ ხელისმომკიდესთან — მანანა მესხიასთან და თამაზ კვაჭანტირაძესთან ერთად, მახარაძის ქუჩაზე მდებარე ზაქსში, სამუშაო დღის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მივედით და, თამაზის ხიზლის წყალობით, იქაურმა თანამშრომელმა ქალბატონებმა ყოველგვარი ვადებისა და პროცედურების დარღვევით ჩვენ ცოლ-ქმრად გამოგვაცხადეს. არც ჩვენი საქორწინო სუფრა გამოირჩეოდა ქართული მასშტაბურობით. ჩვენ შემოგვიერთდნენ ალიკა და გოგი ალექსიძეები და ვახტანგ როდონაია. ახალი ოჯახის შექმნა დავითაშვილის ქუჩის თავში მდებარე რესტორნის ერთ-ერთ კუპეში აღვნიშნეთ. ყველანი ძალზე ახლო მეგობრები ვიყავით და გულიანად მოვილხინეთ, თუმცა ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ ცოტა ხანს, ვიდრე მშობლების სიტუაციასთან შეგუების პროცესი არ დასრულდებოდა და საკმაოდ სოლიდური სახელობითი სტიპენდიებით გულმომცემულნი ჩვენი ოჯახისათვის დასაქირავებელ ბინას არ მივაკვლევდით, არავის არაფერს



ვეტყოდით. ღია მივაცილეთ თავის სახლში, მე კი ოდნავ აფორიაქებული ჩემს სახლში დავბრუნდი და მშობლებთან ერთობ ლაკონური არაფრისმთქმელი გასაუბრების შემდეგ ჩემს პატარა ოთახში შევიკეტე. დილით ტელეფონის საეჭვო ნკრიალმა გამაღვიძა, დედაჩემი თან ვილაცხას უმტკიცებდა, რომ ეს შეუძლებელია, გამორიცხულია, თან როგორც ჩანს „ინფორმატორის“ მონათხრობში მძაფრი აქცენტების დასმის კვალდაკვალ „დიდაია-დიდაია“-ს გაიძახოდა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თბილისი პატარა ქალაქია, სადაც საიდუმლოების დამალვა შეუძლებელია. დედაჩემი ინფორმატორის სანდოობაში უცბად დარწმუნდა, როდესაც ჩემს პასპორტს ჩახედა და შიგნით ჩანერილი გვარი — ჯინორია აღმოაჩინა. ვფიქრობ, მისთვის ერთადერთი შვება ის იყო, რომ ჩემი ცოლიც მეგრულ გვარს ატარებდა. ჩემს მშობლებთან ახსნა-განმარტების პროცესი სწრაფად „გადავაგორე“, ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რა ხდებოდა ჩემი ცოლის სახლში და რა ტკბილი სიტყვებით მამკობდნენ ახლად შექმნილი სიდედრი და სიმამრი. ყველაფერი ბევრად ნაკლები დრამატულობით წარიმართა, ვიდრე წარმოგვედგინა. რასაკვირველია, ლევანის გაჩენის შემდეგ ჩვენმა დანათესავებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო და ჩემს ცხოვრებაში, მშობლებთან ერთად, უახლოესი ადამიანების სტატუსი დაიმკვიდრეს ღიას მშობლებმა — თინათინ ყაუხჩიშვილმა და ოთარ ჯინორიამ, რომელთაც მას შემდეგ, რაც ჩვენმა შვილმა ენა ამოიღგა, ყველანი, უბრალოდ, თინიკოსა და ოთარიკოს ვეძახდით, ხოლო ღიას გერმანელ ბებიას მყარად ჰქონდა დამკვიდრებული სახელი — ბუბა. უცბად მოგვარდა ურთიერთობები ღიას ძმასთან, რომელიც სწორედ იმავე ხანებში დაქორწინდა და სიმონ ყაუხჩიშვილის ოჯახთან, რომელთანაც მამაჩემს მრავალი წლის ნაცნობობა აკავშირებდა.

მართალია, ზოგიერთი სკეპტიკოსი ფიქრობდა, რომ ასე ფორსმაჟორულ ტემპში შექმნილ ჩვენს ოჯახს ბედნიერი თანაცხოვრების დიდი პერსპექტივა ვერ ექნებოდა, მაგრამ მათ „იმედები“ მწარედ გაუცრუვდათ და აი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია შეჰყურებენ ჩვენს ოჯახს, რომელსაც ამ

ხნის განმავლობაში ერთი ბზარიც არ გასჩენია. მე და ჩემს მეუღლეს იმაზე ბევრად მეტი საერთო აღმოგვაჩნდა, ვიდრე ეს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წიაღში ჩვენი სიყვარულის აღმოცენების პირველ ხანებში გვეგონა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ინტერესი წიგნების და ხელოვნების მიმართაც, რაც არასოდეს გვიკარგავს ერთმანეთთან „მაღალ თემებზე“ მსჯელობის ინტერესს. დღემდე ღია არის ჩემი თითქმის ყველა მოხსენების, სტატიის, წიგნის, ტექსტის პირველი მკითხველი, შემსწორებელი და პირუთვნელი კრიტიკოსი. ჩვენი სიყვარული მუზეუმების, ოპერებისა თუ ბალეტების მიმართ ხშირად ანეკდოტურ მანიაკალურობაში გადადის, განსაკუთრებით საზღვარგარეთ არც თუ იშვიათად ყოფნისას. ლიამ უცბად აულო ალლო ჩვენს ოჯახში სტუმართმოყვარეობითა და ნათესაობის სიყვარულით ცნობილი დედაჩემის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას და დღემდე ვინარჩუნებთ ჩემი და მისი მეგობრების, ნათესავეების თავყრილობებისა თუ სტუმრობისათვის მუდამ მზად მყოფი ოჯახის რეპუტაციას. მან სკოლის დამთავრების მომენტიდან ჩემი ბიძაშვილის ქალიშვილის — ზაირა ბერელიძის აღზრდაზეც კი აიღო პასუხისმგებლობა და ახლა იგი მას მეორე დედას, ხოლო მე სიყვარულით პაპიკას მეძახის. რასაკვირველია, ჩვენი უმთავრესი გამაერთიანებელი მაინც ჩვენი შვილის — ლევან გორდეზიანის, მისი მეუღლის — ირინე ტატიშვილის და შვილიშვილის, ჩვენი დიდი სიხარულის — ლიკუნას სიყვარული და მათზე გამუდმებული ფიქრია. მახსოვს შვილიშვილისადმი ჩემი განსაკუთრებული სიყვარულის გამოვლენით ოდნავ გაოცებულმა ლევანმა ერთხელ ხუმრობანარევი საყვედურით ისიც კი მითხრა: — „მამა, სანამ მე ჰომეროსზე არ დაგვლაპარაკე, ზედ არ შემომხედე და ამ ბავშვზე რამ გადაგრა“?! მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ყოველდღიურ ლექციებსა და შეხვედრებს მოვილევდი ხოლმე, ყოველთვის გული სახლისკენ მიმიწევდა — იქ მხვდებოდა ჩემი საწერი მაგიდა, მეგობარი წიგნები, ჩემი ცოლის შეხსენება — ახლა რა წამალი უნდა მივიღო და საოცარი სიმშვიდე, სრული მოშვების შესაძლებლობა... ეს ხომ ჩემი ოჯახია?!“ — ასეთი

ჩანაწერი დატოვა თავის ნიგნში რისმაც გორდეზიანმა მისი ოჯახის ლამაზ ისტორიაზე.

ასეთ ოჯახში შვილიც კარგი იზრდება და შვილიშვილიც. ლევან გორდეზიანი — რისმაც გორდეზიანისა და ლია ჯინორიას ერთადერთი ვაჟი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია, არის ისტორიკოსი და საინტერესო პიროვნება. მისი მეუღლეც — ირინე ტატიშვილი თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორია. მათაც ერთადერთი ქალიშვილი ჰყავთ — ლია გორდეზიანი, რომელმაც სორბონაში ახლახან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. არის ლიტერატურათმცოდნე, რომელიც დაინტერესებულია ანტიკური და რენესანსული ლიტერატურების კვლევით. აგრძელებს ბაბუას ხაზს. „ჩემი შვილიშვილი არის ჩემი სიამაყე. ჩემი ანდერძი, ჩემი სურვილი და ჩემი ოცნებაც ისაა, რომ მან ერთ წარმატებას მოაყოლოს მეორე წარმატება, თავად უნდა გაიზარდოს და წავიდეს წინ... რაც მთავარია, წინსვლით მხოლოდ საკუთარი სურვილები კი არ უნდა დაიკმაყოფილოს, არამედ უნდა გააკეთოს საქმე, რომელსაც ჰქვია ეროვნული საქმე, ანუ ქართული მეცნიერების პროგრესის საქმე“, — ამბობს რისმაც გორდეზიანი შვილიშვილებზე, რომელიც მსოფლიოს ურჩევნია...

როგორი მეუღლეა რისმაც გორდეზიანი?

ლია ჯინორია, რომელმაც 21 წლის ასაკიდან მთელი ცხოვრება რისმაც გორდეზიანს დაუკავშირა, ბედნიერ ქალად გრძნობს თავს. ოჯახი ამჯერად ყაზბეგის გამზირზე მდებარე საუნივერსიტეტო კორპუსში, ოთხთახიან ბინაში ცხოვრობს. მოკრძალებული ინტერიერი, ძველი ყაიდის ავეჯი და წიგნებით სავსე თაროები — ესაა ოჯახის კუთვნილი ადგილსამყოფელის მოკლე აღწერილობა. ამ სადა გარემოში დიასახლისი ყოველთვის თბილად მიგიღებთ, მაგრამ მეთვალყურეობის ქვეშ ეყოლებით სულ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც რისმაც გორდეზიანი ავადმყოფობის გამო სულ სახლში მუშაობს. დიასახლისის განსაკუთრებული ყურადღე-

ბა გამონვეულია ერთი გარემოებით — ბატონი რისმაგი სტუმარმა ზედმეტად არ გადალალოს ან, თუ ის ჟურნალისტიკა, შემთხვევით — არ გაანერვიულოს (როგორც ამას, ჩვენს დროში ჟურნალისტების შორს გავარდნილი ავი სახელის გადამკიდე, მათგან ელოდებიან). მოკლედ, ბატონ რისმაგთან შეხვედრის მშვიდობიანად დასრულების შემდეგ, ქალბატონი ლია ჯინორია ცალკე ოთახში გვიღებს და სიამოვნებით გვაცნობს თავის ოჯახს უკვე ქალის პოზიციიდან: „რისმაგი ძალიან შრომისმოყვარეა, უამრავი საქმე ჰქონდა ყოველთვის და ძალიან ხშირად ავინყდებოდა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა. სულ საქმეში, სულ წიგნებში იყო ჩაფლული. ადრე ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ოთახი გადატიხრა კარადით, დაიდგა მაგიდა და თავისი სამყარო შეიქმნა, მეუბნებოდა — რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ოღონდ ხელს ნუ მომკიდებთო... ასეთ პირობებში მუშაობდა მრავალი წელი. მეცნიერის ცოლობა არ გამჭირვებია ჩემი ოჯახის გამო. პაპაჩემიდან დანყებული დედა, მამა — ყველა თავის საქმეში იყო ჩართული... მე და ჩემი ძმა ხომ ბებიების ანაბარა ვიზრდებოდით. მახსოვს პაპა — სიმონ ყაუხჩიშვილი ჩემს ძმას და მე გვიყვებოდა ბერძნულ მითებს — ასე იწყებოდა დილა ნალვერში. ისიც 24 საათი თავაუღებლივ მუშაობდა. ვეხვეწებოდით — მოსულიყო და ჩვენთან ერთად ეთამაშა, მაგრამ, არა! — სულ მუშაობდა. ასე რომ, არ გამკვირვებია რისმაგის მოუცლელიობა. მე კი ნაკლები პატივმოყვარეობა აღმომაჩნდა, ეტყობა, და თავით მეცნიერებაში არ გადავეშვი ისე, რომ გარშემო ყველაფერი დამვიწყებოდა. უცხო ენათა ინსტიტუტში 43 წელი ვიკითხე ლექციები და ამით დავეკმაყოფილდი. ვიკითხულობდი დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, ინგლისურ ლიტერატურას, ამერიკულ ლიტერატურას. დისერტაცია არ დამიცავს — ამის ინტერესი ოჯახმა გამინელა. თავიდან ბოლომდე ოჯახურ საქმეებს მე ვუძღვები.

რისმაგს უყვარს საჩუქრების ჩუქება, ოღონდ ეს უნდა შეახსენო! ერთხელ გაუჭირდა და თანამშრომლებს თხოვა დახმარება — მეუღლისთვის საჩუქარი მაყიდინეთო (მამინ სუნამო მომართვეს). უნდა ვაღიარო, რომ სხვა მხრივ

არის საოცრად ხელგაშლილი ადამიანი. არ მახსოვს, ვინმეს უჭირდეს და არ დაეხმაროს. თვითონ კი სახლის მონყობაზე დიდად არ იწუხებდა თავს... ზედმეტი და სასწაული არაფერი გვიდგას ოთახებში, ერთადერთი, რაზეც არასდროს მეუბნებოდა უარს, ეს წიგნების შეძენა იყო.

მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, რაც გადავიტანეთ, ბედნიერად ვცხოვრობთ. მატერიალურად ჩემები გვეხმარებოდნენ ხოლმე, მაგრამ რისმავი ძალიან თავმოყვარე კაცია და აღელვებდა ეს ყველაფერი.

როცა პარტიული თანამდებობები ეკავა, ძალიან ბევრი სანერვიულო ჰქონდა და მეც განვიცდიდი, რომ ცდებოდა იმაზე, რაც მისი საქმე არ იყო, თუმცა, ასეა თუ ისე, მაინც გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. რასაც ახლა ვუგდებ ყურს — საერთოდ არ ლანძღავენ მაშინდელი პარტიულობის გამო. ერთხელ ლევან ბერძენიშვილს უთქვამს — დისიდენტებზე უფრო დიდი დისიდენტი იყო, როცა ლექციებს გვიკითხავდაო... ახლა ედუარდ შევარდნაძის ხსენება, ალბათ, არ შეიძლება, მაგრამ მაინც ვიტყვი — შევარდნაძე ამბობდა, რომ ქართული ენის ამბებთან დაკავშირებით რისმავი, როგორც უნივერსიტეტის პარტკომი, ძალიან დამეხმარაო... ამის გამო საყვედურიც კი მიუღია სუსლოვისგან. ამ ყველაფრის მიუხედავად, ვთვლი, რომ იმ პერიოდმა დიდი ენერჯია და დრო წაართვა. წიგნის თარგმნასაც ვეღარ ასწრებდა და ერთხელ ნახევარი წიგნი მე ვუთარგმნე. ამ მხრივ, ისედაც სულ მაკითხებს თავის ნაწერებს, ხშირად ვჩხუბობთ და მერე ერთადაც ვასწორებთ.

მერე, 2003 წლიდან და ცოტა უფრო ადრეც, ავადმყოფობა დაიწყო. ხან გულის შეტევა, ხან ინფარქტი, მერე გულის ოპერაცია... მუდმივი ყურადღება სჭირდება... ამის ფონზე, ძველებურად მუშაობდა ყოველთვის და მე რომ ძალიან ყოჩაღად არ ვიყო, თავს ვერ გააკონტოლებს — როდის დაისვენოს...

ჩვენ ძალიან დიდი მეგობრები ვართ და ძალიან ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს. ორივეს ძალიან გვიყვარს თეატრი, ბალეტი, მუსიკა... არ დამავინყდება — ესპანეთში ვიყავით, მადრიდში და მივდიოდით ოპერაში. ერთი ბილეთი 190

ევრო ღირდა. რისმაგმა თავიდან ცოტა თავი შეიკავა — ამხელა ფასი გადაეხადა ბილეთში, მაგრამ იმდენად მინდოდა, რომ თითქმის ბოლო კაპიკები დავხარჯეთ და ბოლოს მაინც წავედით. არ მინდა არაფერი, არც ჩაცმა, არც ბრილიანტები (ისედაც არ მაქვს), მაგრამ თეატრზე არასდროს ვიტყვი უარს“, — ასე ფრაგმენტულად გაგვიმხილა ქალბატონმა ლიამ მეუღლესთან დაკავშირებული თავგადასავლები.

უნივერსიტეტის ახალი სახე — ფრანგული განათლება და ქართული გონიერება

როცა ბამბა ჩხრიალებს, როცა ვერცხლი ოქროზე მეტად გეძვირფასება, როცა ახალდაბადებულის მზერაში მის საინტერესო მომავალს ამოიკითხავ — ეს ის ემოციებია, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 კორპუსში კლასიკური ფილოლოგიების ადგილსამყოფელის მონახულებისას ლიკა გორდეზიანის შემთხვევით გაცნობას უკავშირდება... ლიკა გორდეზიანი უნივერსიტეტში მონვეულ ლექტორად სულ ახლახანს, ყველასგან შეუმჩნევლად მოსულა... ეს გვაგონებს სიჩუმეს, რომელიც ხმაურის საბაზს იძლევა...

ლიკა გორდეზიანის დიდი წინაპარი აკადემიკოსი, უნივერსიტეტელი სიმონ ყაუხჩიშვილი იყო, რომლის სახელსაც უკავშირდება საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის და ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის დაარსება. იგი ამ დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლავთ. შემდეგ უკვე სიმონ ყაუხჩიშვილის შვილის, აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის შთამომავლობა და, მეორე ხაზით, უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტისტიკის ინსტიტუტის დამფუძნებლის, აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის შვილიშვილობა აწევს ლიკა გორდეზიანს მხრებზე დიდ პასუხისმგებლობად. გარდა სახელოვანი წინაპრებისა, გორდეზიანების ოჯახის ღრმა უნივერსიტეტელობას უსვამს ხაზს ლიკას დედ-მამის ასევე შთამბეჭდავი სამეცნიერო კარიერა. მამა — ლევან გორდეზიანი — თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და მსოფ-

ლიო ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრის ხელმძღვანელია, დედა კი — ირინე ტატიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასირიოლოგიის კათედრის გამგე და ცნობილი ხეთოლოგია. ამ მეცნიერების კლასიკოსთა ოჯახის ყველაზე პატარა წევრმა, ლიკა გორდეზიანმა სამეცნიერო ასპარეზზე თავის დასამკვიდრებლად კლასიკური ფილოლოგია აირჩია... ეს ხმამაღალი განაცხადია, თუმცა ჩვენი აღმოჩენილი 33 წლის ლექტორი ძალიან უხმაუროდ, თავმდაბლურად ერთვება პროცესებში ისე, რომ სხვისგან ვიგებთ — რა პოტენციალს მალავს...

ლიკა გორდეზიანი 2006 წელს დაამთავრა თბილისის მარი ბროსეს სახელობის ქართულ-ფრანგული სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საფრანგეთის ტულუზის უნივერსიტეტში. მაგისტრატურის დასრულების შემდეგ ის პარიზის დიდროს სახელობის უნივერსიტეტში ამთავრებს დოქტორანტურას. ეს უნივერსიტეტი სორბონის საუნივერსიტეტო გაერთიანებაში შედის. ლიკა გორდეზიანს ეუხერხულება ოჯახური სამეცნიერო ბეკგრაუნდის შეხსენებაც კი და მონიშნულად გვეუბნება, რომ 10-მდე ენა იცის. „მინდა, კლასიკური ენები ისე ვასწავლო, რომ სტუდენტებს არ ჰქონდეთ ისეთი შეგრძნება, რომ მკვდარ ენებთან აქვთ საქმე“, — ამბობს ლიკა გორდეზიანი, რომლის გაცნობაც მარტის, ანუ ქალების თვეს უკავშირდება. სწორედ ამ კონტექსტში გახდა მისი აღმოჩენა ჩვენთვის ღირებულად, რადგან ლიკა თავისი შესაძლებლობებით მსუყე საკვლევი სუბიექტია იმის დასადგენად, თუ რამდენად აქვთ განათლებულ და შრომისმოყვარე, ნიჭიერ ქალებს წარმატების რეალური პერსპექტივა ჩვენს ქვეყანაში? მეცნიერების გზაზე შემდგარი დიდ ფინანსურ სარგებელს საქართველოს პირობებში არ ელოდება — ეს უკვე გულსატკენია და გამოსასწორებელი. ლიკა გორდეზიანი ფიქრობს, რომ წარმატების პერსპექტივები ქალებს ისეთივე აქვთ, როგორც მამაკაცებს. დასავლურ ჰაერზე გაზრდილს, მას, ცოტა ხელოვნურად ეჩვენება დედის დღისა და 8 მარტის გამოყოფა, რადგან თვლის, რომ ყოველი დღე უნდა იყოს როგორც კაცის, ისე ქალის.

თაობები იცვლებიან — ახალი მოდის და ძველი წარსულ ისტორიას რჩება, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ძველი თაობის მემკვიდრეობაზე დააშენებენ ახალს და ეს სიმბიოზი ბევრად უფრო შთამბეჭდავია. რატომ აირჩია კლასიკური ფილოლოგია? — ამ კითხვაზე ლიკა გვპასუხობს: „შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან მიზიდავდა და მაინტერესებდა ანტიკური სამყარო. ენებისადმი ინტერესიც ყოველთვის მქონდა. ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი, როცა ბაბუა მიყვებოდა ბერძნულ მითებს და ანტიკური სამყარო ჩემთვის ბავშვობიდანვე საკმაოდ ახლობელი იყო“, — ამბობს ლიკა და განმარტავს, რომ მას და ბაბუას (რისმაც გორდეზიანს), ფართო გაგებით, ერთი სპეციალობა აქვთ, თუმცა მათი კვლევის ვიწრო სფეროები საკმაოდ განსხვავებულია. ლიკა გორდეზიანს აინტერესებს თეატრი, მითოლოგია, ისტორია, ანტიკური ლიტერატურის რეცეფცია... რომელი ავტორებიდან უფრო მეტი უმუშავია პლავტუსის კომედიებზე, განსაკუთრებით „ამფიტრიონზე“, რომელსაც ჰერაკლეს დაბადების მითი უდევს საფუძვლად. ლიკას აინტერესებს, ასევე, თეატრის პედაგოგიური ფუნქცია. ახლო მომავალში სურს — ჩაუღრმავდეს, მაგალითად, იმ საკითხს, თუ როგორ იყენებდნენ რენესანსის დროს თეატრს სასწავლებლებში.

ლიკა გორდეზიანი ამჟამად უნივერსიტეტში, როგორც მონვეული ლექტორი, ანტიკური ლიტერატურის ისტორიის და ანტიკური ლირიკის სემინარებს ხელმძღვანელობს. „სიამოვნებას მანიჭებს სტუდენტებთან ურთიერთობა. მთელი გულით მინდა და ვცდილობ, რომ ჩემი ლექციები მათთვის საინტერესო, მრავალფეროვანი და სასიამოვნო იყოს, რათა სიხარულით შემოდრიოდნენ ლექციაზე და შეუყვარდეთ ეს საგნები“, — ამბობს ლიკა.

საფრანგეთიდან წლების შემდეგ საქართველოში დაბრუნება, როგორც თავად ამბობს, არ გასჭირვებია. ყოველთვის ენატრებოდა ოჯახის და მეგობრების ნახვა. ამბობს, რომ სორბონის უნივერსიტეტის ბაზაზე სწავლამ დამოუკიდებლად კვლევის უნარი გამოუმუშავა. მისი აზრით, სტუდენ-

ტისთვის გარემოს გამოცვლა სასარგებლოა, რამდენადაც, პირველ რიგში, თვალსაწიერს აფართოებს.

გარდა მეცნიერებისა, უყვარს თეატრი, მუსიკა, ბუნებაში სეირნობა. ხშირად მიუღია თეატრალურ სახელოსნოში მონაწილეობა. „მაგალითად, 2013 წელს მომეცა საშუალება, რომ ჩვენს ინსტიტუტში, ნეოგრეცისტ სტუდენტებთან ერთად, მეთამაშა იაკოვოს კაბანელისის პიესაში „სერობა“. ვმონაწილეობდი ასევე ფრანგული ინსტიტუტის მიერ მოწყობილ თეატრალურ სახელოსნოებში. ახლახანს მეგობრებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ ფრანგულენოვანი თეატრალური წრე. იმედი მაქვს, რომ პანდემიის დასრულებისთანავე განვაახლებთ შეხვედრებს. თეატრი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, მამდიდრებს. მსიამოვნებს დროებითი გარდასახვა, მეგობრებთან ერთად რაღაც კარგის შექმნა. თეატრი წარმოსახვის უნარს მივითარებს და მეხმარება, ასევე, ჩემი თავის უკეთესად შეცნობაში. გარდა ამისა, თეატრმა შემძინა ძალიან კარგი მეგობრები“, — გვიყვება ლიკა, რომელიც არაერთ ფოტოს გვაჩვენებს, სადაც კოსტიუმში გამოწყობილი თეატრის სცენაზე დგას. „თამაში მიყვარს სცენაზე, ცხოვრებაში — არა!“ — ამბობს „მორცხვი მსახიობი“, რომელიც




მართლაც ვერ თამაშობს ამბიციური ახალგაზრდა ლექტორის როლს თავისი გონებრივი პოტენციალის, უნარებისა და განათლების მიუხედავად. არც ის გვიკვირს, რომ თეატრის ირგვლივ საკუთარ ინტერესებზე და დამოკიდებულებებზე უფრო ღიად გვესაუბრა. თეატრი რომ მისი ოჯახისთვის სულიერების წყაროა, იქიდანაც ვასკვნით, რომ თურმე რისმაგ გორდებიანსა და მის მეუღლეს ერთხელ იტალიაში მოგზაურობისას მთელი ფული თეატრალური წარმოდგენის ნახვის მიზნით დაუხარჯავთ. არც ის არის გასაკვირი, რომ ლიკა გორდებიანს, როგორც კლასიკური სამეცნიერო ოჯახური წრის წარმომადგენელს, კლასიკური მუსიკის მოსმენა იტაცებს და განსაკუთრებით მოცარტი უყვარს. „მოცარტი ჩემთვის მეგობარია, რომელიც ჩემთანაა განსაცდელშიც და სიხარულშიც. მუსიკის ასეთი სიყვარული დედაჩემმა ჩამინერგა. ღრმა ბავშვობიდან მასმენინებდა მუსიკას. თავისუფალ დროს, ასევე, მიყვარს ბუნებაში სეირნობა, ლაშქრობა დედაჩემთან და მამაჩემთან, დეიდაჩემთან, დეიდაშვილებთან ან მეგობრებთან ერთად. დიდ სიამოვნებას მანიჭებს და მამშვიდებს ბუნებაში ხეტიალი“, — ამბობს ლიკა, რომელიც თავისი ბუნებით, ინტერესებით, ემოციური გამოხატულებებით, კულტურული დამოკიდებულებებითა და, ამავე დროს, ბავშვური გულწრფელობით კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს ოჯახ-იშვილობას, ქართველობას და ეს იმ ფონზე, როცა თინეიჯერობის ასაკის შემდეგ, ფაქტობრივად, პარიზში გაიზარდა...



როდის გამოემართება „არგო“ ისევ საქართველოსკენ? (ეპილოგი)

„როდესაც ადამიანი გარკვეულ ასაკობრივ ზღვარს აღწევს, სურვილი უჩნდება — თვალი გადაავლოს იმ ცხოვრებისეულ გზას, რომელიც მან და მისმა თაობებმა განვლეს განგების მიერ მათთვის გამოყოფილი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. თაობას, რომელსაც მე ვეკუთვნი, საოცარი ცვლილებების ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. ჩემი ცხოვრება ორ ეტაპად შეიძლება გავყოთ: 50 წელი საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის წლებია, დანარჩენი კი — დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობის წლები. თუ პირველ ეტაპზე გვქონდა იმის შეგრძნება, რომ დიდი იმპერიის ნაწილი ვიყავით, რომელსაც სხვების დაშინება და დაჩაგვრა შეეძლო, მეორე ეტაპზე რატომღაც დავივიწყეთ, რომ დამოუკიდებელი, მაგრამ პატარა ქვეყანა ვიყავით, რომლის დაშინება და დაჩაგვრა უკვე სხვებს შეეძლო. ისე ვიქცევოდით, თითქოს ყველა შეცდომა და შეცოდება შეგვრჩებოდა ჩვენი ილუზორული განსაკუთრებულობის გამო. როგორც ჩანს, იმპერიასთან ერთად მეორე მსოფლიო ომში მოპოვებული გამარჯვება და ამაში ქართველი ლიდერების განსაკუთრებული როლი ინერციით იმ ახალი ქართველი პოლიტიკოსების გამჭრიახობისა და ყოვლისშემძლეობის ფუჭ იმედს გვიქმნიდა, რომლებმაც პოსტ საბჭოთა ეპოქის საქართველოს, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის მმართველობა აიღეს საკუთარ თავზე და დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ თავად რუსეთისთვისაც კი შეგვეძლო ჭკუის სწავლება. ჩვენში გენეტიკურად ჩადებული მფლანგველობა და არხეინი დამოკიდებულება ქონების განიავებასა და ქვეყნის შიდა პოლიტიკის წარმოების მიმართ ძალზე ძვირად დაგვიჯდა: სამოქალაქო ომში გადაზრდილი პარტიული კინკლაობა, სისხლისღვრა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ლიდერთა ჯერ გაღმერთება და შემდეგ მოკვება, ომი რუსეთთან და ტერიტორიების ჩამოჭრა ჩვენი უახლესი ისტორიის ძირითად მახასიათებლად ჩამოყალიბდა. დემოკრატიისა და ტირანიის, უკიდურესი გაჭირვებისა და ზღვარგადასული ფუფუნებ-

ის, წარმატებით თავის მოწონებისა და წარუმატებლობების გამო წუწუნის უცნაური სიმბიოზი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნორმად იქცა. და მაინც, ბედნიერები ვართ, რადგან: თანდათან ვსწავლობთ დამოუკიდებლობის პირობებში საკუთარი ქვეყნის მართვას, ტოტალური დეფიციტის ეპოქა წარმატებით დავძლიეთ და, თუ ფული გვექნება, არ ვფიქრობთ იმაზე — სად რა ვიშოვოთ, სერვისის სამსახურები, მეტწილად, გამართულად მუშაობენ, ყოფითი პირობები შინაც და გარეთაც, ძირითადად, დამაკმაყოფილებელია, სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა ასე თუ ისე სწორად მიმდინარეობს, ევროპასა და დასავლეთს იმდენად დავუახლოვდით, რომ ამის წარმოდგენა რამდენიმე ათეული წლის წინ დიდ ფანტაზიორსაც გაუჭირდებოდა, ტოტალური იდეოლოგიური შეზღუდვების ეპოქიდან ინფორმატიკის მეუფებისა და შეზღუდვებისგან განმუხტული სიტყვისა თუ პიროვნული თავისუფლების ეპოქაში გადავინაცვლეთ. „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათში“ — ეს ცნობილი სენტენცია სავსებით მიესადაგება ჩემს თაობას, რომელმაც სწრაფად გაიარა გზა ათეიზმიდან მორწმუნეობამდე, საბჭოურიდან ევროპულ იდენტობამდე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმიდან ლოკალურ პატრიოტიზმამდე, კომუნისტური



იდეოლოგიის აპოლოგეტობიდან მის განქიქებამდე, რუსეთთან ჩახუტებიდან მასთან დაპირისპირებამდე. ძნელია ყოველივე ამას მოუყარო თავი და სათანადოდ გაიაზრო შენი ცხოვრების დასალიერს“, — ასე ამოხეთქა მეცნიერის გულიდან იმ გააზრებულმა სათქმელმა, რაც მას, როგორც ადამიანს, როგორც მოქალაქეს, როგორც პოლიტიკურ ასპარეზზე დროებით ლიდერთაგანს და ანალიტიკოსს მისი ქვეყნის სიყვარულმა დაანერინა წიგნში — „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო“. მისი ეს მოკლედ თქმული ერთგვარი პუბლიცისტური ანალიტიკა საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარებაზე მისი წიგნის შესავალ ნაწილს მოიცავს, ჩვენს წიგნში კი რისმავ გორდებანის ეს ტკივილიანი, მაგრამ იმედიანი სიტყვა პროლოგში ჩავტიეთ — თუმცა თითოეული სიტყვის მნიშვნელობა ძალიან დიდია — საქართველოზე დასაწერი ტომების ინსპირაციაა... დიახ, დრო შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა რისმავ გორდებანის მარადი ბუნება — ოპტიმიზმი და აი, რატომ...



ბუარტის უთქვამს — „მტრისგან მოყენებული უდიდესი ბოროტება ის არის, რომ იგი ჩვენს გულს სიძულვილს აჩვევსო,“ — ამ ფრაზას მითოლოგიურ მედეასთან, შვილების მკვლელ დედად ცნობილ კოლხ ქალთან კავშირი აქვს. მაგისტრანტებთან სერიოზული დისკუსიებისას რისმავ გორდებანს ხშირად უხდებოდა იმის ახსნა, თუ რა იქნებოდა უკეთესი — მედეა ჩვეულებრივ, ეჭვიან, თუმცა შვილების ვერგამმეტებელ პერსონაჟად გამოეყვანა ევრიპიდეს, თუ თავისი ინოვაციით მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე პოპულარულ

სახედ ექცია? „განა მედეას ესოდენ პოპულარობას მხოლოდ საკუთარი შვილების დახოცვა განაპირობებს? ერთად მივდივართ დასკვნამდე, რომ თავისი შემზარავი ქმედებით მედეა ანგარიშს უსწორებს საზოგადოებას, რომელსაც არავითარი უსამართლობა აღარ აღელვებს, რომელიც ყველაფერს შეგუებულია. მხოლოდ მედეას ამგვარ საქციელს შეუძლია ამ საზოგადოების შეჯანჯღარება, იმაზე დაფიქრება, თუ რატომ მოხდა ეს ყოველივე“, — ასე და ამგვარად იყენებს რისმაგ გორდეზიანი თავის უკიდევანო ცოდნას იმ ერის გამოსაფხიზლებლად, რომელსაც გარეული თუ შინაური მტრები სიძულვილის ენას აჩვენებენ და, ოხლოკრატის საზღვართან მდგარს, ვერ გაურჩევია — რა სიკეთე დევს რეალურ დემოკრატიულ პრინციპებში, რომ დემოკრატია მორალსა და ზნეობაზე დამყარებული ღირებულებების გათავისების ვალდებულებას გვკარნახობს — როგორც ეს, თუნდაც, პერიკლეს თეზისებშია განწერილი. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ უნდა იცოდე... „უნდა ისწავლო, რათა ასწავლოო“... ამ პრინციპზე მდგარი რისმაგ გორდეზიანისგან თუკი ახლა მაინც ვისწავლით რაიმეს, კულტურული ცივილიზაციის პირობებში ახალი ნიჩბებით აღჭურვილი „არგო“ ისევ საქართველოსკენ გამოემართება. 81 წლის სადარაჯოზე მდგარი რისმაგ გორდეზიანი სწორედ ამ „არგოს“ მოლოდინშია...



რას ჰყვებიან და იხსენებენ კოლეგები/მეგობრები რისმაგ გორდეზიანზე?

**როინ მეტრეველი: უნივერსიტეტი
მის გარეშე წარმოუდგენელია**

რისმაგ გორდეზიანს 60 წელზე მეტია ვიცნობ. პირველი ურთიერთობა მასთან გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან იწყება. ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენი სწავლის პერიოდი. ის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მე ისტორიულზე. რისმაგი პირველი კურსიდანვე გამოირჩეოდა თავისი სიღინჯით, სწავლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით, სერიოზულობით. უმნიშვნელოვანესი იყო მისი გამორჩეული პუნქტუალობა. სწორედ ამ თვისებებმა იგი უნივერსიტეტის წარჩინებულ და საკმაოდ პოპულარულ სტუდენტად წარმოადგინა. სტუდენტობის პერიოდის ჩვენი ურთიერთობა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასა და მის საბჭოში საქმიანობით განისაზღვრებოდა. არ შემოძლია ხაზი არ გავუსვა, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანის დასაწყისში უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო საქმიანობა მაღალ დონეზე იყო: აქტიურად ტარდებოდა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები; იბეჭდებოდა თეზისები. სტუდენტები, რომლებიც თავისი სამეცნიერო მოხსენებით კარგად წარმოსდგებოდნენ, იგზავნებოდნენ სხვა მოწინავე სასწავლებლებში; იქ ხდებოდა მათი მოხსენებების მოსმენა. რისმაგ გორდეზიანი აქაც გამორჩეული იყო. მან სტუდენტობის პერიოდში რამდენიმე საინტერესო მოხსენება გააკეთა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ მან იმთავითვე კვლევად კლასიკური ფილოლოგია, ჰომეროლოგია აირჩია. ამ გზას გაჰყვა და სრულიად კანონზომიერად წლების შემდეგ საერთაშორისო მასშტაბის აღიარებულ მეცნიერად იქცა.

რისმაგ გორდეზიანის ერთ-ერთ სასიკეთო საქმედ მინდა დავასახელო მისი კეთილი დამოკიდებულება პროფესორ, ან

განსვენებულ ალეკო ალექსიძესთან (სხვათა შორის ბატონი ალეკო უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ჩვენ — რისმაგი და მე მისი მოადგილეები ვიყავით).

ახლო კავშირი მქონდა რისმაგთან ასპირანტურაში სწავლის დროსაც. ის აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მონაფე იყო, მე — აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა მესხიასი. ორივემ დავიცავით საკანდიდატო დისერტაცია და მთელი ძალით შევუდექით პედაგოგიურ საქმიანობას. ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ასე იყო საჭირო — საკმაოდ ახალგაზრდებმა, 25-26 წლისებმა დავინწყეთ ლექციების კითხვა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ რისმაგ გორდეზიანი ძალზედ აქტიური იყო. უნივერსიტეტში არ ტარდებოდა რაიმე ღონისძიება — სამეცნიერო თუ კულტურული ხასიათისა, მისი მონაწილეობის გარეშე. რისმაგი განსაკუთრებით აქტიური იყო ქვეყნის სამეცნიერო წრეებში. მახსოვს მისი ძალიან საინტერესო, ამასთან მეტად პრინციპული გამოსვლები „ბაკურიანის სიმპოზიუმებზე“. მან სრულიად დამსახურებულად მიიღო ახალგაზრდული (კომკავშირის) პრემია. ყოველთვის იყო საუნივერსიტეტო აქტივში გამორჩეული. ერთი პერიოდი მაღალი ღირსებით ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტს (შეცვალა პროფესორი ალეკო ალექსიძე). ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს — გასული საუკუნის 60-80-იანი წლები აღსავსე იყო სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის წარმატებებით. ამ პერიოდის საქართველო გამოირჩეოდა თავისი მაღალი დონის მსოფლიოში აღიარებული მწერლებით, მხატვრებით, მუსიკოსებით, კინოხელოვნებისა და კულტურის ყველა დარგის წარმომადგენლებით (გავიხსენოთ ლიტერატურული ნაწარმოებები, მხატვართა შემოქმედება, მუსიკალური ნიმუშები, კინოფილმები და სხვ.) სამწუხაროდ, ამავსე შემდგომ პერიოდზე ვერ ვიტყვით. ცალკე მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა მეცნიერთა საქმიანობა. აი, სწორედ ამ დროს იყო აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი. პარტიული კომიტეტი ძლიერი,

შემძლე ფენომენი იყო და მის სწორად წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბატონი რისმაგი მაღალი ღირსებით დიდ და სასიკეთო საქმეებს აკეთებდა, რითაც უნივერსიტეტს სახელს ჰმატებდა.

ჩემი ურთიერთობა რისმავ გორდეზიანთან ცხოველი გახდა 70-იან/80-იან წლებში, როცა მე ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე ვიყავი, რისმაგი კი აქტიური ავტორი მეტად მნიშვნელოვანი სტატიებისა. ამასთან იგი დაბეჭდვამდე კრიტიკულად კითხულობდა კლასიკურ ფილოლოგიასა და გრეცისტიკასთან დაკავშირებულ სტატიებს.

ცალკე მინდა აღვნიშნო რისმავ გორდეზიანის საქმიანობა უნივერსიტეტში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. 1991 წლის ოქტომბერში მე დავინიშნე (შემდეგ ამირჩიეს) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. უმძიმესი პერიოდი იყო ქვეყნისათვის, შესაბამისად, უნივერსიტეტისათვის (სირთულეებზე საუბარს არ გავაგრძელებ). გარკვეული პერიოდის შემდეგ მეგობრულად მივინვიე ბატონი რისმაგი და ვთხოვე — გვერდით დამდგომოდა; რისმავ გორდეზიანი დაინიშნა თსუ-ის პირველ პრორექტორად. აქ მან თავისი მაღალი ღირსებები ნათლად წარმოაჩინა. სიტუაციის ღრმა ანალიზის საფუძველზე მუხლჩაუხრელად, სასწავლო პროცესის სრული მონესრიგებით, კათედრებთან საქმიანი ურთიერთობით, პუნქტუალობით, ერთი სიტყვით, სერიოზული პრინციპულობით წარმართავდა იგი მუშაობას.

რამდენიმე წლის შემდეგ წარმოიშვა იდეა კათედრის ბაზაზე, რომელსაც რისმაგი ხელმძღვანელობდა, რომ შექმნილიყო კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. მეცნიერის ამ თაოსნობას მხარი ავუბით და დავაფუძნეთ ეს სამეცნიერო დაწესებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კლასიკური ფილოლოგიის განვითარებას. ნიშანდობლივია, რომ მან 1920 წელს უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგედ მოიწვია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გრიგოლ ფილიმონის

ქე ნერეთელი. იგი 1938 წლამდე განაგებდა ამ საქმეს. ცხადია, ამის გათვალისწინებით თსუ-ის ახალ ინსტიტუტს დიდი პერსპექტივა ესახებოდა.

აქ ახალი ძალით გამოჩნდა რისმაგ გორდეზიანის შემოქმედებითი საქმიანობა. ამ კვლევითმა ცენტრმა მალე გაითქვა სახელი. კეთილი ურთიერთობები დამყარდა სხვა და, მათ შორის, საბერძნეთის კვლევით დაწესებულებასთან. ინსტიტუტს ყურადღება არ აკლდა ჩვენი — უნივერსიტეტის რექტორატის მხრიდან, მაგრამ განსაკუთრებული იყო საქართველოში საბერძნეთის ელჩებთან ურთიერთობა, მათგან გარკვეული დახმარება. ახლად დაფუძნებულმა ინსტიტუტმა უდიდესი როლი შეასრულა კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკის თუ ნეოგრეცისტიკის განვითარებაში. რისმაგ გორდეზიანმა შემოიკრიბა მნიშვნელოვანი კადრები (აქ ბევრი ახალგაზრდა იყო), თითოეულს მისცა დავალება სხვადასხვა მიმართულებით. მათ სასარგებლოდაც უნდა ითქვას, რომ თავდადებულმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო — შეიქმნა მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლა რისმაგ გორდეზიანის ხელმძღვანელობით. მეცნიერი წარმატებით ხელმძღვანელობს ამ დარგის წინსვლას და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ავტორიტეტიც მოიპოვა.



რისმაგ გორდეზიანმა, როგორც კლასიკურმა ფილოლოგმა, ჰომეროლოგმა, თავდადებულმა მკვლევარმა დიდი მეცნიერის რეალური რეპუტაცია შეიძინა.

რისმაგ გორდეზიანი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია. ესაა ჰომეროლოგიის საკითხები, კლასიკური ფილოლოგიის ცალკეული პრობლემები, კლასიკური ეპოქების ისტორიები. მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერის ენციკლოპედიური საქმიანობა. ცალკე უნდა გამოიყოს სარედაქციო მოღვაწეობა. ძალიან ძნელია რომელიმე ნაშრომის გამორჩევა. ყველა მათგანი ავტორის დიდი ხელოვნებითაა შექმნილი. გამოვყოფდი რისმაგ გორდეზიანის კლასიკურ ნაშრომს — „ანტიკური სამყაროს კულტურები“ (ხუთ წიგნად), სადაც მეტად სახიერად და ღრმად ნარმოდგენილი ბერძნული ცივილიზაცია, ეტრუსკული კულტურა, რომაული ცივილიზაცია — ესპანეთიდან კავკასიამდე, ანტიკური სამყაროს განაპირა კულტურები.

რისმაგ გორდეზიანი ცხოვრებაში უბრალოებით გამოირჩევა. მასთან ურთიერთობა ადვილია. იგი არის პიროვნება, რომელსაც უზადო მეგობრობა და დიდი ერთგულება შეუძლია. იგი უხვ სიკეთეს ოჯახშიც იჩენს. სასიამოვნოა, რომ მეუღლეც — ლია ჯინორია, თავად შესანიშნავი მეცნიერი, მეუღლისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღესდღეობით, როცა რისმაგს ქალბატონი ლიას დახმარება აუცილებლად სჭირდება. ამას წინათ, ონლაინ მეთოდით გადაიცემოდა რისმაგისადმი მიძღვნილი საღამო. როცა ერთმა მოწაფემ შესთავაზა თავის მასწავლებელს, თქვენ იმუშავეთ და წერიტი სამუშაოს შესრულებაში მე დაგეხმარებითო, ქალბატონმა ლიამ, რომელიც თავადაც იღებდა გადაცემაში მონაწილეობას, მკაცრად უპასუხა — არ არის საჭირო, მაგ საქმეს რისმაგის მეუღლეც კარგად აკეთებსო.

სასიამოვნოდ შემიძლია აღვნიშნო, რომ რისმაგ გორდეზიანს ჰყავს ვაჟი ლევანი, რომელიც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია.

მივმართავ ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებას, მივმართავ სრულიად საქართველოს: გიხაროდნენ, ქვეყანას ჰყავს დიდი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი რისმაც გორდებოდა. მე კი ვამაყობ, რომ იგი ჩემი მეგობარია.

*როინ მეტრეველი
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი*

მეცნიერების რაინდი

ბატონი რისმაც გორდებოდა, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული სახეა.

განგებამ მას ბედნიერი ცხოვრება არგუნა როგორც მეცნიერს, როგორც პიროვნებას, როგორც კაცს. ის უაღრესად პოზიტიური ადამიანია, დახვეწილი, სულით ხორცამდე, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი.

დიდი ჰუმანიზმი, განსაკუთრებული სიყვარული თავისი მოწაფეების მიმართ, საერთო საქმის კეთების უსაზღვრო სურვილი და უდიდესი პოტენციალი მას ყოველთვის გამოარჩევს სხვათაგან.

მეცნიერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიქველე, ჩემი ღრმა რწმენით, არის სამეცნიერო სკოლის შექმნა, რაც, როგორც ჩანს, ისე რთულია, რომ მას ბევრი ვერ ახერხებს, ბატონმა რისმაცმა კი საქართველოში შექმნა გამორჩეული, დასაველური სტანდარტების შესატყვისი კლასიკური ფილოლოგიის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწიფი სკოლა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი თაობათა ჰარმონიული კავშირია. მან თავის მოწაფეებს, უპირველეს ყოვლისა, ასწავლა ანტიკური სამართლებრივი სისტემა, შთაუწერა, რომ საქმე, რომელსაც ისინი ემსახურებიან, უმნიშვნელოვანესია, ამიტომ თვითონაც გამორჩეულნი და განსაკუთრებულნი არიან.

ბატონი რისმაცგი გამოუწონორებელი ოპტიმისტია. მას აქვს სიახლის ძიების მარადიული სურვილი და სხვისი წარ-

მატებით აღფრთოვანების საოცარი უნარი. მისი, როგორც პროფესორის, მისია იყო და არის არა მხოლოდ შეასწავლოს სტუდენტებს კონკრეტული დისციპლინა, არამედ მიაჩვიოს ისინი კრიტიკულ აზროვნებას, მასალის ობიექტურად გაანალიზებას, თავიანთი პოზიციის თამამად წარმოჩენას.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი შრომისმოყვარეობა. ემერიტუსი პროფესორი რისმაგ გორდუზიანი ლამის ყველა თავის კოლეგაზე უფრო ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა და ახალ-ახალი ნაშრომებით გვაოცებს და გვანებივრებს.

ბატონი რისმაგი არაჩვეულებრივი პედაგოგია. მე ბედნიერი ვარ, რომ არა მარტო ვმუშაობ მის გვერდით, არამედ მისი სტუდენტიც ვიყავი. დღემდე მახსოვს, როგორ შემოდიოდა აუდიტორიაში, მახსოვს მისი ლექციის კითხვის გასაოცარი და განსხვავებული მანერა, სტუდენტებით გადაჭედილი აუდიტორია, რომელსაც სწრაფად მოავლებდა ხოლმე თვალს და ისე იწყებდა თხრობას, გასაგებად, საინტერესოდ, მსუბუქად და ძალადაუტანებლად. მისი ლექციები უზომოდ საინტერესო იყო, ერთიმეორეზე უფრო საინტერესო. დაღლას ვერც პროფესორი გრძნობდა და ვერც — სტუდენტი. რისმაგ გორდუზიანის ლექციებს არავინ აცდენდა. თავში არავის მოუვიდოდა მისი ლექციის დროს კინოში წასულიყო, უნივერსიტეტის ბაღში ესეირნა, ან ლექციაზე შესულიყო და სხვა რამე წაეკითხა, ან სხვა საგნის დავალება შეესრულებინა.

იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, საინტერესო, საყვარელი და პატივსაცემი ლექტორი იყო. სტუდენტები მისი ლექციის წინ თადარიგს ადრინანდ იჭერდნენ, რომ აუდიტორიაში წინა რიგებში მოკალათებულიყვნენ და ლექცია არა მარტო კომფორტულად მოესმინათ, არამედ ლექტორიც კარგად დაენახათ.

ბატონი რისმაგი სწავლების ნოვატორი იყო. იმ შორეულ 70-იან წლებში პირველად სწორედ პროფესორი რისმაგ გორდუზიანი ატარებდა ტესტირებას და უფლებას გვაძლევდა სტუდენტებს, იმდენი წიგნი შეგვეტანა საგამოცდო ოთახში, რამდენსაც შევძლებდით და რამდენიც მოგვესურვე-

ბოდა, რადგან ნაკლებ დროსა და ყურადღებას უთმობდა ფაქტოლოგიური მასალის ცოდნის შემომწმებას, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ მიღებული იყო იმ პერიოდში. ის სტუდენტებს ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნების გაკეთების უნარს გვიმომწმებდა და ამაში გვინერდა ნიშანს.

ბატონი რისმაგი ათნლეულების განმავლობაში აკეთებდა და აკეთებს უკეთილშობილეს საქმეს: უშურველად გადასცემს ცოდნას თავის სტუდენტებს. იგი მაგალითია პროფესიონალიზმისა. მის გვერდით ყოფნა ყოველთვის საინტერესოა, რასაც არ უნდა აკეთებდეს, რასაც არ უნდა ჰყვებოდეს, რასაც არ უნდა განიხილავდეს. იგი დღესაც ისეთივე საინტერესო პიროვნება და მეცნიერია ჩვენთვის, მისი მოსწავლეებისა და კოლეგებისათვის, როგორც იყო მაშინ, როცა პირველ კურსზე ვიყავით და ანტიკური ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა. ამ ქვეყანაში მისი უამრავი აღზრდილი ცხოვრობს და მოღვაწეობს, რომლებიც დიდი სითბოთი, სიყვარულითა და მაღლიერებით იხსენებენ თავიანთ პროფესორს.

სულ მგონია და მოკრძალებით ვუთხარი კიდევაც, რომ მისი წასვლა პროფესორის თანამდებობიდან ნაადრევი იყო. თუმცა, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ბატონი რისმაგი არ დამეთანხმა...

ჩვენს ეპოქას და ჩვენს საზოგადოებას დღეს ყველაზე მეტად აკლია რაინდები. ბატონი რისმაგ გორდებიანი ნამდვილად არის რაინდი, მეცნიერების რაინდი. მან მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მეცნიერებაში. მისმა მოღვაწეობამ განავითარა, წინ წასწია მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული კლასიკური ფილოლოგიის სკოლა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმატებებში მისი დიდი წვლილია. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში იგი კიდევ მრავალი მასშტაბური სამეცნიერო პროექტის განხორციელებას შეძლებს.

*ნანა გაფრინდაშვილი
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი*

ანტიკურ მითოლოგიაში განსწავლულმა მონაფეებმა მას ფენიქსი უწოდეს

რისმაგ გორდეზიანს დიდი ხანია ვიცნობ. ამ ნაცნობობას, დაახლოებით, 60 წლის ისტორია აქვს. ჩვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ვიყავით. სტუდენტობიდან ჩემი უახლოესი მეგობარი იყო ალექსანდრე ალექსიძე (ალიკო, როგორც მას მეგობრები ვეძახდით). სტუდენტობისას მის სახლში მე, ლამის, ვიზრდებოდი: ერთად ვამზადებდით საგნებს, მათ შორის, გამოსაშვებსა და ასპირანტურაში მისაღებსაც. ეს იყო დიდი რეჟისორის — დიმიტრი ალექსიძის ოჯახი და მე სასურველი ახლობლობა და მეგობრობაც მაკავშირებდა ოჯახის თითქმის ყველა წევრთან, მათ შორის, ალიკოს უმცროს ძმასთან — შემდგომში ცნობილ ბალეტმაისტერ გოგი ალექსიძესთან. რისმაგ გორდეზიანი გოგი ალექსიძის თანაკლასელი იყო. იგი მე ალიკომ გამაცნო, როდესაც, ალბათ, მეოთხე კურსის სტუდენტები ვიყავით. რისმაგი ჩვენზე სამი წლით უმცროსი იყო. ალიკო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ, მე კი — ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. რისმაგი ამ სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო. ჩემი ასპირანტობის მესამე კურსიდან ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე რისმაგ გორდეზიანი გახდა. ჩვენი ნაცნობობა ამ საბჭოდან დაიწყო და მალე დიდ მეგობრობად იქცა, შემდგომში ოჯახების — მეუღლეების მეგობრობამაც გადაიზარდა. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ჩვენ, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები, ბევრ მნიშვნელოვან სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმეს ვაკეთებდით: ვატარებდით სტუდენტთა რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებს; ვინვევდით სტუდენტებს მაშინდელი საბჭოთა კავშირის როგორც ახლობელი, ასევე უშორესი კუთხეებიდან; ორგანიზებული იყო მათი დახვედრებიც და გაცილებებიც; ვაწყობდით საზეიმო სადილებს ბევრი სტუმრის მოპატიჟებით; ვადგენდით და ვბეჭდავდით რამდენიმედილი-

ანი და მრავალმიმართულებიანი სამეცნიერო კონფერენციის პროგრამებს; ვაქვეყნებდით მოხსენებების თეზისებს რამდენიმე ენაზე. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფდა მხოლოდ ფინანსურ მხარდაჭერას ჩვენ მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე. მთელს ამ საქმიანობას ალექსანდრე ალექსიძის შემდეგ რისმაგ გორდებიანი ხელმძღვანელობდა. ის იქნა არჩეული უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. ეს წლები ჩვენი ახალგაზრდობის ერთი უკეთესი პერიოდი იყო. რისმაგს, როგორც ასაკით ჩვენზე უმცროს სტუდენტს, უხდებოდა სტუდენტურ თანამდებობებზე ჩემი და ალიკოს შეცვლა. ეს რიგითობა მოგვიანებითაც გაგრძელდა. 1993 წელს მე დავასრულე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორობა (აკადემიურ დარგში), ბატონი რისმაგი კი გახდა პრორექტორი (სასწავლო დარგში). ხუთიოდე წლის წინ მას „გადავულოცე“ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეობა. ბატონი რისმაგ გორდებიანი მთელი უნივერსიტეტის საქმიანობის ხელმძღვანელი იყო წლების მანძილზე არა მხოლოდ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში, არამედ უკვე პროფესორობის დროსაც — იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი (ფაქტობრივად, რექტორის შემდეგ მეორე პირი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, სასწავლო და სამეცნიერო მართვის თვალსაზრისით). ყველა პიროვნება, რომელიც ყოფილ საბჭოთა პერიოდში მაღალპარტიულ ან ადმინისტრაციულ პოზიციაზე იყო დასაქმებული, ერთი კრიტერიუმით არ უნდა შეფასდეს. ფანატიზმით შეპყრობილ პარტიულ მუშაკთა და მაღალი პარტიული ინსტანციიდან მიღებულ ყველა მონოდებათა უსიტყვოდ შემსრულებელ ადმინისტრატორთა გარდა არსებობდნენ, და არცთუ იშვიათად, მოღვაწეები, რომლებიც თავიანთი დაწინაურებული პოზიციის მეშვეობით ქვეყნისათვის თუ ცალკეულ მოქალაქეთათვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდნენ. სწორედ ამგვარ პიროვნებათა დაუნახავი და დაუფასებელი ღვან-

ლის წილიცაა იმ დიდ მიღწევებში, რომლებიც თვალნათლივ გამოიკვეთა XX საუკუნის დიდ ქართულ ხელოვნებაში, მეცნიერებაში, სპორტში. ჩემი აზრით, ამ ტიპის პარტიულ მუშაკთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს რისმაგ გორდეზიანი, როგორც თბილისის უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი. ამის დასტურს მე ვხედავ იმ მოვლენებში, რაც საქართველოში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად ჩვენმა სტუდენტობამ მოახდინა. ქართველ ახალგაზრდათა ამ დიდ შემართებას სათავეში თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტობა ედგა. უნივერსიტეტის პარტიული ხელმძღვანელი კი რისმაგ გორდეზიანი იყო.

შემდგომში, რისმაგ გორდეზიანმა გვირგვინი დაადგა მის დიდ წინაპართა შემართებას და მყარ ფუნდამენტზე შექმნა კლასიკური ფილოლოგიის საერთაშორისოდ აღიარებული სკოლა.

კლასიკური ფილოლოგიის მეცნიერულ შესწავლას თბილისის უნივერსიტეტში საფუძველი იმთავითვე, უნივერსიტეტის დაარსებიდანვე ჩაეყარა, რაც განპირობებული იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ ევროპაში აღიარებული პაპიროლოგის და, საზოგადოდ, ანტიკოსის გრიგოლ წერეთლის თბილისის უნივერსიტეტში მონევეით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. ბატონი სიმონის შექმნილი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული, მასში შემავალი ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის ტომით, მაშინდელ საბჭოთა კავშირში პირველი და უნიკალური მოვლენა იყო. ამავე კათედრის გამგემ პროფესორმა აკაკი ურუშაძემ უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის განყოფილება დააარსა. კათედრისათვის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროფესორ პანტელეიმონ ბერაძეს. იგი ქარიზმატული პიროვნება იყო. გადმოცემით ვიცი, რომ როდესაც მის მონაფეხს, კერძოდ, ალექსანდრე ალექსიძესა და რისმაგ გორდეზიანს სტუდენტებთან პირველი ლექციის წაკითხვა მიანდო, მთელი

საათის განმავლობაში სალექციო აუდიტორიის სიახლოვეს კორიდორში მღელვარე ნაბიჯებით დადიოდა და ლექციის წარმატებით დასრულებას ელოდებოდა. სწორედ ამ მყარ საფუძველზე აგრძელებს საქმიანობას რისმაგ გორდეზიანი. მან კათედრასთან დააარსა კლასიკური ფილოლოგიის ბიბლიოთეკა, შექმნა სამეცნიერო გამომცემლობა — „ლოგოსი“, საერთაშორისო აღიარების ჟურნალი — „ფაზისი“ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც ამ კათედრის ბაზაზე თბილისში ხშირად ტარდებოდა და რომლებიც საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებად აქცია. ამით მან ანტიკური ბერძნული და ბიზანტიური ლიტერატურის შესწავლის მიმართულებით თბილისის უნივერსიტეტს ევროპაში აღიარებული სახელი დაუმკვიდრა. ყველაფერ ამას სიმყარე შესძინა რისმაგ გორდეზიანის, როგორც ანტიკური ბერძნული კულტურისა და ლიტერატურის მკვლევრის, საერთაშორისო დონეზე აღიარებულმა ავტორიტეტმა.

რისმაგ გორდეზიანის სამეცნიერო პუბლიკაციები ძალზე მდიდარი და ღრმაა. ბევრი მათგანი საერთაშორისო დონეზეა ცნობილი. ეს პუბლიკაციები მოიცავს კლასიკური ფილოლოგიის სხვადასხვა სფეროს, უპირატესად, ბერძნული ენისა და ლიტერატურის და, საზოგადოდ, შედარებითი გრამატიკის პრობლემატურ საკითხებს, მედიტერანული ენ-



ების საფუძველზე. პირადად მე ლექციებში ქართული ლიტერატურის მიმართულების მაგისტრანტებთან ვიმონუმე მის მონოგრაფიას — „წინარებერძნული და ქართველური“ (1985 წ.). ჩემი შვილი, ბატონი რისმავის მოწაფე, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი ზაზა ხინთიბიძე ეყრდნობა მის ჰომეროლოგიურ ნაშრომებს. ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია უკანასკნელ წლებში დასრულებული და გამოცემული მისი სამტომეული — „ბერძნული ცივილიზაცია“.

ბატონი რისმავისა და ჩემი მეგობრობის ათწლეულობით ხანგრძლივ მეგობრობას მოსაგონებლად მოჰყვება უამრავი ისტორია. ძნელია, რომელიმე მათგანი გამოარჩიო. მე და ალიკო ასპირანტები, რისმავი დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, ერთ ზაფხულს ზურგჩანთებს და ერთ გასაშლელ კარავს შევიძენთ და კავკასიის მთებში მოგზაურობას წამოვიწყებთ: ყაზბეგი (დღევანდელი სტეფანწმინდა), მაშინდელი ორჯონიკიძე... ჩრდილოეთიდან მოვდივართ საქართველოსკენ. ღამეს ვათევთ კავკასიონის მისადგომებთან სოფელში, რომელსაც, როგორც მახსოვს, სახელად ერქვა „ქალაქი“. ფეხით გადმოვივლით მამისონის უღელტეხილს და ჩავდივართ რაჭაში, სოფელ საკაოში. იქ რისმავის სანათესაოა, მისი ბიძა თუ ბიძები გვიმასპინძლებენ. ლეჩხუმში, კერძოდ ცაგერში, დავიქირავებთ პატარა თვითმფრინავს (სამკაცციანს) და ჩავფრინდებით ქუთაისში და იქიდან სვანეთში. ფეხით მოვივლით ბევრ სოფელს, ავდივართ უმგულში. ფეხით მივადექით ყინულოვანი თეთნულდის ძირს. შემთხვევით გამოვლილი ერთი სვანის დახმარებით, მისი ცხენით, სათითაოდ გადავედით თეთნულდიდან დაძრული მდინარის მეორე მხარეს და საცალფეხო ბილიკით გვიან ღამით მწყემსების ფერმას მივადექით. გადავურჩით მწყემსების ძაღლების შემოტევას და ღამე გავათიეთ... ჩვენი თავგადასავლების ყველა დეტალს ვერ გავამხელ. კიდევ უნდა გავიხსენო, რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი, უკვე ახალგაზრდა ლექტორების, ხანგრძლივი ექსპედიცია კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტებთან ერთად. უნივერსიტეტის მიკროავ-

ტობუსით ერთვნიანი მოგზაურობა — სვანეთი, აფხაზეთი. მე და ალიკო ექსპედიციას ბიჭვინთაში შევეუერთდით. ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ბატონი რისმაგია. ღამისთევებით მოგზაურობა შავი ზღვის სანაპიროზე: აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა: ლექსები, სიმღერები, ხუმრობები. პატარა კინოფილმი გადავიღეთ: ოპერატორი იყო რევაზ გაჩეჩილაძე, მსახიობები — ალექსანდრე ალექსიძე, რისმაგ გორდეზიანი, ვახტანგ როდონაია, მე და სტუდენტ ქალთა დასი. ბატონი რისმაგი ორგანიზატორია რამდენიმე სტუდენტური ექსპედიციისა საზღვარგარეთ: საბერძნეთი, იტალია. მე ვმონაწილეობდი რამდენიმე მათგანში: თურქეთი, კვიპროსი, ეგვიპტე.

რისმაგ გორდეზიანს დიდ ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად ძალზე სასურველი პიროვნული თვისება აქვს: იგი ოპტიმისტია. ყველა მოვლენასა და მნიშვნელოვან ფაქტში დადებით მხარეს ეძიებს და ადვილადაც ხედავს. პირადად მე მისი იმედიანი განწყობა და საუბარი ძალიან მეხმარებოდა ჩვენი ქვეყნის, ქალაქის და უნივერსიტეტის წინაშე უკანასკნელ ათწლეულებში წამოჭრილი ბევრი კრიტიკული პერიოდის შეფასებასა და საკუთარი განცდების დაძლევაში. ამ ნიშნით მე და ბატონი რისმაგი ერთმანეთისგან აშკარად განვსხვავდებით. ბანალური მაგალითის მიხედვით თუ განვმარტავთ, ნახევრად სავსე ჭიქა მე იმით მანუხებს, რომ იგი ნახევრად ცარიელია; რისმაგი კი იმითაა კმაყოფილი, რომ იგი ნახევრად სავსეა. ერთი სახუმარო შემთხვევა მახსენდება. ზემოთაც ვწერდი, ფეხით შემოვიარეთ მთაგორიანი საქართველოს ბევრი კუთხე. ახალგაზრდები ვიყავით, მაგრამ უშგულისაკენ მიმავალი გრძელი აღმართი ნამდვილად დამღლევი იყო. წინ, როგორც ყოველთვის, რისმაგი მიდიოდა, შემდეგ მე, უკან კი ალიკო. ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ ჩვენ შორის მანძილები 50 მეტრი მაინც იყო. მაგონდება, სახლები რომ გამოჩნდა, რისმაგს რამდენიმეჯერ შევძახე: — შესვლა ერთად სჯობს მეთქი, მაგრამ... პირველივე დასახლების წინ შემადღებულ ადგილზე რამდენიმე კაცი საუბრობდა. ბილიკი თუ შარაგზა ოდნავ დაბლა მიემართებოდა. როცა რისმაგი მოსაუბრეების

მალღობს მიუახლოვდა, ზემოდან უზარმაზარი ნაგაზი ყეფით გადმოხტა, მოგზაურს დაეძგერა და შარავხის ნაპირზე გადააგორა. ახალგაზრდა სვანები წამის უმალ გადმოხტნენ შეძახილებით და ძალღიჯი განარიდეს. მე და ალიკო ქოშინით გულამოვარდნილები მივვარდით. რისმაგი გამართული და კმაყოფილი სახით იდგა. მოგვახარა: — ნაგაზს ხომ კარგად ვაძგერე ხახაში ჯოხიო... დიას! მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მან ამ ინციდენტში მხოლოდ ეს გაითავისა. რისმაგი ცხოვრებას ყოველთვის ნათელ ფერებში ხედავდა — ეს კი დიდი პიროვნული ღირსებაა. ესეც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რამაც ბატონ რისმაგ გორდეზიანს ბევრი ცხოვრებისეული სირთულე და გასაჭირი დააძლევინა. მე, პირველ რიგში, მისი ჯანმრთელობის შეტევებს ვგულისხმობ. რისმაგი ხშირად მძიმე და ზოგჯერ ხანგრძლივი ავადმყოფობიდან მხნედ და ძალ-ღონით სავსე გამოსულა. რამდენიმეჯერ უთქვამს ჩემთვის — გუჯა, ჰადესს ჩავხედეო. სწორედ ამიტომ, ანტიკურ მითოლოგიაში განსწავლულმა მოწაფეებმა მას ფენიქსი უწოდეს — ეს ჭეშმარიტებაა.

ბატონ რისმაგზე ბევრი რამ მაქვს კიდევ სათქმელი, მაგრამ ამჯერად შევჩერდები მხოლოდ ორ გარემოებაზე. ჩემი დიდი მეგობრის პიროვნების ჩამოყალიბებაში, გარდა მისი წინამორბედებისა, მასწავლებლებისა და მეგობრებისა (რომლებზედაც ორიოდე სიტყვით უკვე აღვნიშნე), არსებითი იყო მისი ოჯახის წვლილი: მამა — ბატონი ბენო გორდეზიანი, ჭეშმარიტი ინტელექტუალი, ნათელი პიროვნება; დედამისი — ქალბატონი ნანა, უაღრესად სათნო და საოცრად მზრუნველი მშობელი. ბატონ რისმაგს ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა ეტაპზე გვერდით ედგა ახალგაზრდობა, რაც განპირობებული იყო თითოეულ მათგანზე იმ დიდი მზრუნველობით, რასაც თვითონ იჩენდა. ეს ახალგაზრდობა არ არის მხოლოდ მის მოწაფეთა დიდი ჯგუფი, რომელიც ყოველთვის ბრწყინვალედ წარმოაჩენდა დიდი მასწავლებლის საქმესა და სახელს. ამ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილია მისი საგვარეულოს ახალი თაობა, მისი მეგობრების შვილები, რომელთა თითოეული წარმატების სიხარულის გამზიარებე-

ლი ბატონი რისმაგია. მე მეამაყება, რომ მათ შორისაა რისმაგის ნათლული ჩემი შვილი — ირაკლი ხინთიბიძე, რომელიც, როგორც კარდიოლოგი, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საიმედოდ უდგას გვერდით მის ნათლიას.

დაბოლოს, უმთავრესი — ესაა რისმაგის შექმნილი ოჯახი, საამაყო შვილი — ლევან გორდეზიანი, საამაყო რძალი და შვილიშვილი და, რაც მთავარია, მეუღლე — ქალბატონი ლია ჯინორია, დიდი ოჯახის შვილი: ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის შვილიშვილი, ბრწყინვალე ინტელიგენტის — ოთარ ჯინორიას და დიდი მეცნიერის — თინათინ ყაუხჩიშვილის ქალიშვილი. ლია ჯინორიამ, უნივერსიტეტის პროფესორმა, სანიმუშო პედაგოგიური კარიერა რისმაგ გორდეზიანზე მზრუნველობით ჩაანაცვლა. დღეს იგი რისმაგის არა მხოლოდ მეუღლეა, არამედ ოჯახის ექიმი და მთავარი მეცნიერ-ასისტენტი. ბატონი რისმაგ გორდეზიანი საიმედო ხელშია.

საუბარი ბატონ რისმაგზე ჩვენი დიდი მეგობრობის ჩასახვით დავიწყე და ეს მინდა დღევანდელით დავასრულო. რამდენიმე თვის წინ რისმაგმა თავისი ახალი წიგნი (ბრწყინვალე სამტომეულიდან ერთი მათგანი) ასეთი წარწერით მაჩუქა: „ჩემს მუდმივ მეგობარს“. მინდა, ჩემს მუდმივ მეგობარს მუდმივი სიმხნევე და წარმატება ვუსურვო.

*ელგუჯა ხინთიბიძე
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პროფესორი*

მკაცრი, მაგრამ სამართლიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინერო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი 1972 წელს და ძალიან მალე გავიგე ბატონ რისმაგ გორდეზიანის შესახებ. ითვლებოდა, რომ ის სიმკაცრით და სამართლიანობით გამოირჩეოდა... უშუალო საქმიანი ურთიერთობა კი დაიწყო ჯერ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რომლის წევრებიც ორივე, პრაქტიკულად, ერთდროულად

გაეხდით. მას შემდეგ, რაც პატივად მერგო 2013 წელს ვყოფილიყავი არჩეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე, ჩემი ბატონი რისმავისადმი ურთიერთობამ შეიძინა სამსახურებრივი ფორმა.

ბატონი რისმავი არაერთი შრომის, მათ შორის, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორია. ჩემთვის, როგორც არასპეციალისტისთვის, განსაკუთრებით საყურადღებოა მისი 2013 წელს გამოცემული წიგნი — „არგონავტები“.

პროფესორი რისმავ გორდეზიანი ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც ფრიად განსწავლული, ნამდვილი მეცნიერი, სტუდენტებისადმი მომთხოვნი და დედა-უნივერსიტეტისადმი ერთგული ადამიანი.

ვლადიმერ პაპავა
აკადემიკოსი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის პროფესორი

ათენის აგორის სული

ბატონ რისმავთან ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთობა მაკავშირებს, თანაც, თითქმის ყოველდღიური და ამას ჩემი ცხოვრების დიდ უპირატესობად მივიჩნევ. მის შესახებ ჯერ კიდევ სკოლის მერხზე ყოფნისას შევიტყვე. საქმე ისაა, რომ მან ადრე გაითქვა სახელი, როგორც განსაკუთრებული ნიჭის მქონე მეცნიერმა და ადრევე შეიქმნა ცნობილი თბილისის ფართო საზოგადოებისთვის. მე და ჩემი კლასის მეგობრები, უკვე ყმანვილობის წლებში შესულნი, თბილისში სწორედ ასეთ ინტელექტუალებს ვეძებდით. ნათლად მახსოვს, როგორ დამანახა ჩემმა კლასელმა ბატონი რისმავი ტრანსპორტში და მითხრა: — შეხედე, ეს კაცი რისმავ გორდეზიანია, დიდი მეცნიერი! მაშინ პირველად გავიგე მისი სახელი. შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე და პირველ კურსზე ბატონი რისმავის აუდიტორიაში აღმოვჩნდი. ის ანტიკური

ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა. ბავშვობაში ზოგი რამ ანტიკურობიდან წავიკითხე, ანტიკური ხელოვნების ზოგიერთ ნიმუშსაც ვიცნობდი... მაგრამ ახლა უკვე კონცეფციურად გააზრებული მთელი ანტიკურობის მომცველი მიმოხილვითი კურსი! აზრისა და სიტყვის ასეთი მშვენიერება, ამდენი სიახლე — მონოდებული ბრწყინვალე დეკლამაციით! დიახ, სწორედ ბატონმა რისმაგმა შემეყვანა ამ უმშვენიერეს ინტელექტუალურ სამყაროში, როგორც ერთ მთლიანობაში. მოუთმენლად ველოდი ჩემს თანაკურსელებთან ერთად ლექციას, რომელიც კვირაში ერთხელ გვიტარდებოდა. გამალებით ვინერდი მის მიერ ნათქვამს, ვინიშნავდი ჩემთვის იმ დროს უცნობ მოვლენებსა და ცალკეულ ცნებებს; რომ იტყვიან — „ვყლაპავდი თითოეულ სიტყვას“. ეს სააუდიტორიო შეხვედრები ჩემი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. აღფრთოვანებული გამოვდიოდი მისი ლექციიდან და კვლავ შემდეგი ლექციის მოლოდინში ვიყავი. კვირის შუალედი კი ემსახურებოდა იმას, რომ გამეცნობიერებინა, რაც ლექციაზე მოვისმინე, ანუ „დავწეოდი“ მონოდებულ ინფორმაციას. ცხადია, ამალღებულის ამგვარი განცდა მთელ აუდიტორიაზე ვრცელდებოდა. აღვნიშნავ ერთ მნიშვნელოვან



პედაგოგიურ ხერხს, რომელსაც ის „ინტელექტუალურ ჩვილთა“ აუდიტორიაში მიმართავდა. წინადადებას დროდადრო იწყებდა სიტყვებით — „როგორც იცით“ — კერძოდ, ისეთ საკითხებზე, რომლებიც სტუდენტურმა აუდიტორიამ ნამდვილად არ იცოდა. ჩემი ღრმა რწმენით, ამას მეთოდურად მიმართავდა სტუდენტში „ინტელექტუალური მადის“ აღსაძრავად. ერთი შეხედვით, ლიტონი სიტყვები სინამდვილეში დიდ ზეგავლენას ახდენდა — გიჩნდებოდა ძლიერი სურვილი მისი ცოდნის თანაზიარი ყოფილიყავი.

ბატონი რისმავის ლექციებით, მაშინაც და მერეც, არა მარტო სტუდენტები იხიბლებოდნენ და, საბედნიეროდ, ასე გრძელდება დღემდე. ერთ ძველ ამბავს გავიხსენებ. ბატონი რისმავის პარტკომობის დროს, მისი ინიციატივით თსუ-ში შემოიღეს ლექციების კურსი — „მსოფლიო კულტურების სიმალღეები“. მას შესაბამის დარგთა სამი დიდი სპეციალისტი უძღვებოდა. ლექციებს ანტიკური კულტურის შესახებ ბატონი რისმავი კითხულობდა, ბიზანტიურ კულტურას — ბატონი ალექსანდრე ალექსიძე, ხოლო რენესანსის კულტურას — ბატონი ვახტანგ ბერიძე. ლექციები თსუ-ის სააქტო დარბაზში იმართებოდა, რომელიც მთლიანად ივსებოდა მსმენელებით. ეს 70-იანი წლების თბილისში მართლაც მეტად მნიშვნელოვანი კულტუროლოგიური მოვლენა იყო. დიდი გამოცოცხლება სუფევდა ინტელექტუალურ საზოგადოებაში. ლექციების კურსს ფართო მსმენელი ესწრებოდა, სხვადასხვა დაწესებულებისა და სპეციალობის ადამიანი. ასე გაგრძელდა ერთი წელი. შემდეგ ლექციების კურსი მხოლოდ ბატონმა რისმავმა გააგრძელა, უკვე თსუ-ის ფიზიკის აუდიტორიაში. მასსოვს, იქაც როგორ „აჰყავდა“ აუდიტორია მწყობრი ორატორული ნარატივით.

პარტკომობის წლები ბატონმა რისმავმა წარმატებულად გამოიყენა ჩვენს უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე სხვა ცალკეული საქმეების სასიკეთოდ მოგვარებისთვის, რის გამოც მას ადამიანები დიდად ემადლიერებოდნენ. მაგრამ იყო ერთი დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც მაშინ მის

მიმართ გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვგულისხმობ 1978 წლის პოლიტიკურ კრიზისს, როცა საბჭოთა რეჟიმის მოთხოვნით საქართველოს კონსტიტუციიდან უნდა ამოეღოთ მუხლი ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის შესახებ. ამ ფაქტმა ჩვენს საზოგადოებაში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. საპროტესტო მუხტი თავდაპირველად თსუ-ში გაჩნდა, კერძოდ, საქართველოს ისტორიის კათედრაზე (გურამ მამულია, მარიკა ლორთქიფანიძე და სხვ.). მას მთელი უნივერსიტეტი აჰყვა, მათ შორის, კლასიკური ფილოლოგიის კათედრა და ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა, სადაც იმ დღეებში დიდი რაოდენობის ეროვნულად განწყობილი ახალგაზრდობა იკრიბებოდა. უნივერსიტეტს სხვა ინსტიტუციები შემოუერთდნენ. საპროტესტო აქცია პირველად თსუ-ის ეზოში გაიმართა, მერე კი მთელი ქალაქის ცენტრი მოიცვა. საბოლოო გადანყვეტილება 14 აპრილს, მოსკოვში, საბჭოეთის ცენტრალურ მმართველობას უნდა მიეღო. უამრავი ხალხი გამოვიდა ქუჩებში. ფართო საზოგადოებამ, პროფესურამ და სტუდენტობამ თსუ-ის ეზოში, უნივერსიტეტის ფოიესა და სააქტო დარბაზში მოიყარა თავი, სადაც უზარმაზარ ეკრანზე ედუარდ შევარდნაძის მიერ მოსკოვის საბოლოო დანყვეტილების გამოცხადებას ველოდებოდით. იქ იდგა ბატონი რისმაგი პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძესთან და სხვა პროფესორებთან ერთად. მასსოვს, როგორ უცებ გადაიზარდა საერთო აღშფოთება დიდ სიხარულში, როცა ედუარდ შევარდნაძემ ყველას გამოგვიცხადა, რომ საქართველოს უფლება მიეცა — სახელმწიფო ენად კვლავ ქართული გამოგვეცხადა. ყველა ულოცავდა ერთმანეთს. სააქტო დარბაზში გამარჯვების ყიჟინა და შეძახილები ისმოდა. სიხარულს გამოხატავდა თსუ-ის პარტკომიც, ვინც წინა დღეებში დიდად დაძაბული იყო და დათრგუნულადაც გამოიყურებოდა, რაც ბატონი რისმაგის ოპტიმისტური ხასიათისთვის სულაც არ იყო ტიპიური. უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდნენ ბატონ რისმაგს ისინი, ვისაც თსუ-ის პარტკომი მომიტინგეების წინა რიგებში უნდოდა ენახა. ეს მას არც მაშინ გაუკეთებია და არც შემდგომ, არაერთი პოლიტიკური პერიპეტეიის დროს.

მე ამის ჩემეული ახსნა მაქვს, რომელიც სახელდახელოდ ახლა კი არ მოვიფიქრე, არამედ მასთან წლების განმავლობაში ურთიერთობით შევიქმენი. პოლიტიკური ლიდერის პათოსი მისთვის საკმაოდ უცხოა. მისი ხასიათის ნყოფა უფრო სხვაგვარია. ის დინჯი, დამკვირვებელი და დაკვირვებული, ლოგიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მქონე ადამიანია. ლოგიკა კი მას, როგორც იმ დღეებში თავად თქვა, 1956 წლის საპროტესტო აქციის სისხლიან დარბევას ახსენებდა და არავის ჰქონდა გარანტია, რომ ამგვარი რამ საბჭოეთის რეალობაში კიდევ არ განმეორდებოდა. ვფიქრობ, მის სულიერ იმპერატივს კარგად გამოხატავს მარკუს ავრელიუსის სიტყვები: „ჯერ ერთი, სამეუფო და კანონმდებელი გონების რჩევით კაცთა სასიკეთოდ უნდა იღვწოდეს და, მეორეც, უნდა შეგძლოს შეიცვალო შეხედულება, თუკი ვინმე დაგანახებს ან დაგიმტკიცებს შენი შეხედულების მცდარობას“ („ფიქრები“, ბ. ბრეგვაძის თარგმანი). ვფიქრობ, დღევანდელი დღის გადასახედიდან ის იმდროინდელ სიფრთხილეს სხვაგვარად აფასებს. თუმცა, რთულია შენზე აიღო პასუხისმგებლობა, როცა შენმა სიტყვამ დიდი და, შენი ღრმა რწმენით, უშედეგო მსხვერპლი შეიძლება გამოიწვიოს. ერთი რამ ვიცი, როცა 90-იან წლებში, სხვებთან ერთად, ჩვენს პროფესურასაც უკიდურესად უჭირდა, ბატონი რისმაგი გერმანელმა კოლეგებმა თავიანთ უნივერსიტეტებში მიიწვიეს ლექციების წასაკითხად. მაშინ ცნობილმა მეცნიერმა, მიხაელ ფონ ალბრეხტმა ბატონ რისმაგს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელის იმ დროს ვაკანტური თანამდებობის დაკავება შესთავაზა და საკმაოდ გაოცებული დარჩა, როცა ბატონმა რისმაგმა პატრიოტული მოტივებით ამ შემოთავაზებაზე უარი თქვა. ასე რომ, პატრიოტიზმს სხვადასხვა გამოვლინება აქვს, ხოლო ყველა ამქვეყნად მოსულ ადამიანს — თავისი სამოღვაწეო არეალი, რასაც, მნიშვნელოვანწილად, ამ ადამიანის ბუნება განსაზღვრავს. ბატონმა რისმაგმა კონკრეტული და, ამასთანავე, ფართო სამოღვაწეო ასპარეზი აირჩია — ის დიდი მეცნიერი და ბრწყინვალე ლექტორია. თავისი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწე-

ობით მან შეძლო უდიდესი წვლილი შეეტანა თაობათა ინტელექტუალურ ფორმირებაში და ამ მხრივ მისი, როგორც გონებათა აღმზრდელის, ღვაწლი საქართველოს წინაშე ფასდაუდებელია.

* * *

მას შემდეგ, რაც კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების სტუდენტი გავხდი, ბატონი რისმაგი სხვადასხვა სალექციო კურსს მიკითხავდა ლიტერატურასა და ენაში. მე იმ ნაკადს განვეკუთვნები, რომელმაც ბატონ რისმაგთან გაიარა ძველი ბერძნული ენის ფუნდამენტური კურსი. ბერძნული ენა რთული ენაა და მისი მიწოდება სტუდენტისთვის ინტენსიურ რეჟიმში და, ამასთანავე, ხალისიანად ერთობ რთულია, ის კი ამას საუცხოოდ ახერხებდა — აზავებდა რა გრამატიკით დატვირთულ ლექციას გამახალისებელი იუმორით. რა კურსიც არ უნდა წაეკითხა ბატონ რისმაგს, ყველა მის აუდიტორიაში ერთი და იგივე სული სუფევდა, რასაც მეტაფორულად „ათენის აგორის სულს“ ვუნოდებდი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ საშუალება გვეძლეოდა ლექციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საკუთარი აზრი გამოგვეთქვა. რაოდენ არასწორიც არ უნდა ყოფილიყო ეს აზრი, ლექტორი მას პატივისცემით იღებდა, თუმცა მაშინვე, ერთი-ორი დამაეჭვებელი კითხვის დასმის შემდეგ, სტუდენტი „სოკრატულად“ საპირისპირო აზრის არსებობის ლეგიტიმურობისკენ მიჰყავდა. ბატონი რისმაგი ნამდვილად ყველა თვალსაზრისით შესანიშნავი პედაგოგია. პირადად ჩემთან დაკავშირებით ერთი რამ მახსენდება. ზოგადად, მოტივირებული სტუდენტი ვიყავი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ერთხელ ბერძნული ენის გამოცდაზე ცუდად ვუპასუხე, რის გამოც საშინლად მრცხვენოდა. გამოცდის ბოლოს, როცა ბატონმა რისმაგმა ნიშნები გამოაცხადა და თითოეული სტუდენტის პასუხს მცირე კომენტარი დაურთო, ჩემზე თქვა: „თინამ სტაბილურად კარგად მიპასუხა“, და შემდეგ დაყოვნებით, უკმაყოფილოდ დაამატა — „მაგრამ, რომ იტყვიან, ვინმეს წინაშე **в расплох** თავი არ

უნდა აღმოიჩინო“, ანუ, საკუთრივ, სიტუაციიდან გამოსვლის უნარი დამინუნა. წარმოიდგინეთ, რა ძალას მომცემდა ეს სიტყვები, როგორ ჩქარა შემეცვალა სასონარკვეთილება მადლიერების გრძობით და, მეორეს მხრივ, ბრძოლის სურვილით საკუთარ მოუხერხებლობასთან. საერთოდ, გარდა ცოდნის მოცემისა, დიდად ვუმაღლი მას, რომ ყოველთვის საკუთარი თავის რწმენას მიმყარებდა. მადლიერი ვარ მისი იმიტომაც, რომ ჩემს ყველა აკადემიურ ინიციატივას თუ სამეცნიერო გეგმას „მწვანე შუქს“ უნთებდა და იმიტომაც, რომ ზოგჯერ ჩემ მხრივ უკმაყოფილების გამოვლენასაც სულგრძელად ითმენდა. მართალი რომ ვთქვა, სავსებით არ მოველოდი ჩემდამი გამოვლენილ ნდობას, როცა მან ინ-



სტიტუტის ხელმძღვანელის თანამდებობის დატოვება გად-
ანყვიტა. არ შეიძლება დარწმუნებული ყოფილიყო — გავუძ-
ღვებოდი თუ არა ამ საქმეს მისი სტილით, ანუ ყველანაირი
დაპირისპირების მშვიდობიანად გადაწყვეტის გზით. ის ხომ
თავად ნებისმიერი განხეთქილების დიპლომატიურად მოგ-
ვარების დიდოსტატია. მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ
შემპირდა მხარში დგომას და, აი, ასე მოვდივართ თითქმის 4
წელია. დიდი იმედია ჩემთვის... ვიცი, რომ მისი გამჭრიახობის
წყალობით და სირთულეებში ოპტიმალური გამოსავლის პოვ-
ნის უნარით ყველა სირთულე დაიძლევა.

* * *

დამეთანხმებით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს — ვისი
აღზრდილი ხარ, ვინ იყვნენ შენი მასწავლებლები და რა ის-
ტორიისაა შენი დარგი. ჩვენ, კლასიკური ფილოლოგიისა და
ბიზანტინისტიკის ქართული სკოლის წარმომადგენლები
ვამაყოფთ იმით, რომ კლასიკური ფილოლოგიის, როგორც
საუნივერსიტეტო დარგის, დამფუძნებელი საქართველო-
ში, მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი გრიგოლ წერ-
ეთელია, ხოლო ბიზანტინისტიკისა — ასევე საერთაშორისო
ავტორიტეტის მქონე ფილოლოგ-კლასიკოსი და ბიზანტინის-
ტი სიმონ ყაუხჩიშვილი. წინა საუკუნის 70-იანი წლების სტუ-
დენტები მეცნიერთა თანავარსკვლავედის აღზრდილები
ვართ. ჩვენ ლექციებს გვიკითხავდნენ სიმონ ყაუხჩიშვილი,
აკაკი ურუშაძე, თინა ყაუხჩიშვილი, ირაკლი შენგელია, იმ-
ხანად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილი რისმაგ გორ-
დეზიანი და მისი უახლოესი მეგობარი, მასზე ცოტა უფრო-
სი, ნიჭიერი და პერპექტიული ბიზანტინისტი ალექსანდრე
ალექსიძე, რომელიც, სამწუხაროდ, საკმაოდ ადრე წავიდა
ჩვენგან. ამ დიდ თანავარსკვლავედში გამოვეყოფდი ახალ-
გაზრდა რისმაგ გორდეზიანს, როგორც ძირითად პედაგოგს
სტუდენტებისთვის — ადამიანს, რომელმაც მნიშვნელოვნად
იტვირთა განყოფილების ყველა სტუდენტის აღზრდის საქმე
და, ამის გამო, ახალგაზრდობაშივე კლასიკური ფილოლოგი-

ის კათედრაზე სტუდენტთათვის ცენტრალურ აკადემიურ ფიგურად იქცა. ახლა უკან რომ ვიყურები, შემძლია ვთქვა, რომ, მართლაც, დიდი სკოლა გავიარეთ და ეს სკოლა ჩემი თაობისთვის, მომდევნო თაობებზე რომ არაფერი ვთქვა, რისმაგ გორდეზიანის სახელს უკავშირდება. ის იყო სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელი, სტუდენტთა ექსკურსიების ორგანიზატორი, სტუდენტთა სხვადასხვა ღონისძიების სულისჩამდგმელი. დიდ დროს უთმობდა სტუდენტებს და ამიტომ სტუდენტებიც სწორედ მის გარშემო იკრიბებოდნენ, თავიანთ სწავლასთან დაკავშირებულ პრობლემებს მას უზიარებდნენ და ყველა ცდილობდა, რომ მისი ხელმძღვანელობით დაენერა საკონფერენციო მოხსენება თუ სადიპლომო ნაშრომი. ასე ჩაისახა, უკვე ადრეულ ეტაპზე, რისმაგ გორდეზიანის სკოლა დიდი ტრადიციის მქონე ქართული კლასიკური ფილოლოგიის წიაღში. მან შექმნა ახალი ეტაპი ამ სკოლის განვითარების ისტორიაში და მას განსაკუთრებული მასშტაბები შესძინა როგორც ინსტიტუციურად უნივერსიტეტის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. რამდენიმე წლის წინ გამოცემულ წიგნში (რ. გორდეზიანი, ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო, თბ., 2015) ბატონი რისმაგი თავად ჰყვება ორივე სტრატეგიული მიმართულების, აგრეთვე, მის მიერ განხორციელებული სხვა დიდი პროექტების შესახებ და ამიტომ ამ რეალიებზე აქ არ ვისაუბრებ. მხოლოდ ჩვენი ინსტიტუტის შექმნის საქმეს შევეხები. იმას ვიტყვი, რომ მისი ინციატივითა და რეალიზებით 1987 წელს კლასიკური ფილოლოგიის კათედრასთან ახალი ბერძნული ფილოლოგიის განყოფილება შეიქმნა. მან სტრატეგოსის ხედვით განჭვრიტა პერსპექტივა, რომელიც ხსენებული დარგის დაფუძნებას მოჰყვებოდა. მის გეგმებში თავიდანვე ჩართო საბერძნეთის საელჩო საქართველოში, რომელმაც მართლაც დიდი დახმარება გაუწია ბერძნული ფილოლოგიის განყოფილებას, რის შედეგადაც განყოფილება ძალიან სწრაფად განვითარდა. 1997 წელს ყველა საფუძველი მომზადდა იმისთვის, რომ უნივერსიტეტის შიგნით პირველი ჰუმანიტარული ინსტიტუტი დაარსებულიყო. ასე შეიქმნა ელინური

კულტურის შემსწავლელი პირველი და დღემდე ერთადერთი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი კავკასიაში. იგი ბერძნულ კულტურას მისი სამი დიდი ეპოქის — ანტიკურობის, ბიზანტიური შუასაუკუნეებისა და თანამედროვეობის ფარგლებში შეისწავლის. 1960-იანი წლების მიწურულიდან არსებულ ძველ საუნივერსიტეტო კავშირს იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტთან საბერძნეთის უნივერსიტეტები დაემატა, ხოლო მოგვიანებით პიზისა და ბოლონიის უნივერსიტეტები. ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარებას დიდად შეუწყობდა ხელი საკმაოდ ხშირად გამართულმა საერთაშორისო კონფერენციებმა, რომელთა ვრცელი ჩამონათვალი ბატონი რისმაგის „ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიულ სამახსოვროშია“ მოცემული. ბევრჯერ დავსწრებივარ მის მოხსენებებსა და გამოსვლებს საერთაშორისო კათედრაზე და ვიცი, თუ როგორი პატივისცემით, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებით არიან განმსჭვალულნი მის მიმართ ჩვენი დარგის წამყვანი უცხოელი სპეციალისტები.

* * *

ბატონი რისმაგი ფართო სპექტრის მკვლევარია. მისი სამეცნიერო კვლევის სფეროებია: ანტიკური ლიტერატურის ისტორია, ანტიკური ცივილიზაცია, ეგეისტიკა, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, ბერძნული მითოლოგია. მის ნაყოფიერ მეცნიერულ პროდუქციაში სრულყოფილად აისახა ბერძნული და რომაული ჰუმანიტარული აზრის შემეცნებითი და მხატვრულ-ესთეტიკური მხარეები, ღრმად იქნა გამოკვლეული ისტორიულ-ენათმეცნიერული ასპექტები, რაც მედიტერანული სამყაროსა და უძველეს ქართველურ ტომთა კავშირზე მიუთითებს. ბატონი რისმაგის გამოკვლევები ხიბლავს მკითხველს ცოდნის მასშტაბურობით, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მოპოვებული ინფორმაციის ახლებური გააზრებით და ყოველივე ეს გადმოცემულია საუცხოოდ ნათელი ფორმით. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბატონ რისმაგს, როგორც მოაზროვნეს (და ეს თვისე-

ბა მის პრაქტიკულ ცხოვრებაშიც თვალნათლივ იკვეთება), ფორმის განსაკუთრებული სიყვარული ახასიათებს. მას იტაცებს აზროვნებისა და ესთეტიკის ძიება სტრუქტურის დონეზე და სტრუქტურულ კანონზომიერებათა კვლევა. აზროვნების ეს სტილი ყველა მის ნაშრომში ვლინდება. ვინც მის კვლევით მოღვაწეობას იცნობს, ახსოვს, რომ იგი ახალგაზრდობის წლებშივე იკვლევდა ჰომეროსის პოემების კომპოზიციური ორგანიზაციის საკითხებს (წრიული და პარალელური კომპოზიციები, ბინალური ოპოზიციები და მათი გაშუალება და სხვ.) და მუშაობდა, აგრეთვე, ანტიკური ლიტერატურის სხვა ტექსტების მხატვრული ორგანიზაციის პრინციპებზე. კვლევის ეს მიმართულება ბატონი რისმავის ნაწერებში ყოველთვის განსაკუთრებით მხიბლავდა და სწორედ, ამ თვალსაზრისით, საგანგებოდ მინდა გამოვყო მისი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონოგრაფია — „ინოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურში“ (თბილისი, 2016). ნიგში წარმოდგენილია ავტორის მრავალნიანი ლიტერატურული დაკვირვებების შედეგები, ამჯერად გააზრებული და მოწოდებული ერთი სამიზნე კუთხით — ანტიკური მწერლობა, დანახული მუდმივ სიახლეთა კონტექსტში. ის ეყრდნობა კვლევითი და სააუდიტორიო მოღვაწეობის უზარმაზარ გამოცდილებას და ამიტომ აოცებს მკითხველს როგორც ცოდნის მოცულობით, ისე ღრმა კონცეფციური ანალიზით. ჩემს თვალში, მონოგრაფია მეცნიერის ლიტერატურულ კვლევათა გვირგვინია, რომელშიც ის განსაკუთრებით ლიტერატურული ფორმის ანალიზის დიდოსტატად მოგვევლინა. მკითხველი ეცნობა ანტიკური ეპოსის, ლირიკის, დრამის მრავალფეროვან არქიტექტონიკას, როგორც სამწერლობო სიახლეთა მუდმივი მონაცვლეობის არეს. სათაურში გამოტანილი სამი ცნებიდან ინოვაცია გულისხმობს ანტიკურობის მხატვრულ სიტყვაში ჩადებულ კრეატიულობის კოდს, ფორმალიზმი — ბერძნულ და რომაულ მწერლობაში გამოვლენილ ლტოლვას ახალი ლიტერატურული ფორმებისაკენ, ხოლო ავანგარდი — საკუთარი შემოქმედების შეგნებულ გამიჯვნას ტრადიციისგან. ამგვარად, ამ წიგნის

თვალსაწიერშია ანტიკური ლიტერატურის ის ტენდენციები, რომლებიც XIX-XX საუკუნეების ლიტერატურის სპეციფიკად მიიჩნევა. ავტორი მიუთითებს კიდევ პარალელებზე თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებთან; ასე, ბერძნული ლიტერატურული ავანგარდი ნანილობრივ XX საუკუნის ფუტურ-იზმს და ნანილობრივ კი ექსპრესიონიზმს არის შედარებული. მონოგრაფიაში ერთმანეთს ენაცვლება სიახლეთა ტიპებისა და სახეების, დანერგვის სხვადასხვა გზებისა და შედეგების აღნუსხვა ჰომეროსიდან გვიან ანტიკურობამდე, გაანალიზებულია ლიტერატურულ ჟანრთა დაბადება და ნაჩვენებია ერთი ჟანრის ფარგლებში ცალკეულ ავტორთა შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი, რაც ვერსიფიკაციის მეტად საინტერესო ძიებებსაც ეხება. მინდა, ორიოდ სიტყვა ვთქვა IV თავში განხილული ე.წ. ტექნოპეგნიის ანუ ლიტერატურული ტექსტით თამაშის ექსპერიმენტების შესახებ, რასაც, რიგ შემთხვევებში, ლიტერატურასა და ხელოვნებას შორის ზღვრების გაფერმკრთალება სდევს. როგორც ავტორი შენიშნავს, ტექნოპეგნიაში ორიგინალობის განმსაზღვრელი ლექსის ფორმაა და არა შინაარსი. ფორმის ძიებას ფორმისა და შინაარსის დაშორება მოჰყვება; ფორმის დომინირებით შინაარსზე კი ლექსიკური ფორმატივი ენის სპეციფიკურ ნიშანს, სემანტიკას ჰკარგავს; სიტყვა ბგერათა ჟღერადობით აბსტრაქტული ასოციაციებისა და ემოციების აღძვრას ემსახურება, რითაც პოეზია მუსიკას ემსგავსება. მეორე მხრივ, ლექსის ფიგურული გამოსახულება, რომელსაც ამ ტიპის პოეზიაში ასევე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, სახვითი ხელოვნებისთვის ნიშანდობლივ გრაფიკულ ფორმაში დებს შინაარსს (ლექსი ნაფახის, კვერცხის, სალამურის, საკურთხევლის და ა.შ. გრაფიკული ფორმებით). ცხადია, ავტორს არ გამორჩებოდა ის ფაქტი, რომ ფორმაზე ფოკუსირების უკიდურესი შემთხვევები მაღალი ლიტერატურული კრიტერიუმების წინააღმდეგ მუშაობდა. ჩემთვის, როგორც ბიზანტინისტიკისთვის, საინტერესოა თვალის გადავლება იმაზე, თუ როგორ მოხდა ანტიკურობის ლიტერატურულ ესთეტიკაში და, კერძოდ, ელინისტურ და პოსტელინისტურ პოეზიაში ფორმის დაცლა

შინაარსისგან და როგორ აივსო ეს ფორმები ახალი შინაარსით ქრისტიანობაში, ვინაიდან ქრისტიანობამ უთუოდ უფრო ელინისტური პოეზიიდან და არა უძველესი წარმართული საკულტო ლექსიდან შეითვისა ხსენებული ხერხები. ასე, სახელისა თუ ცნების შემცველ აკროსტიქში გამოვლენილ ესთეტიკურ თამაშს ჩაენაცვლა მისტიკური დატვირთვის მქონე ქრისტიანული აკროსტიქი, ხოლო ელინისტურ პოეზიაში თავშესაქცევ ანბანურ მანიპულაციებს — ქრისტიანული ანბანთქება, რომელიც სარწმუნოებრივ-კულტუროლოგიური ფენომენის თემატიზებას ახდენდა. ამავე თავში განხილულია ე.წ. ხალინოსები, რაც სტრიქონის იმგვარად გამართვას გულისმობს, რომ მასში ერთხელ არის გამოყენებული ანბანის ესა თუ ის ასო. ამის გამო პოეტები არსებულ სიტყვათა მარაგის ამონურვის შემდეგ აზრსმოკლებულ ფორმატივებს ქმნიდნენ. ეს ფორმა, ახალი მისტიკური შინაარსით დატვირთული, უთუოდ, ელინისტურ-იუდაისტური ტრადიციის გავლით მოხვდა ადრექრისტიანულ მწერლობაში. ამას წიგნში მოხმობილი კლიმენტ ალექსანდრიელის „სტრომატა“ ადასტურებს, რომელშიც მოცემულია ელინისტური პოეტური ესთეტიკის დაკავშირების ცდა ბიბლიის ენის ჰერმენევტიკასთან. ამ თავშივეა წარმოდგენილი ისოფსეფიის ანუ გრაფემების რიცხვითი მნიშვნელობით თამაში, ანაგრამები, ფიგურული ლექსები, რომლებიც ქრისტიანულ ლიტერატურაში ახალ აზრობრივ კონტექსტში მოხვდნენ. ასე რომ, მოცემულ თავში ბევრია სტიმულის მომცემი ანტიკურ-შუასაუკუნეობრივი რეცეფციები კვლევის კუთხით.

ბოლოს ვიტყვი, რომ ამ წიგნის სახით მეტად საგულისხმო გამოკვლევა შეიძინა იმან, ვისაც ანტიკური ლიტერატურის გემოს შეგრძნება სურს. მკითხველი მთელი სისრულით აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ კაცობრიობის მხატვრული სიტყვის უდიდეს მონაპოვარს მუდმივი სიახლის იდეალი მსჭვალავდა. მეტიც, ანტიკურ საზოგადოებაში არსებობდა კატეგორიული მოთხოვნა და მოლოდინი ამ სიახლისა.

* * *

არსებობს გამოთქმა: „ყველა ადამიანი რალაცას გვასწავლის“. რისმაგ გორდეზიანისგან ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს. ჩემეული ხედვა მისი ხასიათისა, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც, უკვე გამოვლინდა. დამატებით ვიტყვი, რომ მას აქვს ხასიათის ისეთი ნიშნები, რომლებიც მომწონს და სიამოვნებით მათ კვალში ჩავდგებოდი. ზემოთ ვახსენე, რომ ბატონი რისმაგი აქტიურად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებას, მაგრამ მისი ყურადღება სტუდენტთა მიმართ არა მარტო ამით შემოიფარგლებოდა. ყოველთვის სჩვეოდა თავისი მოწაფეების პატრონობა. საზოგადოდ, მხარში დგომა მის ხასიათშია და თანაგრძობის დიდი უნარი აქვს. რამდენიმე შემთხვევას ვახსენებ, რომელთა უშუალო მოწმეც ვარ. ყველამ ვიცით, როგორი რთული იყო ბინის მიღება თბილისში. პარტკომობის დროს მან ამ მხრივ დიდი დახმარება გაუწია მის ყოფილ ნიჭიერ სტუდენტს და იმ დროს უკვე ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის ახალგაზრდა თანამშრომელს. ეს გოგონა იმერეთიდან იყო ჩამოსული და უმამოდ იზრდებოდა. ამიტომ, ცხადია, საჭირო „თბილისური კავშირები“ არ ჰქონდა და ვერასდროს იოცნებებდა ბინის მიღებაზე ვაკეში, ატენის ქუჩაზე, თსუ-ის თანამშრომლების მაშინ მშენებარე კორპუსში. დღეს ეს ქალბატონი იქ თავისი შვილებითა და შვილიშვილებით ცხოვრობს და ამ წლების განმავლობაში თავის დარგსაც ერთგულად ემსახურა. გაჭირვებულის მიმართ გულისხმიერება რომ არა, ვერ მოხერხდებოდა ახალგაზრდა თანამშრომლის გადაფრენა ოპერაციისთვის ოლიმპიადის გამო ჩაკეტილ მოსკოვში. ვიზის მოსაპოვებლად საჭირო გახდა თსუ-ის რექტორის, ვაჟა ოკუჯავას კავშირების ამოქმედებაც და ადამიანის სიცოცხლე გადარჩა. რისმაგ გორდეზიანს სხვა შემთხვევებშიც არ დაუხვეია უკან მნიშვნელოვან მატერიალურ თუ სხვა ყოფითი ხასიათის შეწევნაზე. რიგ შემთხვევებში ეს დახმარება საკმაოდ მოცულობით თანხებს გულისხმობდა. სამაგალითოა მისი ყურადღება გარდაცვლილი კოლეგებისა და ამხანაგების მიმართ, იქნება

ეს მათ სახელზე გამართული ხსოვნის საღამოები, მათთვის მიძღვნილი მოგონებების კრებულები, თუ მათივე ნაშრომების პუბლიკაცია. საერთოდ, ძალიან ერთგული მეგობარია. თუ ვინმე მეგობრად მიიჩნია, აუცილებლად გაუწევს დახმარებას და ამაზე დროსა და ძალღონეს არ დაიშურებს. დიდ მადლობას გამოხატავდა წლების შემდეგაც იენის უნივერსიტეტის პროფესორი, არქეოლოგი ანგერეტ პლონტკე-ლიუნინგი იმის გამო, რომ ბატონმა რისმაგმა იენის უნივერსიტეტიდან ჩამოსული არქეოლოგების ჯგუფისთვის შეძლო ჩამორთმეული არქეოლოგიური აპარატურის დაბრუნება (ის საბაჟოზე რატომღაც საეჭვოდ მიიჩნიეს). ამისთვის მან ორი დღე დაჰყო აეროპორტში და ეს მით უფრო დასაფასებელი იყო, რომ გერმანელი არქეოლოგები არ იყვნენ ჩვენი ინსტიტუტის სტუმრები. ბატონი რისმაგი მხოლოდ იმიტომ ჩაერთო საქმეში, რომ საბაჟოსთან „ბრძოლა“ სხვებისთვის წარუმატებლად დასრულდა. მისი დიპლომატიური ბუნებისა და მშვიდი მეტყველების წყალობით, სხვა შემთხვევებშიც, ბევრჯერ გამოსულა გამარჯვებული რთული სიტუაციებიდან. როცა რაღაც საკითხთან დაკავშირებით სირთულეები ჩნდება და ამის შესახებ აცნობებ, მისი ჩვეული ფრაზაა: — „არაფერია, გაკეთდება“. განსაკუთრებული მასპინძლობის, სტუმრებისთვის უმუშალო გარემოს შექმნის უნარი აქვს და ამის გამო ერთ დღეში იმეგობრებს ადამიანებს, მათ შორის, ოფიციალურ უცხოელ სტუმრებსაც. ჩემთვის მოსაწონია მისი თავშეკავებულობა, წყენის არ დამახსოვრება, საკუთარი აზრის დაფარვის უნარი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება არა პირადი სიმპათია-ანტიპათიით, არამედ იმის საფუძველზე, თუ რა გამოადგება საქმეს. როგორც ვიცი, ის არ არის მორწმუნე, მაგრამ მისი ზოგიერთი ქმედება მაფიქრებინებს, რომ ეს არა მარტო ბუნებითი სიკეთითა და გონიერებით იყო ნაკარნახევი, არამედ ღვთის მოშიშობითაც.

მოკლედ, როცა წლების განმავლობაში ასეთ გამორჩეულ პიროვნებასთან გაქვს კავშირი, შენს სპეციალობასთან ერთად, ბევრ სასიკეთო და ცხოვრებისათვის სასარგებლო რამეს შეამჩნევ და, თუ უნარი გაქვს, გადაიღებ კიდევ. ერთი

რამ კი ყოველთვის მაკვირვებდა და ამ მხრივ, ვეჭვობ, მისი მიზანძვა მინდოდეს. ბატონი რისმაგის სამუშაო დღე ინსტიტუტში წლების განმავლობაში 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე გრძელდებოდა. სამეცნიერო მუშაობას, ჩვეულებრივ, სამსახურშიც ეწეოდა, კაბინეტის კარი კი ყველასთვის მუდმივად ღია იყო. მასთან ნებისმიერ დროს თავისუფლად შევდიოდით, ვანყვეტივით მუშაობას და ჩვენს პრობლემებზე ვესაუბრებოდით. არ ვიცი, როგორ იტანდა ამდენ გადმორთვა-გადართვას და ამისგან თავს რატომ არ იცავდა და, საერთოდ, რატომ სხვა შემთხვევებშიც „გაცვეთამდე“ არ იცავდა თავს. ალბათ, ეს დიდი ენერჯის მქონე პიროვნების ხვედრია და ბატონი რისმაგიც სწორედ ასეთია.

თინათინ დოლიძე
თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და
ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

როლური მოდელი

ბატონი რისმაგი პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ძალიან გამიმართლა, რომ დედაჩემმა, მანანა ვადაჭკორიამ წლების წინ თავის სპეციალობად კლასიკური ფილოლოგია აირჩია — ამგვარად განსაზღვრა როგორც თავისი, ისე ჩემი მომავალი და ჩემი პროფესიული ცხოვრება განუმეორებელ ანტიკურ სამყაროს და მის ქართულ ლეგენდას — რისმაგ გორდუზიანს დაუკავშირა. ამდენად, ბატონ რისმაგს ვიცნობ მას შემდეგ, რაც დავიბადე, მაგრამ პროფესიულად 1990 წელს დავუკავშირდი, როდესაც კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით დავიწყე სწავლა. შემდეგ იყო ასპირანტურა, მუშაობა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე, სახელმძღვანელოსა და ენციკლოპედიაზე, ბატონი რისმაგის უშუალო ხელმძღვანელობით და მასთან მჭიდრო თანამშრომლობით. წილად მხვდა პატივი, მასთან ერთად მემუშავა რამდენიმე დიდი საერთაშორისო კონფერენციისა და სხვა, შედარებით

ნაკლებ მასშტაბური ღონისძიებების ორგანიზების, ჩვენი ინსტიტუტის განვითარების და ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციის პროცესში. ასევე ძალიან გამიმაართლა, რომ ბატონ რისმაგთან ერთად მომიხდა საქმიანი, პროფესიული ვიზიტები გერმანიასა და საბერძნეთში, დაუვინყარი ექსპედიციები თურქეთში, იტალიასა და საბერძნეთში. მოწმე ვარ იმ საოცარი პატივისცემისა და სიყვარულისა, რომლითაც მას გერმანიის, საბერძნეთის, იტალიის სამეცნიერო წრეებში იღებდნენ. ბატონ რისმაგთან ურთიერთობა იყო და არის უნიკალური სკოლა როგორც პროფესიული, ისე პიროვნული განვითარებისთვის.

მინდა გაგიზიაროთ ის ათი გაკვეთილი, რომელიც ბატონმა რისმაგმა მის მოსწავლეებს მოგვცა და რაც, ჩემი აზრით, კარგად წარმოაჩენს ბატონი რისმაგის კრედოს, მის მრავალმხრივ პიროვნებას, მას, როგორც მეცნიერს, პედაგოგს, ორგანიზატორს, უნივერსიტეტელს და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დამაარსებელს.

ბატონი რისმაგის 10 გაკვეთილი, ანუ მისი 10 ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება (აქვე უნდა ითქვას, რომ ეს „10 გაკვეთილი“ პირველად კოლეგებს შარშან, ბატონი რისმაგის 80 წლის იუბილეზე გავუზიარე):

1. უნივერსიტეტი არის ყველაზე მნიშვნელოვანი დანესებულება საქართველოში. არ უნდა დაკონკრეტება — რომელ უნივერსიტეტს ვგულისხმობთ. უნივერსიტეტი ერთია.
2. არ არის საკმარისი თავად შენ იყო კარგი მეცნიერი და ლექტორი. სხვებსაც უნდა ასწავლო. უნდა შექმნა სკოლა. შენი საქმე შენმა მოსწავლეებმა უნდა გააგრძელონ.
3. ახალგაზრდები ყოველთვის უნდა იდგნენ შენს გვერდით. მათ გარეშე არაფერი გამოვა.
4. — რომელი უცხო ენა იცი? ინგლისური? დაღუპული ხარ! გერმანულის გარეშე არ შეიძლება, თუმცა მარტო გერმანულიც საკმარისი არ არის. ნამდვილმა „კლასიკოსმა“ ახალი ბერძნული და იტალიურიც არ უნდა იცოდეს?

5. რასაც აკეთებ როგორც მეცნიერი, არ უნდა იყოს საინტერესო და მნიშვნელოვანი მხოლოდ ქართველებისთვის. შენი ქვეყნისთვის მუშაობა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. ნამდვილი მეცნიერი უნდა ეკუთვნოდეს მთელ სამყაროს.
6. სამეცნიერო ნაშრომში ძველი ამბავი არ უნდა მოყვე. სამეცნიერო ნაშრომს უნდა ჰქონდეს სიახლე, სტრუქტურა, იდეა, ინტრიგა, რომელიც ჩაგითრევს შენც და სხვასაც.
7. ხელმძღვანელობა „შავი ვოლგა“, „შავი ჯიპი“ და კარგი ცხოვრება არ არის. კარგი ხელმძღვანელი ნიშნავს იმუშაო ყველაზე მეტი და იზრუნო იმ ადამიანების პრობლემების მოგვარებაზე, რომელთაც ხელმძღვანელობ.
8. არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც არ შეიძლება. ყველაზე ცუდ ამბავსაც აუცილებლად რაღაც დადებითი მოაქვს. უბრალოდ კარგად უნდა დააკვირდე და დაინახო.
9. კარგი ჯანმრთელობა საჭიროა, მაგრამ აუცილებელი არ არის. თურმე შეიძლება გქონდეს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი და თან უფრო ხარისხიანად გააკეთო, ვიდრე ნებისმიერმა ახალგაზრდა და სრულიად ჯანმრთელმა ადამიანმა.
10. ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოების თუ ხელოვნების ნიმუშის სიდიადის საიდუმლო ტრადიციისა და ნოვატორობის შერწყმაა, რაც, სხვათაშორის, ბატონი რისმაგის ფენომენის საიდუმლოცაა. ბატონი რისმაგი დაეფუძნა იმ ტრადიციას, კლასიკური ფილოლოგიის იმ სკოლას, რაც დახვდა და შეძლო, რომ ჩვენი ინსტიტუტი ექცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, პოსტ-საბჭოთა სივრცის წამყვან ცენტრად სწორედ თავისი ნოვატორობისა და ინოვაციურობის წყალობით.

* * *

ბატონ რისმაგს აქვს ფუნდამენტური ნაშრომები ანტიკორუპციული ლიტერატურის და ბერძნული ცივილიზაციის ისტორი-

ის, ბერძნული მითოლოგიის, ჰომეროლოგიის, ბერძნული ენათმეცნიერებისა და ეგეისტიკის, მედიტერანულ-ქართველური მიმართებების შესახებ. იმდენად ფართოა ბატონი რისმაგის სამეცნიერო-კვლევითი სფერო და იმდენად მნიშვნელოვანია მისი მიღწევები, რომ ძალიან გამიჭირდება ერთი კონკრეტული შრომის თუ პუბლიკაციის გამოყოფა, თუმცა შევეცდები. მეცნიერი ფასდება არა მხოლოდ იმ გავლენით, რაც მას თავის ქვეყანაში, ლოკალურ აკადემიურ სივრცეზე აქვს, არამედ მისი ნაშრომების საერთაშორისო რეზონანსითაც. ბატონი რისმაგი არის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერებების ლეგენდა, მაგრამ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ის შესულია კლასიკური ფილოლოგიის განვითარების მსოფლიო ისტორიაში თავისი ჰომეროლოგიური ნაშრომებით. წარმოუდგენელია ჰომეროსის შემოქმედების კვლევა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ბატონი რისმაგის ნაშრომების, მისი მიგნებების გაცნობისა და გათვალისწინების გარეშე. ასევე ისტორიული მნიშვნელობისაა ბატონი რისმაგის კვლევები, მისი ლინგვისტურ-კულტუროლოგიური დაკვირვებები მედიტერანულ-ქართველური მიმართებების კუთხით, რაც როგორც ელინისტიკა-ეგეისტიკის, ისე ქართველოლოგიის განვითარების ახალ პერსპექტივებს გვისახავს.

რისმაგ გორდუზიანი — ეს არის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სხვისთვის — საქმისთვის, სტუდენტებისთვის, კოლეგებისთვის... არასოდეს დამავიწყდება ჩემი სტუდენტობის წლები — ბნელი 90-იანები. უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსში გვაქვს ლექციები. ცივ და ბნელ დერეფანში ვდგავართ სტუდენტები, აბუზული და მოწყენილი. ამ დროს ჩაგვიარა ბატონმა რისმაგმა (მაშინ პრორექტორი იყო), უცებ მოტრიალდა, მოგვიახლოვდა და გვკითხა: — „როგორ ხართ? ჩემგან რამე ხომ არ გჭირდებათ? არ მოგერიდოთ. მითხარით...“. ასე გაგვზარდა. მისმა მოსწავლეებმა ვიცით, რომ როცა რამე გვჭირდება, არ უნდა მოგვერიდოს, უნდა ვუთხრათ და ის აუცილებლად დაგვეხმარება.

იმდენად ზრუნავს საქმეზე და სხვებზე, რომ საკუთარი თავი ხშირად ავიწყდება, ჯანმრთელობასაც არ უფრთხ-

ილდება და პერიოდულად გვანერვიულებს, თუმცა თავისი ძალიან ძლიერი ხასიათით და ნებელობით ჯანმრთელობის რთულ პრობლემებსაც ადვილად უმკლავდება, აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობასაც აგრძელებს და ყოველთვის პირველია ინოვაციების თვალსაზრისით.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ბატონი რისმაგი იყო ერთ-ერთი პირველი მისი თაობის აკადემიურ წრეებში, რომელმაც ელფოსტის გამოყენება დაიწყო და რომელიც, ასევე, ერთ-ერთი პირველი გადავიდა ონლაინ სწავლებაზე ჯერ სკაიპით და შემდეგ ზუმით, „კოვიდ 19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინითაც აიცრა და ყველას სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაგალითი მოგვცა. ბატონი რისმაგი არის სტიმული, მოტივაცია და კონკრეტული მაგალითი, როგორ არ უნდა შევუშინდეთ დაბრკოლებებს, რომ ემერიტუსობა შემოქმედებითი და მეცნიერული წარმატებების მხოლოდ დასაწყისია და პანდემია არის კრიზისი, რომელიც შეიძლება შესაძლებლობად იქცეს.

ძალიან მადლიერი, ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ მაქვს უფლება, ბატონი რისმაგის მოსწავლედ ვინოდებოდე და ვუსურვებ ჩემს შვილს, რომ მასაც თავის პროფესიულ საქმიანობაში ჰყავდეს ისეთი როლური მოდელი, როგორიც ბატონი რისმაგია.

*ირინე დარჩია
თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის
ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი*

Magister magistrorum

როდესაც ბატონ რისმაგზე ვფიქრობ, მუდამ მახსენდება ის ფრაზა, რომელიც გრიგოლ ნოსელმა თავისი ძმის, ბასილი დიდის მიმართ წარმოთქვა: „სათნოებით გამოჩენილნი ფასიანი ქალაქდებით რომ ჯილდოვდებოდნენ, როგორც სოლომონი ამბობს, ნივთთა მთელისამყარო მცირე აღმოჩნდებოდა

იმისთვის, რომ შენს სათნოებას შესწორებოდა, რადგან სამადლობელი ღირსი შენისა პატიოსნებისა საფასეთა ღირებულებას აღემატება“ (წიგნიდან „შესაქმისათვის კაცისა“, თარგმანი გვანცა კოპლატაძის). ნახევარი საუკუნის წინ გავიცანი ბატონი რისმაგი და დღემდე თავს მის მადლიერ მონაფედ ვგრძნობ. თავდაპირველად ეს იყო ბედნიერი სტუდენტური წლები, რომლებიც სასწაულებრივად გაგვილამაზეს დედაუნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ლეგენდარულმა პროფესორებმა პანტელეიმონ ბერაძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ირაკლი შენგელიამ, გიზი ფაშალიშვილმა, ალექსანდრე ალექსიძემ და, რა თქმა უნდა, იმ ხანადაც ყველა სიახლის წამომწყებმა, ჩვენგან ასაკით დიდად არგანსხვავებულმა, მაგრამ დღემდე დისტანციურმა რისმაგ გორდუზიანმა. მას შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა, თავად ისტორიულმა კათედრამაც კი იცვალა სახე და ახლა ასე იწოდება: „კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი“, რომლის დაარსების იდეაც ბატონ რისმაგს დიდი ხნის წინ, წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ბაღში, ერთ სახელოვან, სტუმრად მოწვეულ მეცნიერთან ერთად სეირნობისას გაუჩნდა. მათ საუბარს მეც ვესწრებოდი. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ბატონმა რისმაგმა შეძლო სამოქალაქო ომგადახდილ თბილისში აღესრულებინა წინანდლის მშვენიერ ბაღში ნაოცნებარი: 1997 წლის მარტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ბაზაზე შეიქმნა „კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი“ რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მონადინებით, რაც ბრძანებით გაფორმდა კიდევ. მისი ორგანიზების საქმეში უნივერსიტეტს დახმარება გაუწია საბერძნეთის საელჩომ საქართველოში, საბერძნეთის კულტურის სამინისტრომ, ბერძნული კულტურის ფონდმა, ალექსანდროს ონასისის საქველმოქმედო ფონდმა, ი. ფ. კოსტოპულოსის ფონდმა. ინსტიტუტი ეწევა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო-კვლევით, მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას, 1999 წელს დაფუძნდა ინსტიტუტის განვითარების ფონდი, რომელიც მიზნად ისახავს თანხების

მოზიდვას ინსტიტუტის მხარდაჭერისა და სტიმულირებისათვის. ინსტიტუტს მჭიდრო კონტაქტები აქვს საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრთან.

ინსტიტუტის დაარსებას კი წინ მრავალნაფიქრი წლები უძღოდა... ხოლო ეს წლები სავსე იყო ახალგაზრდული ენერგიით, მეცნიერული მიგნებებით, წარმატებებით, გამუდმებული ძიებით და, რაც მთავარია, უანგარო ზრუნვით იმ ადამიანებზე, რომლებიც ბატონი რისმაგის გარშემო იკრიბებოდნენ. თავად ვარ მომსწრე იმისა, თუ როგორ აღიარებდნენ მას ლიდერად იმხანად საქართველოში არსებული სამეცნიერო სკოლების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები. სხვაგვარად არც შეიძლებოდა: დიდი ინტელექტის, შინაგანი კეთილშობილებისა და საოცარი მაორგანიზებელი ძალის მქონე ბატონი რისმაგი ყველა კონფერენციისა თუ სიმპოზიუმის უცვლელი მონაწილე იყო. ახალგაზრდული წლებიდან მოყოლებული იგი თითქოს გულმოდგინედ იცავს მარკუს ავრელიუსის „ფიქრებში“ ამოკითხულ შთაგონებას: „იზრუნე იმისთვის, რომ ის, რასაც დღეს აკეთებ, აკეთო ისე, როგორც შეჭფერის რომაელს და მამრს — ჭეშმარიტი სიდინჯით და სიღარბისლით, კაცთა მიმართ სიყვარულით, სრული თავისუფლებითა და სიმართლით; ხოლო განირიდე ყველა სხვა საზრუნავი. შენ შეძლებ ამას, თუ ყოველ საქმეს აღასრულებ, როგორც უკანასკნელს შენს სიცოცხლეში: ყოველგვარი სიმლეგის, აზრის საუფლოს წინაშე ვნებისეული ძრწოლის, პირმოთნეობის, თავმოყვარეობისა და ბედის მომდურაობისაგან თავდახსნილი და თავისუფალი“ (II, 5. თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის).

დიახ, ბატონი რისმაგი ყოველ საქმეს, რასაც კი მისი „აზრის საუფლოში დაუვანია“, აღასრულებდა, როგორც უკანასკნელს მის სიცოცხლეში — თავდავინწყებით, ერთგულებითა და „ბედის მომდურაობისაგან თავდახსნილი და თავისუფალი“. სწორედ აზრის ეს თავისუფლება განაპირობებს მის შემართებას, იმას, რომ დღესაც იგი თავისი ინტელექტით ბევრ ახალგაზრდაზე უფრო მეტად ახალგაზრდაა, რადგანაც ერთგულია თავისი სახელოვანი ოჯახისა, რადგანაც უყვარს თავ-

ისი სამშობლო, რომლის დატოვებაც არასოდეს უფიქრია, უყვარს ის საქმე, რომელსაც რუდუნებით ემსახურება, უყვარს თავისი მოწაფეები, რომლებთან ურთიერთობაც მას ახალი ძალითა და ენერგიით ავსებს.

ბატონ რისმავს ეთაყვანება ყველა, ვისაც კი მასთან უსაუბრია. ეს, ალბათ, განსაკუთრებული ნიჭია, რომელსაც სხვის ჰმატებს მისი კეთილშობილება და პროფესიონალიზმი. მრავალი კონფერენციის მოთავეს მრავალი სახელოვანი სტუმარი მიუღია უნივერსიტეტის კედლებში. თანამემამულე თუ უცხოელი მეცნიერები მის გარშემო იკრიბებიან, მასთან ერთად ბჭობენ სამეცნიერო თუ მოქალაქეობრივი პრინციპების პრობლემატურ საკითხებზე.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე დაიცვა ბატონმა რისმავმა დისერტაცია („ხომალდთა კატალოგი „ილიადაში“ 1967 წ.), რომელიც უფრო სრულყოფილი ფორმით 1970 წელს გამოიცა სახელწოდებით „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“. მასში ახალგაზრდა ავტორმა თავისი კვლევის მიმართულებად ფილოლოგიური, ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოლინგვისტური ხასიათის ის პრობლემები დაისახა, რომლებიც ჰომეროსის „ილიადას“ უკავშირდებოდა. წიგნში განხილული იყო „ილიადის“ და მასშივე წარმოდგენილი „ხომალდთა კატალოგის“ ურთიერთმიმართების საკითხები, ხაზოვანთან დაკავშირებული პრობლემები, ძველადმოსავლური დოკუმენტები, ეგეოსური მოსახლეობისა და ეგეოსურ-ქართველური ენობრივი პარალელები.

1974 წელს ბატონი რისმავი იცავს სადოქტორო დისერტაციას ჰომეროსის ეპოსის ფორმირებისა და ერთიანობის საკითხზე, რომელიც 1975 წელს გამოდის სახელწოდებით „Проблемы гомеровского эпоса“. წიგნში ენციკლოპედი-

ური სრულყოფილებით არის განხილული ჰომეროსის პოემათა ერთიანობის საკითხი, მათში წარმოდგენილ ცნობათა მიმართებები გვიანბრინჯაოს ხანის ეგვიდის ქვეყნებთან. 70-იანი წლები ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობაში სტრუქტურალისტური ხასიათის ძიებებით აღინიშნება. შესაბამისად, ევროპულ მეცნიერებათა ავანგარდში მდგომმა ახალგაზრდა მკვლევარმა სცადა ამ მიმდინარეობის დოქტრინათა გათვალისწინებით გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა ჰომეროსის პოემათა ერთიანობის კვლევაში. წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჰომეროლოგიური პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერებში. საკმარისია დავასახელო ისეთი ავტორიტეტი, როგორც არის ა. ფ. ლოსევი, რომელმაც ამ ნაშრომის ნაკითხვის შემდეგ აღნიშნა: „დღემდე საბჭოთა ჰომეროლოგიაში ძირითად შრომად ითვლებოდა ჩემი წიგნი, ამიერიდან უნდა ჩაითვალოს რისმაგ გორდეზიანის ნაშრომი“.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის საწყის ხანაშივე დაინტერესდა ბატონი რისმაგი მედიტერანულ-კავკასიური კავშირების კვლევით. როგორც ცნობილია, ამ პრობლემ-ატიკას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ჩიქობავა. მათი აზრით, ქართველური, მეტადრე კი კავკასიური მასალის გათვალისწინება აუცილებელი უნდა ყოფილიყო ხმელთაშუა ზღვის ისეთ ცივილიზაციათა შესწავლისათვის, რომელნიც მრავალ საიდუმლოს ინახავენ. და აი, 70-იან წლებში ბატონმა რისმაგმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა ქართველურ-ეგეოსურ და ქართველურ-ეტრუსკულ ენობრივ პარალელებზე. 1975 წელს გამოდის ერთ-ერთი საეტაპო წიგნი ამ თვალსაზრისით (P. V. Гордезиани, Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений, Тбилиси, 1975), სადაც მოცემულია ცდა ამ ენობრივი პარალელების დაკავშირებაზე ხალხთა მიგრაციების სხვადასხვა ტალღასთან ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში, განსაკუთრებით კი კავკასიურ ტომთა მძლავრ გადასახლებებთან ეგვიდასა და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში ადრე ბრინჯაოს ხანის დასაწყისში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ევროპულ მეცნიერებაში, რაც აისახა კიდევ წინაბერძნული ენების ცნობილი მკვლევრის ე. ფურნეს ნაშრომებში. გამოითქვა მოსაზრებები ეტრუსკული ზმნის სტრუქტურის ქართველურთან მიმართებასა (ა. მ. ჯ. გარბინი) და ქართველურისა და ეტრუსკულის გენეტიკურ ნათესაობაზეც კი (ე. შტრანდი).

1980 წელს ამავე პრობლემას მიეძღვნა ბატონი რისმავის წიგნი სახელწოდებით „ეტრუსკული და ქართველური“, სადაც შეპირისპირებულია ეტრუსკული და ქართველური ენობრივი მასალა, წარმოდგენილია ეტრუსკულში ქართველური ელემენტების გამოყოფისა და მათთვის ისტორიულ-არქეოლოგიური საფუძვლის მონახვის ცდა. ამ შემთხვევაში ავტორი გვთავაზობს ერთობ მნიშვნელოვან და მოგვიანებით უკვე მრავალი მკვლევრის მიერ გათვალისწინებულ დასკვნას: „კვლევის თანამედროვე დონეზე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ქართველური კომპონენტი ერთ-ერთი არსებითი უნდა ყოფილიყო ძვ.წ.ა. II ათასწლეულის ეგეოსური, დასავლეთმედიტერანული და ცალკეული კულტურისა და ენის ჩამოყალიბების პროცესში, რომ კავკასიურ-მედიტერანული მიმართებების საკმაოდ დიდი ნაწილი სავარაუდო ოდინდელი ნათესაობის დონემდე კი არ აიყვანება, არამედ ძვ.წ.ა. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე დანყებული კავკასიური მიგრაციებით უნდა აიხსნას“ (გვ. 64).

1985 წელს ბატონი რისმავი აქვეყნებს მნიშვნელოვან ნაშრომს სახელწოდებით „წინაბერძნული და ქართველური“, სადაც განხილულია ის ენობრივი პარალელები, რომლებიც ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ხალხთა მიგრაციების სხვადასხვა ტალღასთან იყო დაკავშირებული. წინაბერძნულში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ე.წ. ქართველურ კომპონენტზე: ქართველური სტრუქტურის იმ ტერმინებზე, ტოპონიმებსა და აფიქსებზე, რაც ეგეიდაში ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ქართველურ ტომთა რალაც ნაწილის გადასახლების შედეგი უნდა ყოფილიყო. ამ უაღრესად შრომატევადი წიგნის ბოლოსიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს: „ჩვენ ღრმად გვწამს,

რომ ამიერკავკასია ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში ორგანულად იყო დაკავშირებული იმ ეთნიკურსა და კულტურულ პროცესებთან, რომლებიც ძველ სამყაროში მიმდინარეობდა. ეს კავშირი არ ყოფილა ცალმხრივი, ანუ ამიერკავკასია ყოველთვის პერიფერიულ ძირითად კულტურულ იმპულსთა მიმღებ რეგიონს როდი წარმოადგენდა. პირიქით, არც თუ იშვიათად, თვით იგი იყო ამ იმპულსთა წყარო, ხმელთაშუა ზღვის ცალკეულ რეგიონებში ახალ კულტურათა თუ ტომთა ფორმირების მიზეზი“ (გვ. 170). წიგნს თან ერთვის საკმაოდ ვრცელი რეზიუმეები რუსულსა და გერმანულ ენებზე. მას მრავალი მეცნიერი გაეცნო, რასაც შედეგად მოჰყვა მხარდამჭერი გამოხმაურებები. სახელოვანი ენათმეცნიერი ე. ფურნეე წერდა: „ეს გამოკვლევა უაღრესად საინტერესო ნაშრომია, რომელიც ჩემი წიგნისაგან განსხვავებით, წინაისტორიულ-არქეოლოგიური არგუმენტებით განიხილავს ლექსიკურ მიმართებებს. ისევე როგორც მე, რისმაც გორდეზიანიც განასხვავებს ჩვენთვის საინტერესო არეალში — სამხრეთ კავკასიასა და ეგვიპტეში — ორ ენობრივ შრეს“ (პალეოქართველურ-პელასგური გავლენები ინდოგერმანულ ენებში, ეიდენ 1986, გვ. 220). ე. ფურნეეს აღიარებით, ქართველი მკვლევრის ნაშრომები წინაბერძნულ-ქართველური ენობრივი პარალელების სფეროში ერთგვარ სტიმულად იქცა.



2007 წელს გამოდის კიდევ ერთი საეტაპო ნაშრომი „მედიტერანულ-ქართველური მიმართებები“ 4 წიგნად. პირველი წიგნი სახელწოდებით „სანყისები“ ეთმობა ქართველურის შუმერულთან, ხათურთან, საერთო ინდოევროპულთან მიმართებას, მეორე წიგნში განხილულია ქართველურის წინაბერძნულთან და მინოსურთან მიმართების საკითხები, მესამე წიგნი ქართველურის ეტრუსკულთან კავშირს ეძღვნება, ხოლო მეოთხე წიგნში წარმოდგენილია საძიებლები და დამატებანი.

უნდა ითქვას, რომ ეს ოთხტომეული წარმოდგენს ფუნდამენტურ გამოკვლევას, რომელიც ეფუძნება უკანასკნელ წლებში დაგროვილ დიდძალ ახალ მასალას, რამეთუ საკმაოდ მნიშვნელოვანი სიახლეებით გამდიდრდა არა მხოლოდ ეგეისტიკა და ეტრუსკოლოგია, არამედ ქართველოლოგიაც. შეიქმნა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონები (ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის, რომლის ბოლო, შესწორებული რედაქცია 2000 წელს გამოქვეყნდა); ცალკეული ქართველური ენებისა და დიალექტების ლექსიკონები; გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი ქართველური ლექსიკოგრაფიისა და, ზოგადად, ენათმეცნიერების სფეროში. ყოველივე ამისა და მრავალი სხვა უახლესი ევროპული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით დაწერილი ეს მონოგრაფია, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, ენციკლოპედიურ ხასიათსაც ატარებს, უკვე იქცა ამ საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერთა სამაგიდო წიგნად.

* * *

ბატონი რისმავის „აზრთა საუფლო“ მხოლოდ მედიტერანულ-ქართველური მიმართებებით არ შემოფარგლულა. კერძოდ, მან ფართო მკითხველისათვის ჩაიფიქრა ნაშრომთა სერია განმაზოგადებელი სახელწოდებით: „ანტიკური სამყაროს კულტურები“.

1988 წელს გამოიცა ამ სერიის პირველი წიგნის პირველი ნაკვეთი „ბერძნული ცივილიზაცია“. მასში წარმოდგენილია

ელადური კულტურის ისტორია გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე. 1997 წელს მკითხველმა მიიღო პირველი წიგნის მეორე ნაკვეთი, რომელიც ერთიანად ეთმობოდა კლასიკურ ეპოქას.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნული კულტურის შესახებ პოპულარული წიგნის დაწერა ერთობ რთულია, რამეთუ არსებობს ზღვა მასალა, რომლის გაუთვალისწინებლობაც ჭეშმარიტი პროფესიონალისთვის შეუძლებელია. ბატონმა რისმაგმა მისთვის ჩვეული მეცნიერული და ბელეტრისტული ალლოთი შექმნა უაღრესად საინტერესო ნაშრომი, რომელსაც დიდი გატაცებით ეცნობიან პროფესიონალებიცა და ზოგადი განათლების მიღების მსურველები. ამ წიგნებში ელადური კულტურის ისტორია განხილულია სინთეზურად: ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური, რელიგიური და სხვა პროცესების ფორმირებისა და განვითარების ფონზე. უახლესი არქეოლოგიური გათხრებისა და გამოკვლევების გავალისწინებით მოთხრობილია ბერძნული ცივილიზაციის უმთავრესი სიმაღლეებისა და წარმომადგენლების (სტრატეგოსების, მწერლების, მოქანდაკეების, მხატვრებისა და ა.შ.) ფასდაუდებელ მნიშვნელობასა და ღვაწლზე.

ქართველი მკითხველი მოუთმენლად ელოდა „ბერძნული ცივილიზაციის“ დანარჩენი წიგნების გამოქვეყნებას. წიგნი ბესტსელერად იქცა, ანტიკურობით დაინტერესებული საზოგადოება სანთლით ეძებდა მას. გაივლის კიდევ მრავალი წელი და მხოლოდ 2019 წელს განხორციელდება ამ წიგნის ორთავე ნაკვეთის მეორე, შესწორებული და ფუნდამენტურად გავრცობილი, მდიდრულად ილუსტრირებული გამოცემა, რომელსაც სულ მალე მოჰყვება დიდი ხნის წინ შეპირებული მესამე ნაკვეთი: „ელინისტური ეპოქიდან გვიან ანტიკურობამდე“. მასში ჭეშმარიტი ბელეტრისტის ალლოთი არის დახატული ელინისტური ეპოქის ისტორიული პანორამა; ავტორი გატაცებით საუბრობს ამ ეპოქის მრავალსახოვან კულტურაზე, აღზრდა-განათლების ტრადიციაზე, მეცნიერებასა თუ ლიტერატურაზე, ისტორიოგრაფიასა თუ მჭევრმეტყველებაზე, იმ სიახლეებზე, რაც ამ ეპოქის მესვეურებმა შესთავაზეს კაცობრიობას.

და აი, ახლა წიგნის თაროებს შეემატა კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფია დამაინტრიგებელი სახელწოდებით: „ეტრუსკები ანტიკური სამყაროს ტრიტაგონისტები“. იგი ეძღვნება ანტიკური სამყაროს მესამე აქტორს, ეტრუსკებს, რომელთაც ბერძნებთან და რომაელებთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვით ანტიკური სამყაროს ფორმირებაში. ეს მონოგრაფია „ბერძნული ცივილიზაციის“ სამტომეულის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. მასში განხილულია ეტრუსკული ცივილიზაციის ყველა მნიშვნელოვანი სფერო. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეტრუსკოლოგიაში ესოდენ პანორამული ნაშრომი პირველად ქვეყნდება. იგი მდიდრულად არის ილუსტრირებული ბოლო პერიოდის აღმოჩენათა გათვალისწინებით. ქართული მეცნიერული აზრისთვის ეს გამოცემა განსაკუთრებულია, რამეთუ მასში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ეტრუსკული ენისა და ეტრუსკთა წარმომავლობის კონტექსტში მოაზრებულ ქართველურ თეორიას, რომელსაც რისმაც გორდუხიანის რამდენიმე ადრე დასახელებული ნაშრომი მიეძღვნა. მონოგრაფიას ღირსებას ჰმატებს ის, რომ ბატონ რისმაცს ჰყავს თანაავტორი, მისივე მოწაფე, ეკატერინე კობახიძე, რომელსაც ეტრუსკოლოგობა წლების წინ თავად განუსაზღვრა.

ამასთან დაკავშირებით მსურს ყურადღება გავამახვილო ბატონი რისმაცის ხასიათის ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებაზე: მხოლოდ დიდბუნებოვანი ადამიანებისათვის დამახასიათებელი კეთილშობილებით უფრთხილდება იგი ახალგაზრდებთან ურთიერთობას, საოცარი გულმოდგინებით ზრუნავს მათ პროფესიონალიზმსა და ავტორიტეტზე. მისი სახლის კარი მუდამ ღიაა ყოველი სტუდენტისათვის, ვისაც მისი მდიდარი პირადი ბიბლიოთეკით სარგებლობის სურვილი აქვს, ვისაც მისი დახმარება სჭირდება. მნიშვნელოვანია მისი წვლილი ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა მისმა მოწაფემ დაიცვა დისერტაცია. დღეს ისინი წარმატებით მოღვაწეობენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში. და კიდევ ერთი: ბატონმა რისმაცმა თავის

მონაფეებთან ერთად რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა: „ძველი ბერძნული და თანამედროვე ბერძნული“ სოფიო შამანიდისა და ირინე დარჩიას თანაავტორობით (2001 წ.); „კლასიკური ფილოლოგიის შესავალი“ მაია დანელიას თანაავტორობით (2004 წ.) და სხვა. იგი დიდი გულისხმიერებით უწყობს ხელს ყოველი იმ ახალი იდეის განხორციელებას, რასაც მონაფეები შესთავაზებენ. ასე გამოიცა მისი რედაქციით სახელმძღვანელო ანტიკურ ლიტერატურაში (2005 წ.), რომელსაც რამდენიმე თანაავტორი ჰყავს.

* * *

მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ერი ცდილობს საგანგებო ყურადღება დაუთმოს ანტიკური კულტურის შესწავლას. განათლებულ საზოგადოებებში მოზარდები ადრეული ასაკიდან ეუფლებიან კლასიკური ენებისა და ლიტერატურის საფუძვლებს, მითოლოგიას. ძველი ბერძნული ლიტერატურის არაერთი სახელმძღვანელო გამოდის მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. ქართულად პირველ სახელმძღვანელოთა გამოცემა გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელებს უკავშირდება. დრომ მოითხოვა განახლებული სახელმძღვანელოს გამოცემა. და აი, 2002 წელს ბატონმა რისმაგმა უახლესი ლიტერატურის გათვალისწინებით ქართველ მკითხველს კიდევ ერთი საინტერესო და მაღალი პროფესიონალიზმით დაწერილი წიგნი აჩუქა — „ბერძნული ლიტერატურა“. ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც საკუთარ თავს თანამედროვე ევროპული კულტურის ინტერირში წარმოიდგენს, განსაკუთრებული ინტერესით მიიღო ეს წიგნი. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ლიტერატურის ისტორიას სამ უმთავრეს პერიოდად ყოფენ, ესენია: ელინური, ელინისტური და რომაული ბატონობის ეპოქის ლიტერატურები. „ბერძნული ლიტერატურის“ ეს გამოცემა მოიცავდა ელინური პერიოდის მხოლოდ ეპოსს, ლირიკასა და დრამას. შესაბამისად, მისი სახელწოდებაც ასე იკითხებოდა: „ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა“. ამ პერი-

ოდში ძველბერძნულმა ლიტერატურამ თავისი აღმავლობის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ნიგნის ავტორი ვრცლად და სიღრმისეულად საუბრობს ამ აღმავლობის საფუძვლებზე, ლიტერატურულ ტრადიციებსა და ბერძენ შემოქმედთა ნოვატორობებზე. უნდა აღინიშნოს, რომ „ბერძნული ლიტერატურის“ ამ პირველი გამოცემის მთელი ტირაჟი უმაღლეს გაქრა დახლებიდან. მას დიდი რუდუნებით დაეძებდა სტუდენტი-ახალგაზრდობა და აი, 2009 წელს ბატონმა რისმავმა გაიმეორა ეს გამოცემა, რომელსაც კიდევ სხვა, რამდენიმე გამოცემა მოჰყვა. 2019 წელს კი ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო ამ ნიგნის მეხუთე გადამუშავებული და გავრცობილი გამოცემა გამდიდრებული უახლესი გამოკვლევების გავალისწინებით. ავტორმა წინამორბედ გამოცემებს დაამატა სამი ახალი თავი: ისტორიოგრაფია, ორატორული ხელოვნება და ფილოსოფია, რითაც დაასრულა ელინური ეპოქის ლიტერატურის სრული განხილვა. შესაბამისად, ნაწილობრივ შეიცვალა ნიგნის სახელწოდებაც და მას ეწოდა „ელინური ეპოქის პოეზია და პროზა“. ნიგნის ავტორის უდიდესი ღირსება არის ის, და ამაში მისი ყოველი კოლეგა დამეთანხმება, რომ იგი გამუდმებით იღვწის უახლეს ნაშრომთა მოსაპოვებლად და ფლობს იმ ცოდნას, რაც დომინირებს კლასიკურ ფილოლოგიაში კვლევის თანამედროვე ეტაპზე. მოარულ გამოთქმად დარჩა ჩვენს წრეში ერთი ენამახვილი მეგობრის ნათქვამი: — „რისმავმა ისიც კი იცის, რა ეწერება ჯერ არდაბეჭდილ ნიგნებში“. ანტიკური სამყაროს სიღრმისეული ცოდნით, მისი დიდებულების გააზრებისა და შეგრძნების ნიშნით აღბეჭდილი ამ ვრცელი ნიგნის უდიდეს ღირსებად, სხვა ღირსებათა შორის, მივიჩნევ იმას, რომ იგი ფიქრის სურვილს აღძრავს. მისი მკითხველი იმდენად ღრმა და მრავალმნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს ძველ სამყაროში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე, რომ თავადაც ექცევა კითხვით მიღებული განცდების ტყვეობაში, რაც თავისთავად კათარზისის ტოლფასია. კიდევ მრავალი წელი ჩაივლის, ხოლო ეს გამოცემა დიდხანს დარჩება ქართული განათლებული საზოგადოების სამაგიდო ნიგნად („*abent sua fata libelli*“).

* * *

ბატონი რისმაგი 30 წიგნისა და 150-ზე მეტი სტატიის ავტორია. რა თქმა უნდა, ყოველ მათგანზე საუბარი ერთი წერილის სამანებს სცდება. შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა, ჩემი აზრით, საეტაპო ნაშრომებზე. მათგან კი განსაკუთრებით უნდა გამოვყო მონოგრაფია „ინნოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში“ (2016).

ანტიკური სიტყვაკაზმული მწერლობის იმ ფენომენტა შორის, რომელიც მის მარადიულობას განაპირობებენ, არის უმთავრესი — სიახლეთა ძიება, სხვა ცივილიზაციათა გამოცდილებასთან ზიარება. ლიტერატურის ისტორიოგრაფოსები ცალკეულ ავტორთა შემოქმედების განხილვისას, რა თქმა უნდა, მსჯელობენ ამ პრობლემებზე, მაგრამ მათი განხილვა მთელი ანტიკური ლიტერატურის გათვალისწინებით პირველად წარმოდგენილია ბატონი რისმაგის ზემოთ დასახელებულ წიგნში. სიახლეთა ძიებისა და მისი რეალიზაციის პრობლემას ავტორი სისტემური კვლევის ხასიათს აძლევს, განიხილავს ლიტერატურული პროცესის ისეთ ასპექტებს, როგორც არის ტრადიციულისა და ახლის თანაარსებობის ამოუწურავი პარადიგმა, ძველისა და ახლის დაპირისპირების ტენდენციები, სხვადასხვა ეპოქების ინნოვაციები და ექსპერიმენტები, ლიტერატურული თამაშები, მარგინალიზმი, ავანგარდიზმი და სხვა. ავტორის აზრით, ანტიკური ლიტერატურის შემოქმედს მუდმივმა ლტოლვამ სიახლეთა ძიებისაკენ შედეგები შეაქმნევინა. სწორედ შემოქმედებითმა ინნოვაციებმა შეასრულეს მთავარი როლი პოეტური ხელოვნების სრულყოფისა და ადამიანური არსებობის საზღვრის ფორმირების პროცესში, რამაც ანტიკური ლიტერატურის მუდმივობა განაპირობა.

პრობლემა უაღრესად საინტერესო და, რაც მთავარია, თანამედროვეა. ანტიკურობის შესწავლას მისი განვითარების ინნოვაციური თვალთახედვით რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე შემოქმედებითი პროცესების გასაგებად, ამაზეც საგულდაგულოდ მსჯელობს ბატონი

რისმაგი. მისი აზრით, ანტიკური ეპოქის ლიტერატურული ექსპერიმენტები საფუძვლად უდევს იმ სიახლეებს, რომლებსაც გვთავაზობენ თანამედროვე კულტუროლოგიური სკოლები და მიმდინარეობები. ეს აიხსნება იმით, რომ დასავლური მხატვრული აზრი ეფუძნება იმ ადამიანურ ფასეულობათა შემოქმედებით წარმოსახვას, რომელსაც ანტიკურობა სთავაზობს. რისმაგ გორდეზიანის ეს მონოგრაფია გამოჩეულია სხვა კვლევათაგან ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტით: როგორც ცნობილია, კლასიკური ტრადიციის როლზე მისი შემდგომი ეპოქების კულტურაში მრავალი წიგნი და სტატია დაწერილა და იწერება. ამ თემას თითქმის ყოველწლიურად ეძღვნება საერთაშორისო კონფერენციები. მათგან განსხვავებით, მონოგრაფიაში ყურადღება გამახვილებულია ანტიკური ლიტერატურისათვის ნიშანდობლივ იმ ტენდენციებზე, რაც თანამედროვე ლიტერატურული აზროვნების კუთვნილებად არის მიჩნეული. შემოიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ რისმაგ გორდეზიანის ეს ნაშრომი ფუნდამენტური კვლევაა ანტიკური ლიტერატურის მრავალფეროვნებისა და მუდმივობის საფუძველთა ძიების გზაზე.

* * *

ინსტიტუტში ბატონი რისმაგის უშუალო ხელშეწყობით მრავალი პროექტი განხორციელდა, მათ შორის, მრავალგზის გამოცემული „ბერძნული მითების სამყარო“ (10 წიგნად). ამ პროექტის 3 წიგნის ავტორი თავად ბატონი რისმაგია. პირველი წიგნი „ქაოსიდან კოსმოსამდე“ ძველი ბერძნული მითოსის საწყის ეტაპებს ეხება; ბატონი რისმაგის ავტორობით დაწერილი მეორე წიგნი არგონავტების მოგზაურობაზე მოგვითხრობს და მასში სრულყოფილად არის წარმოდგენილი „არგონავტიკის“ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი გასცდა იმ სამანებს, რასაც სერია ისახავდა მიზნად (იგი განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის და საქართველოს განათლების სამინისტროს

მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ საჯარო სკოლებისათვის) და აია-კოლხეთთან დაკავშირებული პრობლემების თითქმის სრული ანალიზი და საკუთარი დაკვირვებები შესთავაზა დაინტერესებულ მკითხველს (აქ უნდა აღვნიშნო, რომ არგონავტიკის პრობლემებით დაინტერესება ბატონმა რისმაგმა ახალგაზრდული წლებიდან დაიწყო, რასაც მიედღვნა კიდევ მის მიერ სხვადასხვა სამამულო თუ უცხოურ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები). რაც შეეხება სერიის ბოლო, დამავირგვინებელ წიგნს, რომლის სათაურია — „მითების სიბრძნე“ და რომლის ავტორობაც მხოლოდ ბატონ რისმაგს ხელენიფებოდა, პოპულარული ენით მოგვითხრობს მითის მეცნიერული შესწავლის ისტორიას; გვამცნობს ამ საკითხთან დაკავშირებულ უმთავრეს თანამედროვე თეორიებს, ხმელთაშუაზღვისპირეთის მითოსის სამყაროს; იგი ვრცლად მსჯელობს მითის, კულტისა და რელიგიის საკითხებზე, ბერძნული მითოსის წვლილზე მსოფლიო კულტურის განვითარებაში. თუმცა, როგორც თავადაც აღნიშნავს, „ავტორი, მეტწილად, ცდილობს უკვე გამოთქმული მოსაზრებებისა და თეორიების მიმოხილვას და არა საკუთარი თეორიებისა თუ ვარაუდების წამოყენებას. ამიტომ მკითხველს ვთხოვ, წიგნი განიხილოს არა ავტორის ორიგინალურ ნაშრომად, არამედ მხოლოდ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების პოპულარულად სისტემატიზაციისა და გადმოცემის ცდად“ (გვ. 7). ამ კეთილშობილური რიდით ნათქვამს მხოლოდ იმას დავსძენდი, რომ იდუმალებით მოცული მითოსის პრობლემებზე მსჯელობისას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების სისტემატიზაცია აუცილებელია დაინტერესებული მკითხველისათვის. ეს აუცილებლობა კი „მითების სიბრძნეს“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც ეპოქალურს უწოდებს ბატონი რისმაგი და რომლითაც განსაკუთრებულად ამაყობს, არის ენციკლოპედია სახელწოდებით **Caucasus Antiquus** („ანტიკური კავკასია“). კლასიკური ფილოლოგიისა და კავკასიოლოგიის ისტორიაში პირველად ხორციელდება ისეთი ენციკლოპედიის გამოცემა, რომელშიც სრულად იქნება თავ-

მოყრილი ინფორმაცია ანტიკური ეპოქის კავკასიის შესახებ. პროექტზე მუშაობა დასასრულს უახლოვდება და სულ მალე ქართველ მკითხველს საშუალება ექნება მოიძიოს ძველალმოსავლურსა და ანტიკურ წყაროებში დადასტურებული და კავკასიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტერმინი ორიგინალის კონტექსტითა და შესაბამისი ქართულენოვანი თარგმანით. პროექტზე მეცნიერ-სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობს, ბუნებრივია, რისმაგ გორდეზიანის ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით. მასვე ეკუთვნის მრავალრიცხოვან და უნიშვნელოვანეს სტატიათა ავტორობა.

ბატონი რისმაგის რედაქტორობითა და უშუალო მონაწილეობით გამოიცა მრავალი სახელმძღვანელო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია“ (3 ტომად), სადაც თავმოყრილია ძველბერძნულ და ლათინურენოვან ავტორობთა საუკეთესო ქართული თარგმანები.

* * *

თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით ბატონი რისმაგი ღირსეულად აგრძელებს იმ გზას, რომელიც ესოდენი რუდუნებითა და საქმისადმი თავდადებით გაკაფეს სახელოვანმა კორიფეებმა: გრ. წერეთელმა, ს. ყაუხჩიშვილმა, პ. ბერაძემ, აკ. ურუშაძემ. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ რ. მიმინოშვილის, ირ. შენგელიასა და ალ. ალექსიძის სახელები. ჩვენ, ახალგაზრდა თაობას, ბატონი რისმაგი, როგორც ჭეშმარიტი პედაგოგი, მათი ღვაწლის დაფასებას შთაგვაგონებდა. სწორედ მათი ხსოვნის პატივსადებად ჩვენს ინსტიტუტში ყოველწლიურად ტარდება სესიები და სიმპოზიუმები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბატონი რისმაგი საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების უცვლელი ორგანიზატორია. ხოლო „იდეების გენერატორი“ მას ჯერ კიდევ მაშინ შეარქვეს სიყვარულით, როდესაც 1972 წელს განიზრახა და აღასრულა კიდევ დიდებული საქმე: მისი იდეითა და ძალისხმევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

დაარსდა რედაქტორ-გამომცემელთა გაერთიანება სახელწოდებით — „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ხარვეზის შევსებას, რაც არსებობდა საქართველოში ანტიკური ხანის ძეგლთა ქართულ ენაზე თარგმანთან მიმართებით. ამ „ბიბლიოთეკამ“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაციამდე (ანუ 2007 წლამდე) იარსება და მისი სერიით მრავალი დიდებული ძეგლის ქართული თარგმანი მიიღო ქართველმა მკითხველმა.

ყოველივე ეს კი შესაძლებელი გახდა ბატონი რისმაგის კიდევ ერთი იდეის განხორციელებით: 1996 წელს, მაშინ, როდესაც ჩვენი ინსტიტუტი ჯერ არ არსებობდა, ამუშავდა საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“. იგი დღემდე არსებობს და წარმატებით უძღვება საქმეს, რომელიც მიზნად დაისახა, კერძოდ, ემსახურება საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარებას. მისი ეგიდით უკვე მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, თარგმანი, ლექსიკონი თუ სახელმძღვანელო გამოიცა.

ინსტიტუტში ბატონი რისმაგის რედაქტორობით გამოდის საერთაშორისო ჟურნალი სახელწოდებით „Phasis“, სადაც თავიანთ სტატიებს აქვეყნებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები.

ასე რომ, ინსტიტუტის თანამშრომლებს ყოველნაირი პირობა გვაქვს შექმნილი მეცნიერული, პედაგოგიური და მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის. სწორედ ამიტომ შეარქვეს ჩვენს სამფლობელოს მომიჯნავე მეცნიერებათა კოლეგებმა, რომლებიც ხშირად გვსტუმრობენ, „ოახისი“. დიახ, ასეთ განცდას მრავალი რამ იწვევს ჩვენს ინსტიტუტში, განსაკუთრებით კი სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელზეც ბატონი რისმაგი ხშირად აღნიშნავს ხოლმე, რომ ეს (ბიბლიოთეკა) მისი სიამაყეა. ბიბლიოთეკის თემატიკა მოიცავს როგორც კლასიკურ ფილოლოგიას, ბიზანტინისტიკასა და ნეოგრეცისტიკას, ისე სხვა ჰუმანიტარულ დარგებს. ბიბლიოთეკის ფონდების გამდიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც კლასიკური ფილოლოგი-

ის კათედრის დამფუძნებლებს, ასევე ინსტიტუტის პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ფონდებს, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებსა და სამინისტროებს, ბატონი რისმავის პირად, ქართველ თუ უცხოელ მეგობრებს.

* * *

ჩემს, და არა მარტო ჩემს, ძვირფას პედაგოგზე, უკვე მეგობარსა და კოლეგაზე სტატიის წერას ვასრულებ და ვგრძნობ, რომ კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი. არადა, რაც აღვნიშნე, ერთი ადამიანისათვის ისიც საოცრად ბევრია. ხოლო თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ყოველ სტუდენტს, მაგისტრანტსა თუ დოქტორანტს მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით სურს თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომის შექმნა, რაც სავსებით ბუნებრივია, უფრო მეტად გავოცდებით; თუმცა ის მადლიერება, რასაც მოძღვარი მათ თვალეში ამოიკითხავს ხოლმე, მას ახალი და ახალგაზრდული ძალისხმევით ავსებს.

ბატონმა რისმავმა თავისი მოღვაწეობით მრავალი აღიარება დაიმსახურა: არის საქართველოსა და საქსონიის (გვრ) მეცნიერებათა აკადემიების წევრი, საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი, ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი და Collegium Europaeum-ის წევრ-კორესპონდენტი.

ბატონი რისმავი არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „Phasis“-ის მთავარი რედაქტორი, ჟურნალ Philologus-ის სარედაქციო საბჭოსა და მრავალი სხვა ეროვნული სამეცნიერო ჟურნალისა თუ გამოცემის რედაქციის წევრი.

მას სისტემატურად იწვევდნენ მოხსენებებითა და ლექციებით უცხოეთის ცნობილი უნივერსიტეტები და სამეცნიერო ცენტრები, რამეთუ ჰქონდა და აქვს ინტენსიური კონტაქტები სახელოვან მეცნიერებთან.

დიახ, ეამაყებით სახელოვან და ღირსეულ ადამიანებს! ჩვენ კი, ძვირფასო Magister magistrorum, არა მხოლოდ გვეა-

მაყებით, არამედ უსაზღვროდ გვიყვარხართ, რამეთუ დიდი ხანია იმ გაკვალულ გზას მივყვებით, რომელსაც გვინათებთ თქვენი არსებობით!

*ნანა ტონია
თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის
კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი*

ადამიანი, რომელსაც პატივმა ზნე არ შეუცვალა

ბატონი რისმაგი იყო ჩემი გამორჩეული ლექტორი კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე. შემდგომში, წლების მანძილზე, მასთან ურთიერთობა მქონდა და მაქვს, როგორც კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგესთან და მის მიერ დაარსებული კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორთან. ბატონი რისმაგი არის გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის საქმის ღირსეული გამგრძელებელი. მისმა მაღალმა მეცნიერულმა ავტორიტეტმა, დაუღალავმა სწრაფვამ სიახლისაკენ განაპირობა კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის დიდი საერთაშორისო აღიარება. იგი დიდებულად ფლობს მართვის, კოლეგებთან ურთიერთობის ურთულეს ხელოვნებას.

ის, ვინც დაიბადა, ცხოვრობდა და საქმიანობდა საბჭოთა ეპოქაში, იყო ხვედრი და არა არჩევანი. მთავარია — ვინ როგორი წესით ცხოვრობდა. იმ იდეოლოგიის პირობებში არაერთი ადამიანი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის საქმეს. ამ შემთხვევაში სწორედ ბატონი რისმაგის დონის პროფესიონალის, გამორჩეული პიროვნული თვისებების მატარებელი ადამიანების ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყოფნა სარგებლობის მომტანი იყო უნივერსიტეტისთვის და არა მარტო უნივერსიტეტისთვის.

ბატონი რისმაგი მრავალი საინტერესო ჩანაფიქრის მონაწილეა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტია უკანასკნელ წლებში

მისი აქტიური თანადგომით შექმნილი „თბილისის თანამედროვე ბალეტი“ მარიამ ალექსიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად განსაკუთრებულია ბატონი რისმაგის როლი მეცნიერული კადრების მომზადებაში. ყოველთვის დიდი მონაფეების წარმატებებით გამონვეული მისი სიხარული.

აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის მრავალმხრივი პიროვნება შემკულია ისეთი თვისებებით, როგორცაა იშვიათი შრომისმოყვარეობა, საკუთარი პრინციპების ცხოვრებაში გატარება, სიდინჯე, აკადემიურობა, კეთილგანწყობა ადამიანების მიმართ, თანადგომის დიდი უნარი... იგი გულწრფელად გამოხატავს სიხარულს ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის გამო. სიამოვნებით ვიხსენებ მის აღფრთოვანებულ სახეს, როცა გერმანიასა და პარიზში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მაესტრო ჯანსუღ კახიძის დაუვინყარმა ტალანტმა (ვერდის „რექვიემი“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და სხვ.). ბატონი რისმაგის მონდომებით მისი კოლეგები და სტუდენტები — უნივერსიტეტელები არაერთი მოგზაურობის, ექსპედიციის მონაწილენი ვიყავით. ამ მხრივ დაუვინყარია მოგზაურობა ტროაში და ბატონი რისმაგის ემოციები ჩვენი — მისი მონაფეების ახდენილი ოცნების გამო...

დაბოლოს, ბატონ რისმაგზე ასე ვიტყვოდი: RES MUTAT MORES (SED RARO IN MELIORES) — პატივი კაცს ზნეს უცვლის, მაგრამ იშვიათად ემართება ეს კარგ ადამიანს.

*ვალერი ასათიანი
აკადემიკოსი*

ბერძნული ცივილიზაცია — ნიკოლოზ ალექსიძის ბლოგი

რისმაგ გორდეზიანის „ბერძნული ცივილიზაციის“ III ტომი ასრულებს და კრავს თავგადასავალს, რომელიც დაინყო მინოსური კულტურით, გაგრძელდა ჰომეროსითა და ლირიკული ფორმების ჩამოყალიბებით, ერთგვარ კულმინაციას

მიაღწია ათენის პოლისითა და ათენელების მიერ შექმნილი ინტელექტუალური და ლიტერატურული სასწაულით, სადაც ერთ საუკუნეში და 50 კვადრატულ კილომეტრში თანაცხოვრობენ სოფოკლე და სოკრატე, პლატონი და ევრიპიდე, პერიკლე და ესქილე, არისტოტელე და არისტოფანე. ამ ყოველივეს კი მოყვა ალექსანდრე მაკედონელის კატაკლიზმური ლაშქრობა და თითქოს დიდი დაღმასვლაც, რის მერეც უკვე ყოველივე ახალი მივინყებული ძველი იყო. თითქოს ახალი პლატონი არ დაბადებულა და მხოლოდ პლატონის „კომენტატორებილა“ დარჩნენ, არც ახალი ჰომეროსი ჩანდა და მხოლოდ ჰომეროსის მიმბაძველების ამარაღა დარჩა ბერძნული ცივილიზაცია.

რისმაგ გორდეზიანის „ბერძნული ცივილიზაციის“ III ტომის ყველაზე დიდი დამსახურება ამ დამოკიდებულების სრულ სიმცდარეში მკითხველის დარწმუნებაა. სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც დაცვილებულია ჩვენგან V საუკუნის ათენი, იმდენადვე ახლოსაა ელინისტური და გვიანანტიკური სამყაროები ჩვენსავე დროსთან. ბევრი თანამედროვე პოლიტიკური ინსტიტუციის, ფილოსოფიური იდეის თუ მეცნიერული მეთოდის საფუძვლების გააზრება შეუძლებელია ელინისტური და ადრე რომაული ცივილიზაციის ცოდნის გარეშე. ელინისტური ხანა გასცდა ელინური ცივილიზაციის ერთგვარ მონოეთნიკურ ქედმაღლობას. ამ დროს ეგვიპტური, სპარსული, ანატოლიური, ინდური, ბერძნული, რომაული ცივილიზაციები, ფორმები და იდეები ირეოდა ერთმანეთში და ამ არევით საფუძველს უდებდა თანამედროვე სამყაროს თავისი ეკუმენიზმით, კოსმოპოლიტიზმითა და ინტელექტუალური სითამამით.

ბევრმა ელინისტურმა მოაზროვნემ იმდენად გაუსწრო თავის დროს, რომ მათ აღმოჩენასა და დაფასებას ათობით საუკუნე დასჭირდა. რისმაგ გორდეზიანის ნიგნში გაიცნობთ, მაგალითად, პოლიბიოსს, შერეული კონსტიტუციისა და ძალაუფლების კონსტიტუციური გადანაწილების პირველ თეორეტიკოსს, რომლის კითხვამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ამერიკის „დამფუძნებელ მამებზე“.

ელნისტურ ხანაშივე შეხვდებით ერთ უცნაურ პოეტს, სიმიას როდოსელს, რომელმაც მიაგნო ისეთ პოეტურ ფორმას, რომელიც მხოლოდ 2000-ზე მეტი წლის შემდგომ აღმოაჩინა ფრანგმა სიმბოლისტმა გიომ აპოლინერმა და „კალიგრამია“ უწოდა.

რისმავ გორდუზიანის წიგნში ნახავთ, თუ როგორ ჩაისახა მეცნიერული ფილოლოგია ჰომეროსის ტექსტებზე კირკიტით და გაიცნობთ ლეგენდარულ გამომგონებელს, ჰერონ ალექსანდრიელს, რომელსაც ორთქლის ძრავისა და პირველი გასაყიდი აპარატის გამომგონებაც კი მიეწერება.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი, ამ წიგნიდან შეიტყობთ: ელნისტური და გვიანანტიკური სამყაროს ღიაობის, იდეებისა და მიგნებების, თავისუფლების შეცნობისა და ერთგვარი ინტელექტუალური თავმდაბლობის ამბავს, გაიგებთ, თუ როგორ შეიძლება ტრადიციამ გაამდიდროს, მაგრამ არ დაამძიმოს შემოქმედებითობა, როგორ შეიძლება არ მიიღო, მაგრამ დააფასო სხვისი რწმენა და ამ რწმენაში ინტელექტუალურად ღირებული აღმოაჩინო. ამბის გააზრება ხშირად მხოლოდ ამ ამბის დასასრულითაა შესაძლებელი. ანტიკურობაც, როგორც ამბავი და როგორც იდეა, მისი დასასრულით შეიცნობა. აქ კი გაიცნობთ იმ ადამიანებს, ვინც ამ დასასრულში მონაწილეობდნენ, თავადაც ჰქონდათ გააზრებული და თავის ხელოვნებაში, სიტყვასა თუ აზრში გადმოსცემდნენ ამ დასასრულის ტრაგიკულ მშვენიერებას.

*ნიკოლოზ ალექსიძე
სულაკაურის გამომცემლობა*

80 წლის იუბილეს მილოცვა მედიკოსისგან

ბატონ რისმაგ გორდეზიანს მრავალი პატივისცემელი და დამფასებელი ჰყავს სამედიცინო საზოგადოებაში, მათ შორის, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის თანამშრომელთა შორისაც. მისი მოღვაწეობა გაცემას იწვევს მასშტაბით, სიღრმით, მნიშვნელობით. ქართული ცნობიერებისათვის ასე ახლობელი და გასაგები (თითქოსდა ადვილად ხელმისაწვდომი) გახადო ელინური სამყარო — მითოსიდან ფილოსოფიამდე, მხატვრული ლიტერატურიდან — მეცნიერებამდე — ეს მხოლოდ გამორჩეულთა ხვედრი შეიძლება იყოს. და ბატონი რისმაგი სწორედ ასეთი გამორჩეულია.

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სახელით მინდა მივულოცო ბატონ რისმაგ გორდეზიანს, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და აღიარებულ სახეს, სახელოვანი იუბილე — რუდუნებითი შრომით გავლილი 80 წელი და ვუსურვო ჯანმრთელობა და ახალი გამარჯვებები მეცნიერულ და პედაგოგიურ ასპარეზზე. ბევრისთვის მიუღწევლად რჩება ისეთი სიყვარულის და პატივისცემის დამსახურება კოლეგათა და, განსაკუთრებით, მონაფეთა შორის, როგორც



ეს ბატონმა რისმაგმა შეძლო. ერთხელ, როდესაც ჩვენ-ჩვენ მასწავლებლებზე ვსაუბრობდით, მახსოვს, პროფესორ ირინე დარჩიას ლამის ორი საათი არ ეყო ბატონი რისმაგის სიქველეთა და დამსახურებათა აღსაწერად.

ერთ ამბავსაც გავიხსენებ: 1994 თუ 1995 წელს აკადემიკოს თამარ დეკანოსიძის ხელმძღვანელობით ვმუშაობდით ბერძნულ და ლათინურ სამედიცინო ტერმინთა ქართულად მართლწერის და მათგან სხვადასხვა ფორმების წარმოების საკითხებზე (1996-ში პატარა წიგნიც გამოვეცით). პრობლემები დაგროვდა. ენათმეცნიერები ხშირად არ გვეთანხმებოდნენ, მეტიც, ერთმანეთსაც არ ეთანხმებოდნენ ჩვენ მიერ მიწოდებულ ვერსიათა შეფასებისას. ერთ დღეს, ქალბატონი თამარი მეუბნება: — წავიდეთ, რისმაგ გორდეზიანი ვნახოთო. წავედით. ერთმანეთს თბილად შეხვდნენ. ბატონი რისმაგი ზოგიერთ „სადავო“ საკითხზე დაგვეთანხმა, ზოგიერთი კი „სადიოსკუსიოდ“ დატოვა. — ვფიქრობ, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს ძალიან დააინტერესებს თქვენი მოსაზრებები და ვერსიებიო, — გვითხრა. როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ქალბატონმა თამარმა ბრძანა თავისი ვერდიქტი: — მართლა დიდი კაცია! ეს ჩვენთვის, მისი ახალგაზრდა კოლეგებისათვის, მოწაფეებისათვის, „თამაროიდებისათვის“ ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას ნიშნავდა, რადგანაც, ყველანი ვგრძნობდით იმას, რაც შემდგომში, თამარ დეკანოსიძის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოწაფემ, პროფესორმა დინარა კასრაძემ ფორმულის სახით ჩამოაყალიბა მისდამი მიძღვნილ ფილმში: „ყველა მისი დიაგნოზი, როგორც მიკროსამყაროში (მიკროსკოპიას გულისხმობდა), ისე მაკროსამყაროში (საზოგადოებას გულისხმობდა) იყო ზუსტი“.

რად გავიხსენებ? ახლავე მოგახსენებთ. ბატონ რისმაგზე, დღეს, როდესაც მას 80 წლის იუბილეს ვულოცავთ, ადვილია ვთქვათ — „დიდი კაცია!“ მაშინ, 1994-ში თუ 1995-ში იგი 54-55 წლისა ბრძანდებოდა, ჩემზე 7-8 წლით უმცროსი. და ამ, მეცნიერული სამყაროს სტანდარტებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცზე, ეს — „მართლა დიდი კაცია!“ — ბრძანა ქართული სამედიცინო სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგა-

დოების მეტრმა, აკადემიკოსმა, ბატონ რისმაგზე თითქმის 20 წლით უფროსმა თამარ დეკანოსიძემ.

დიახ, დიდი კაცი ბრძანდებით, ბატონო რისმაგ!

*დიმიტრი კორძია
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი*

ჰაუშტაინის წერილი რისმაგ გორდეზიანს ლაიფციგიდან

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის წერილი, რომელიც ბატონმა რისმაგმა მიიღო საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტისაგან:

„თქვენი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა ერთმანეთთან აკავშირებს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის, ძველი ისტორიისა და არქეოლოგიური კვლევის მიმართულებებს. როგორც ყველაზე უფრო ინოვაციური სიძველეთმცოდნე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, თქვენ საოცრად ნაყოფიერად მოღვაწეობთ თქვენი სპეციალობის ფარგლებს გარეთაც. ყველაზე მნიშვნელოვან დამსახურებებს შორის, რომლებიც თქვენ ცხოვრების განმავლობაში მოიპოვეთ, არის თბილისის ქცევა სიძველეთმცოდნეობის სფეროში კვლევის ცენტრად, განსაკუთრებით ძველი და მედიტერანული ფილოლოგიისა და კულტურის ისტორიის სფეროში. როგორც ხელმძღვანელმა კლასიკური ფილოლოგიის ცენტრისა, თქვენ ხელი შეუწყვეთ მომიჯნავე დარგების, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის განვითარებას. ამასთანავე ის ურთიერთობები, რაც თბილისის, იენის და ზარბრუკენის სიძველეთმცოდნეთა შორის უკვე მრავალი ათეული წელია ჩამოყალიბდა, რაც ერთობლივ კვლევასა და პუბლიკაციებში, ერთობლივ კონფერენციებში, პროფესორთა და სტუდენტთა ურთიერთგაცვლაში გამოიხატა, მნიშვნელოვანწილად, თქვენი ინიციატივის დამსახ-

ურებაა. თქვენი არაორდინარული დისციპლინათშორისი საკითხების დასმა და მათზე პასუხები აყალიბებს მრავალ პუბლიკაციას როგორც ქართულ, ასევე უცხო, განსაკუთრებით, გერმანულ ენებზე. თქვენი კოლეგები საქართველოსა და საზღვარგარეთ ეფასებენ თქვენ, როგორც საქმეში ღრმად ჩახედულ, საინტერესო თანამოსაუბრეს მაღალი პიროვნული პასუხისმგებლობითა და შთამბეჭდავი მეცნიერული იმპეტუსით (აზარტით, გატაცებულობით). საქსონიის აკადემია ამაყია იმით, რომ 1997 წლიდან თქვენ მის წევრთა შორის შეგიძლიათ ირიცხებოდეთ“.

*უვე-ფრითიოფ ჰაუშტაინი
ლაიფციგი*

ლექსი, რომელიც გერმანელმა მეცნიერმა რისმაგ გორდეზიანს მიუძღვნა

რისმაგ გორდეზიანი გახლავთ საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (გერმანია), ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი (გერმანია), Collegium Europeum-ის წევრი (გერმანია) და საბერძნეთის მწერალთა კავშირის წევრი. მას საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში 40-ზე მეტი მოხსენება აქვს წაკითხული საბერძნეთში, გერმანიაში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, პოლონეთში, უნგრეთში, სლოვაკიაში, ჩეხეთში, ესპანეთში...

გასაკვირი არ არის, რომ მას დიდი აღიარება აქვს საზღვარგარეთ, როგორც მეცნიერს. თანამედროვე ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, მთარგმნელმა და პოეტმა მიხაელ ფონ ალბრეხტმა, მეგობრობის ნიშნად, რისმაგ გორდეზიანს ლექსიც კი მიუძღვნა

Michael von Albrecht
Ad urbem Tiphilim caput Georgiae

Carmen amico cui nomen Rismag Gordeziani sacrum

Iam Francofurtum liquimus imbribus,
Relicta Mosqua est aurea sub nive,
Trans culmina Elbrussi volamus
Caucasea glacie rigentis.

Cessere montes, et facies simul
Mutata terrae est: An Paradisus est?
Sub sole comparet renidens
Urbs Tiphilis fluuiusque amoenus.

Hic vina crescunt dulcia, pomaque
Permagna fiunt, huc abavus meus
Amator hortorum migravit
Suebus. Et ipse avus ortus hic est.

‘Inhospitalem’ dicere Caucasum
Quis possit? Errat magnus Horatius.
Tractatur hic hospes benigne,
priscaque amicitiae fides est.

O care Rismag, hic operâ tuâ
Doctrina floret. Jena tibi favet,
Te laudat Heidelberga doctum,
Graecia te celebrat docentem.

Renatae Rege Davide litterae,
Regina regum quas coluit Thamar.
Dum Graeca Romae non leguntur,
Iam Tiphili rediviva crescunt.

მიხაელ ფონ ალბრეხტი

ქალაქ თბილისს, საქართველოს დედაქალაქს

ლექსი ეძღვნება ჩემს მეგობარს, რისმაც გორდუზიანს

ახლა ფრანკფურტში ნვიმის თქეში იღვრება ციდან,
მოსკოვი სულ მთლად ჩაძირულა ოქროსფერ თოვლში,
ყინულოვანი იალბუზის თავზე მივფრინავთ
კავკასიონის მაღალ ქედს ზემოთ.

გაუჩინარდნენ მთები, მინამ ფერი იცვალა,
თვალნინ სამოთხე ჭეშმარიტად გადაგვეშალა,
ქალაქ თბილისი აკიაფდა მზის სხივთა ფონზე
და დიდებული მდინარე მისი.

აქ ვაზი ხარობს და იზრდება ხილი საამო,
აქედან ჩემი დიდი პაპა, ბალის მოყვარე,
შვაბების ქვეყნად გადასახლდა, თვითონ პაპა კი
ჩემიც აქ არის დაბადებული.

„სტუმართმოძულეს“ კავასიონს ვერვინ უწოდებს,
დიდ ჰორაციუსს, აშკარაა, ეს შეეშალა,
სტუმარს ხვდებიან აქ გულთბილად და ხელგაშლილად,
სწამთ მეგობრობის და ერთგულების.

ძვირფასო რისმაც, პატივს სცემენ აქ შენს ნაშრომებს,
გამორჩეულად გაფასებენ შენ იენაში,
ჰაიდელბერგი ქებას გასხამს როგორც მეცნიერს,
საბერძნეთი ვით მოძღვარს გადიდებს.

დავით მეფისგან მწიგნობრობას, აღორძინებულს,
პატივი, ზრუნვა არ მოაკლო მეფე თამარმა;
როდესაც რომში ჯერაც ბერძნულს არ კითხულობენ,
თბილისში ღვივის კერა ბერძნულის.

თარგმნა იამზე გაგუამ

რისმაც გორდუზიანის წიგნები და ცალკე გამოცემები

1. „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1970
2. Кавказ и проблемы древнейших средиземноморских языковых и культурных взаимоотношений, თბილისი, 1970
3. Проблемы гомеровского эпоса, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1978
4. ეტრუსკული და ქართველური, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980
5. წინაბერძნული და ქართველური, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1985
6. Kriterien der Schriftlichkeit und Mündlichkeit im homerischen Epos, Frankfurtam Main..., Peter Lang, 1986
7. ბერძნული ცივილიზაცია, ტ. I, მერანი, თბილისი, 1989
8. ბერძნები საქართველოში (კოლექტიური მონოგრაფია), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1990
9. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1993
10. Die Gegenüberstellung Europa/Asien vom Altertum bis zur Gegenwart, TSU VERLAG, თბილისი, 1997
11. ქაოსიდან კოსმოსამდე, სერია „ბერძნული მითების სამყარო“, ლოგოსი, თბილისი, 1997, 2012 (მესამე გამოცემა)
12. ბერძნული ცივილიზაცია, ტ. II, მერანი, თბილისი, 1997
13. Ellhnikhv spoudhv sthv Gewrgiva, (ს. შამანიდის თანაავტორობით), ლოგოსი, თბილისი, 1997, 2000 (მეორე გამოცემა)
14. არგონავტები, „ბერძნული მითების სამყარო“, ლოგოსი, თბილისი, 1998, 2014 (მეოთხე გამოცემა)
15. Lektav, რჩეული ნაშრომები, ლოგოსი, თბილისი, 2000
16. ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული (თანაავტორობით ს. შამანიდი და ი. დარჩია), ლოგოსი, თბილისი, 2001

17. ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა. ლოგოსი, თბილისი, 2002, 2009 (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა), 2011 (მესამე შევსებული და შესწორებული გამოცემა), 2014 (მეოთხე შევსებული და შესწორებული გამოცემა)

18. კლასიკური ფილოლოგიის შესავალი (თანაავტორი მ. დანელია), თბილისი, ლოგოსი, 2004, 2007, 2012 (მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა)

19. მითების სიბრძნე, „ბერძნული მითების სამყარო,“ თბილისი, ლოგოსი, 2005

20. ანტიკური ლიტერატურა. საუნივერსიტეტო კურსი (ავტორთა კოლექტივი), თბილისი, ლოგოსი, 2005, 2007 (მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა)

21. მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. ტ. I, საწყისები, თბილისი, ლოგოსი, 2007

22. მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. ტ. II, წინა-ბერძნული, თბილისი, ლოგოსი, 2007

23. მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. ტ. III, ეტრუსკული. დასკვნითი კომენტარები, თბილისი, ლოგოსი, 2007

24. მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. ტ. IV, რეზიუმე, ინდექსები, დამატება, თბილისი, ლოგოსი, 2008

25. ანტიკური კავკასია. ენციკლოპედიის ანოტირებული სიტყვანი (ავტორთა კოლექტივი), თბილისი, ლოგოსი, 2008

26. ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია. ტ. I (ავტორთა კოლექტივი), თბილისი, ლოგოსი, 2010

27. ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული სამახსოვრო, თბილისი, ლოგოსი, 2015

28. ინოვაცია ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში, თბილისი, ლოგოსი, 2016

29. ინოვაციურობის ზოგიერთი ასპექტი ელინური ეპოქის კულტურაში, თბილისი, ლოგოსი, 2017.

30. პლატონი თანამედროვე სამეცნიერო ჰიპოთეზების კონტექსტში, თბილისი, ლოგოსი, 2018

31. ბერძნული ცივილიზაცია, I გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე, სულაკაურის გამომცემლობა, მეორე გავრცობილი გამოცემა, თბილისი, 2019

32. ბერძნული ცივილიზაცია, II კლასიკური ეპოქა, სულაკაურის გამომცემლობა, მეორე გავრცობილი გამოცემა, თბილისი 2019

33. ბერძნული ლიტერატურა, ელინური ეპოქის პოეზია და პროზა, მეხუთე გადამუშავებული და გავრცობილი გამოცემა, ლოგოსი, თბილისი, 2019

34. ბერძნული ცივილიზაცია, III ელინისტური ეპოქიდან გვიან ანტიკურობამდე, სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2020

* * *

2021 წლის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე (თესალონიკში) საქართველო წარმოდგენილი იყო ძალიან მასშტაბურად. ფესტივალზე საქართველო წარადგინა: საქართველოს საელჩომ საბერძნეთში, მწერალთა სახლმა, თბილისის მერიამ პროგრამის — „თბილისი წიგნის დედაქალაქი“ ფარგლებში, თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა, ათენის ქართულმა ინსტიტუტმა, ბერძნული კულტურის ფონდმა, განათლებისა და კულტურის ცენტრმა „კავკასია“ და ალექსანდრე ალექსიძის სახელობის ქართულ-ბერძნული ურთიერთობების განვითარების ფონდმა. ყველა ამ დაწესებულებას წარმოადგენენ თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის კურსდამთავრებულები და აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის მონაწილეები.

ალექსანდრე ალექსიძის ფონდის პირველი გამოცემა — „პლატონის ტრილოგია“ (თეეტეტოსი, სოფისტი, პოლიტიკოსი) — პირდაპირ სტამბიდან მოხვდა ამ ფესტივალზე. წიგნი ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მაია შუხოშვილმა. მისი რედაქტორი გახლავთ ირინე დარჩია. ეს კიდევ ერთი აღიარებაა იმ სკოლის, რომელსაც დღემდე რისმაგ გორდეზიანი ხელმძღვანელობს.



წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე თესალონიკში (2021წ.).



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქცია, 2021